„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

# განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2009 წ. აპრილი* №20 * ფასი 1 ლარი







ႣႤႦႤႰႲႨႰ ႩႨႲႭႥႠႬႨႱ ႫႭႡႨႪႨႦႠႺႨႠ ႢႥ.3

თოქ-შოუ „დიდი ათეულის“ ერთი გადაცემის გამო გვ.4

ⴄⴉⴊⴄⴑⴈⴈⴑ ⴋⴀⴋⴄⴁⴈ ⴋⴐⴄⴅⴊⴑ 9 ⴀⴎⴐⴈⴊⴈⴑ ⴋⴈⴒⴈⴌⴂⴆⴄ ⴜⴀⴑⴅⴊⴀⴑ ⴓⴉⴐⴛⴀⴊⴀⴅⴄⴌ ⴂⴅ.7

## აღარც მიშა გვინდა და აღარც მიშას ნაირსახეობა რეზიდენტ-პრეზიდენტები

ლეილა ცომაია



ჯერ კიდევ გაურკვეველია, როდის მოგვეცემა ქართველებს თავისუფალი არჩევანის უფლება, საკუთარი ნებით, როდის ავირჩევთ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტსა და პარლამენტს.

განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მსგავსად, ჩვენშიც, ფული იქცა ყოველგვარი არჩევნების ჩატარებისა და არჩევანის გაკეთების განმსაზღვრელ ფაქტორად; ხალხში გაჩნდა შიში ღარიბი კანდიდატების მიმართ. ქვეყანაში არსებული უკიდურესი სიღატაკის ფონზე, კრებითად ხალხის დამუნათება, თუ საჯაროდ შერცხვენა - „ოც ლარზე გაყიდულებოო“ - ნეგატიურ სურათს პოზიტივად ვერ შეცვლის.

საქართველოს ისტორიაში, დღემდე, ერთადერთ ნათელ ფურცლად წარმოჩინდება 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნები, როგორც საყოველთაო-სახალხო, ჭეშმარიტად დემოკრატიული და თავისუფალი, რაც მონაპოვარი იყო ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მრავალწლიანი პოლიტიკური ბრძოლისა იმპერიალისტურ საბჭოთა რეჟიმთან. ყოველივე, საბოლოოდ, 31 მარტის რეფერენდუმითა და ქართველი ერის ღირსების არჩევნებით დაგვირგვინდა.

მართალია, კომუნისტურმა რეჟიმმა, მალევე (1992 წლის 6 იანვარს), ცეცხლითა და მახვილით კვლავ ჩაკლა ქართველთა თავისუფალი ნება - იარაღის ძალით დაამხო ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება, მაგრამ თავისუფალი არჩევნების ჩატარების სურვილი კვლავ ცხოველ

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი გვ. 1

სურვილად გვრჩება, რისი გამოვლინებაცაა მრავალწლიანი საპროტესტო გამოსვლები არალეგიტიმურ ხელისუფალთა წინააღმდეგ;

1992 წლის 6 ივნრიდან, საქართველოში, სახელისუფლო კრიზისი და სამართლებრივი ვაკუუმია, რასაც ვერა და ვერ ეგუება ქართველი, ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც მიზეზთა გამო (მრავალწლიანი რეპრესიების, პერმანენტული ფინანსური წნეხის, საინფორმაციო ბლოკადის და სხვა) ამოვარდნილია არსებული პოლიტიკური სპექტრიდან და ჯერაც ვერ იმყარებს ადგილს პოლიტიკურ ასპარეზზე. შესაბამისად, დღემდე თავისუფალია ჭეშმარიტი ეროვნულ-პოლიტიკური ლიდერების ნიშა და იგი ღირსეულ შევსებას ელის. მანამ კი, კომფორტულ თავისუფალ სივრცეში, რუსეთი, დასავლეთი და ევროპაც ადვილად ახერხებს საქართველოში სახელისუფლო „კარუსელის“ კვლავ დატრიალებასა და „ოპოზიციური“ (ცრუ, ფსევდო-ოპოზიციური) სპექტრიდანაც საკუთარ კანდიდატურებს გვთავაზობს პრეზიდენტად და პარლამენტშიც.

შექმნილ არასახარბიელო ვითარებაში საქართველოს მდგომარეობა, თითქოს საგანგაშოა, მაგრამ არა უიმედო. აუცილებლად მოვა დრო, როდესაც არჩევანი გაკეთდება ბილწებთან დღემდე შეუკვრელ-დაუზავებელ (ვაჟასეული მორალი), ანუ გაუსვრელ პოლიტიკურ ძალებზე, რომელთა სრულ დეფიციტს არამც და არამც არ განიცდის ქართველი ერი. ის, რაც დღემდე საქართველოში ხდება, უწყვეტ კავშირშია 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალებასთან და წარმოქმნილი გლობალური პრობლემებიც მის თანამდევ პროცესს წარმოადგენს. ეს პროცესიც, როგორც ყველაფერი, დასრულდება. ჩვენ კი, იმ ჟამისთვის, სისუფთავის შენარჩუნება, მოთმინება და ქმედითი ლოდინი, ანუ სრული მზაობა გვმართებს. ამასთანავე, არ უნდა გავემიჯნოთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მიუხედავად იმისა, ვართ თუ არა აქტიურად ჩართული მასში. ის, რაც ხდება ჩვენს სამშობლოში ხდება და ამ მოვლენების მონაწილეც ჩვენი ხალხია. ჩვენ, არც ჩვენს წილ პასუხისმგებლობაზეც უნდა ვთქვათ უარი - პილატეობა, არც გამოსავალი და არც ზნეობრივი აქტია. თუმცა, მუდამ ხელთ უნდა გვეპყრას მხილების მახვილიც.



გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის ირაკლი ალასანიას „გაოპოზიციონერება“ და საქართველოში დაბრუნება, მაუწყებელი სიგნალია იმისა, რომ ამერიკას და დასავლეთს სააკაშვილის პრეზიდენტობა აღარ სურთ. 35 წლის ირაკლი ალასანია საქართველოს უშიშროებაში გამოზრდილი კადრია და ლაპარაკობენ, აგრეთვე, მის ნათესაურ კავშირზე სააკაშვილის ბიძის, ცრუ-ს და მოსკოვის კგბ-ის გენერლის თემურ ალასანიასთან.

ნიშანდობლივად შეიკრა ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდიც, გადამდგარი ელჩებით და პოლიტიკური პარტიებით: „რესპუბლიკელები“, „ახალი მემარჯვენეები“ და გია ყარყარაშვილი. ალასანიას, როგორც ჩანს, სულსწრაფობამ სძლია და მასთან ალიანსში მყოფ პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებს, ჩამოსვლის უმალ ჯერ არ დანიშნულ არჩევნებში თავი პრეზიდენტობის კანდიდატად გამოაცხადებინა. თავადაც ღია მინიშნებები გააკეთა პრეზიდენტობაზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ალასანიას, ამერიკიდან და დასავლეთის მხრიდან უკვე მიღებული აქვს მყარი გარანტია საქართველოს უმაღლეს სახელისუფლებო პოსტზე.

საქართველოში, კიდევ ერთხელ დაიდგმება „დემოკრატიული არჩევნების“ ფარსი.

თუმცა, თვით „კანდიდატმა“ ალასანიამაც უნდა გაისარჯოს და დაარქვა რა პატრიოტული სახელწოდება თავის საარჩევნო ბლოკს - „ალიანსი საქართველოსთვის“, ამომრჩეველთა ხმების მონადირებაზეც ამთავითვე შორსმჭვრეტელურად იზრუნა - „ბანკების მევალეთა კავშირის“ შექმნა გამოაცხადა.

შევარდნაძე-სააკაშვილის კორუფციული ხელისუფლების წყალობით, დღეს, ბანკისა და ერთმანეთის მევალეა, თითქმის ყოველი მესამე სოციალური თუ იურიდიული პირი - ვალებში იხრჩობა საქართველოს მთელი მოსახლეობა. ურთიერთმევალეებს არა, მაგრამ ბანკის მევალეებს კი გამოუჩნდა „მზრუნველი მამა“, რომელიც ვალებს გაუნახევრებს და ხანგრძლივი დროით გადაუვადებს.

„რესპუბლიკელები“, რომლებიც 2007 წლის მოწვევის პარლამენტში ვერ მოხვდნენ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით, ალასანიას „ორთქმავლით“ იქნებ უმრავლესობითაც მოვიდნენ, ასევე „მემარჯვენეებიც“, რომლებსაც, აგრეთვე დაბალი პოლიტიკური რეიტინგი აქვთ. ინვალიდის ეტლში მჯდარ ყარყარაშვილსაც პარლამენტარობა მონატრებია, მაგრამ რატომ უნდა გამოიჩინოს გულმოწყალება, ალასანიამ მის მიმართ, ძნელი ასახსნელია.

მართალია, ყარყარაშვილი, უკანასკნელ ხანს აქტიურად ცდილობს თავი სამხედრო სტრატეგად წარმოგვიდგინოს და ამ მიზნით ცხინვალის აგვისტოს ომის სამხედრო ექსპერტად და სააკაშვილის ოპოზიციონერად გვევლინება, მაგრამ ვეჭვობთ, მისი დღევანდელი მდგომარეობა და ხუნტისტური წარსული რაიმე პოლიტიკური დივიდენდების მომტანი იყოს ალასანიასათვის. ხოლო, თუ როგორი თავდაცვის მინისტრი და სამხედრო სტრატეგი გახლდათ იგი შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, კარგად ვიცით.

ყარყარაშვილი, ყოველ სატელევიზიო გამოსვლაში, საზოგადოებას თავის „პატრიოტულ“ წარსულს ახსენებს, რომელიც, არც ბუნებაში და არც ისტორიაში არსებობს. არსებობს მხოლოდ მისი მოღალატური, შეთქმული და ნაგებული ომების წარსული. აგრეთვე, „ასიათასი აფხაზის გაჟლეტის“ წინასწარი, ავანტიურისტული მუქარა, რომელმაც შესძრა მსოფლიო, რითაც, აფხაზეთში, იმთავითვე დავმარცხდით.

მანამდე კი ცხინვალი იყო, სადაც ყარყარაშვილმა ბრძოლით გაიჯირითა, მცირედი დანაკარგებით შევიდა ქალაქში და ბრძოლით აღებული ცხინვალი, შევარდნაძის ბრძანებით კვლავ ოსებს და რუსეთს დაუბრუნა.

ხოლო, თუ როგორი თავდაცვის მინისტრი და მხედართმთავარი იყო იგი აფხაზეთის ომში, ზედმიწევნით დაწვრილებით აღწერს მისი თანამებრძოლი და თანაგუნდელი ჯაბა იოსელიანი თავის დოკუმენტურ წიგნში „სამი განზომილება“.

მოვიყვანთ ფრაგმენტებს:

„ეშერაში, ლაბორატორიასთან, შეტევა ჩაიფუშა. ამბობენ, ბრძოლაში რუსები ჩაერივნენო. თვით ყარყარაშვილს ვერ გაუგებ, ამის თაობაზე ხან ერთს ამბობს, ხან მეორეს. ვითომც არ გაუშვეს წინ, მაგრამ ვინ არ გაუშვა, ამას ვერ ამბობს. ესენი შეიძლება ყოფილიყვნენ ან შევარდნაძე, ან კიტოვანი. მე არ მჯერა, რომ, თუ საქმე კარგად იქნებოდა, ყარყარაშვილი ვინმეს დაუჯერებდა. თუმცა, ამ ბოლო დროს შევარდნაძემ ერთი გასაოცარი რამ აღიარა: ელცინმა ტელეფონით ამიკრძალა ლაბორატორიასთან მიახლოება და წინ წასვლაო“ (გვ. 226, ბოლო აბზაცში):

ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ ყარყარაშვილმა იცის ელცინ-შევარდნაძის სატელეფონო საუბრის შესახებ, მაგრამ არ ამბობს.

„შევარდნაძეს კავშირი აქვს ყარყარაშვილთან, რომელიც ჯერ კიდევ სოხუმშია. გაგრაში ჩადის უკვე ისეთ დროს, როცა ქალაქი თითქმის ჩაბარებულია. ძველ გაგრაში გზა უნდა აეფეთქებინათ და ჩაეხერგათ. ესეც ვერ მოხერხდა. გაგრა დაიკარგა“ (გვ. 232, ბოლო აბზაცში).

„გია ყარყარაშვილის როლიც გაურკვეველია. გაგრის მარცხიდან უკვე ერთი თვე გავიდა. დასასვენებლად იყო წასული თუ საერთოდ აღარ სურს აქტიურობა, ან უფროსობა - ვერ გამიგია. გოგა ხაინდრავამ წერილიც კი მისწერა პრესის საშუალებით: „რა გული გიძლებს, მანდ რომ ზიხარო“ (გვ. 252, საწყისი ტექსტის დასასრული).

შემდეგ: „... ვერაფრით ვუკავშირდები გია ყარყარაშვილს... რაციით ვეძებთ. ვერ ვუკავშირდები. მაშინ ეს არ მიფიქრია, მაგრამ ახლა ვეჭვობ, შეიძლება იქ იყო და დაგვემალა... გია არ დაგვეხმარება... რა უნდა ქნას კაცმა, ეს ფაქტობრივად ღალატია. მიდი ახლა და ამ დახლართულ ინტრიგებში - ყარყარაშვილი-შევარდნაძე რაიმე ზომები მიიღე. ახლა კიტოვანიც მათ დაუჭერს მხარს...“ (გვ. 286, ტექსტის ბოლოს).

შემდეგ: „... კამკამიძე შტაბში იჯდა და ელოდებოდა... მეორე ფრონტის გახსნას, გია ყარყარაშვილის შეტევას კიტოულზე, მაგრამ ყარყარაშვილმა თავისი ხალხი ჩვენსკენ, ოჩამჩირისკენ კი არა, საწინააღმდეგო მხარეს - არმიანსკაიასაკენ ატარა... იერიშად ჩაფიქრებული ოპერაცია ვერ განხორციელდა“ (გვ. 302, ბოლო აბზაცში).

„გია ყარყარაშვილი დაბრუნებულია, ვითომც 200 კაცი გადმოიყვანა ტექნიკის გარეშე. სად არის ის 200 კაცი... ვეძებ ყარყარაშვილს. მისი გარემოცვა რაღაცას მიედებ-მოედება. „გასულია, პოზიციებზე“. კონკურეტულად სად, ვერ ამბობენ, ბოლოს ირკვევა, რომ გვერდით ოთახში ისვენებს. შევდივარ, ლოგინში წამოწოლილა... რაც შეეხება ყარყარაშვილის ინფორმაციას... მაშველთა მოქმედების შესახებ, ვერ ვისმენთ. ყოველთვის მიკვირდა და ახლაც ამოუცნობია ჩემთვის, როგორ ახერხებს კაცი მთავარ საკითხს თავი აარიდოს და შემთხვევით, იქვე წარმოშობილ ფსევდოპრობლემებზე გადაიტანოს დამსწრეთა ყურადღება... (გვ. 346-347).

„როგორაა საქმე?“ - ვეკითხები (გია რურუას - ლ.ც.), „არსად აღარავინ არაა“ - როგორ? გიას (ყარყარაშვილის - ლ.ც.) ხალხი, ორასი კაცი?“ - „რის ორასი. საავადმყოფოსთან რომ მივედით, ხუთი-ექვსი კაცი მწვადებს წვავდა. ხალხი სად არის-მეთქი, ვკითხე. რა ხალხი, სად მყავს ორასი კაცი. ყველაფერი დამთავრებულია“ (გვ. 355).

„... ყარყარაშვილი ჩამოსულია, მაგრამ თავი განცალკევებულად უჭირავს. წყალტუბოში კომფორტულ სამხედრო სანატორიუმში დაიდო ბინა და ჩვენ არ გვეკარება“ (გვ. 382) და ა.შ.

ამდენი ამონარიდი იმიტომ მოვიყვანე ყარყარაშვილის „გმირული“ ბრძოლებიდან,რომმკითხველისთვისსწორიწარმოდგენაშემექმნამასზე.

ვინმეს იქნებ ისიც ჰგონია, რომ ყარყარაშვილი საქართველოს ტერიტორიუ-

დასასრული მე-2 გვ.

# დეზერტირ კიტოვანის მობილიზაცია

*„ქართველნი ვართ ნათესავნი მხნენი და მხედრობითა აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხორებასა ჩვეულნი“.*

*გრიგოლ ბაკურიანის ძე, XI საუკუნე*

საქართველოს წარსული, აწმყო და ალბათ მომავალიც განუყოფელია, როგორც არე ბრძოლისა და მოღვაწეობისა. მამულიშვილთა და გმირთა გვერდით, ჩვენ გვყავს სხვა ქვეყნებისთვის მებრძოლი და მოღვაწე ქართველებიც, მხედართმთავრები (თუნდაც გრიგოლ ბაკურიანის ძე), მაგრამ ბევრი მათგანი ამ ძალისხმევას საქართველოს სახელმწიფოებრიობის დანგრევას, ან ქართული სულიერი ან მატერიალური კულტურის განადგურებას კი არ ახმარდა, პირიქით - ამ ქვეყნების სამსახურით ცდილობდნენ მსოფლიოში ქართული კულტურის გავრცელებასა და დაცვას.

ამ წერილის „გმირი“ თენგიზ კიტოვანი ნამდვილად არ ეკუთვნის ასეთ პირებს, არამედ მთელი მისი „პოლიტიკური“ თუ „სამხედრო“ „მოღვაწეობა“ არის ბრძოლა საქართველოსთან. პუტინ-მედვედევის რეჟიმის მიერ მობილიზებული თ. კიტოვანი გააქტიურდა, რას ემსახურება მისი ძალისხმევა? ნათელია, რომ ემსახურება რუსეთის იმპერიული კაპრიზის განხორციელებას. რა არის ეს კაპრიზი? საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ლიკვიდაცია და ქართველების, როგორც ერის აბსორბცია. ეს, რომ ასეა, ამას ბევრი რამ ადასტურებს. თ. კიტოვანი, რომელიც სრულიად უმეცარია პოლიტიკაშიც და სამხედრო საქმეშიც, ფრიად აქტიურია პროვოკაციებსა და დივერსიებში. თ. კიტოვანი - საბჭოთა საქართველოს პრივილეგირებული კლასის - პარტიული, ადმინისტრაციული და სამეურნეო კორუმპირებული ფუნქციონერების, კორუმპირებული ხელოვანებისა და რეპრესიული ორგანოების აგენტი - არასოდეს ყოფილა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების, დემოკრატიისა და კანონიერების ერთგული. თავისი მოღალატური საქმენი თ. კიტოვანმა პირველსავე კრიტიკულ მომენტში გამოავლინა. 1991 წლის 19 აგვისტოს საბჭოთა კავშირში პუტჩი განხორციელდა. ძალაუფლება ხელთ იგდო საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტმა, რომელმაც დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ ყველა რესპუბლიკას წაუყენა ულტიმატუმი, რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად ფორმირებული ყველა ძალოვანი სტრუქტურის გაუქმების იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის საბჭოთა არმიისთვის ჩაბარების შესახებ.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1990 წლის 20 დეკემბერს მიღებული კანონის „საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების - ეროვნული გვარდიის შესახებ“ შესაბამისად, კანონის 1 მუხლის თანახმად „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას შინაგანი ჯარები - ეროვნული გვარდია“, ფორმირებული იყო კანონიერი ძალოვანი სტრუქტურა. საქართველოს კანონიერი ხელისუფლების მხრიდან ეს იყო პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 2 ივლისს მიღებული კანონის „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის შესახებ“ ლოგიკური სამართლებრივი პოლიტიკის აღდგენა და განვითარება.

თ. კიტოვანმა, რომელიც, არც არასდროს ყოფილა ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი, ნათლად დაინახა, რომ დადგა კრიტიკული მომენტი, - იგი ან დამოუკიდებელი საქართველოს სადარაჯოზე უნდა დამდგარიყო, ან რუსეთის იმპერიის მუხანათური და მზაკვრული პოლიტიკის განხორციელების იარაღად ქცეულიყო. მან, ისევე როგორც საბჭოთა საქართველოს პრივილეგირებულმა კლასმა, უკანასკნელი აირჩია.

თ. კიტოვანი რკონის ტყეში დაიმალა და ფარად თითქმის უიარაღო ახალგაზრდები მოიმარჯვა. თბილისში კანონიერი ხელისუფლება დაუცველი აღმოჩნდა საბჭოთა არმიის წინაშე. ГКЧП-ს ემისარი არმიის გენერალი შურალიოვი სპეციალურად იყო მოვლენილი საქართველოში. მას ექვემდებარებოდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი პატრიკეევიც. ის, რაც დრამა იყო, საქართველოსა და ქართველებისთვის სისხლისღვრად და უდიდეს ტრაგედიად უნდა ქცეულიყო,

თ. კიტოვანმა დეზერტირობით კატასტროფის ზღვართან მიიყვანა ქვეყანა. ამ დრამატულ ვითარებაში რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მიიღო ერთადერთი მართებული გადაწყვეტილება, 19 აგვისტოს გამოსცა ბრძანებულება „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები - ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ“, რომლის 1 მუხლში მითითებული იყო: „საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები - ეროვნულ გვარდიას მიეცეს განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსი“, ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლე, რომელიც თ. კიტოვანის მოღალატური ქმედების გამო შეიძლებოდა მოსპობილიყო (რაც შემდგომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური სახელმწიფო გადატრიალებისა და 1992-1993 წლების აფხაზეთში ე.წ. სახელმწიფო საბჭოს მოღალატური ქმედებით მოისპო), რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გონივრული პოლიტიკური ქმედებით დაცულ იქნა. 26 აგვისტოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა 19 აგვისტოს ბრძანებულება გააუქმა.

ამჟამად რუსეთის საიდუმლო სამსახურების მთავრობის ქვეს მყოფი თ. კიტოვანი, დღესაც მზადაა ჩამოვიდეს საქართველოში იგივე გაიმეოროს. იგი კვლავ ცრუობს, როცა აცხადებს, რომ 1991 წლის აგვისტოში „გვარდია გააუქმეს“, „გვარდია შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუქვემდეარეს“ „მე და ჩემი ბიჭები სიმართლის მხარეს დავდექით“. რა სიმართლე იყო მისი ზემოთ აღნიშნული სიცრუე, ვფიქრობ, დღესავით ნათელია. მისი ყველა სიტყვა და ქმედება მიმართულია დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ, თ. კიტოვანს ვერავინ მოსთხოვს გრიგოლ ბაკურიანისძეობას, იგი, არც ლიპარიტ ბაღვაშს მიბაძავს დევნილობაში, სულიერი განწმენდა მისთვის, პრივილეგიებს გამოდევნებული საბჭოთა ადამიანისათვის, სრულიად უცხოა, მაგრამ მან ის მაინც უნდა გაიგოს, რომ დღეს 1991 წელი არაა და იგი, როგორც გაჭრილი ბანქოს ქაღალდი სრულიად უვარგისია.

**დავით არაბიძე**

---

დასაწყისი 1-2 გვ. ლი მთლიანობისათვის ბრძოლებში დაინვალიდდა, - არა! შეთქმულებაში გამეცადინებულმა ყარყარაშვილმა, პრეზიდენტ გამსახურდიას შემდეგ, გადაწყვიტა, ახლა შევარდნაძისთვისაც მოეწყო გადატრიალება, მაგრამ შევარდნაძემ გაუგო და თავის სპეცნაზებს ყარყარაშვილისათვის ტერაქტი მოაწყობინა, რითაც თავად დასვა ინვალიდის ეტლში. ამაზე, ორიოდ სიტყვით, იოსელიანიც წერს თავის წიგნში (იხ. გვ. 330, „სამი განზომილება“).

ახლა ერთი ამონარიდი ამავე წიგნიდან, ყარყარაშვილის ომისშემდგომი საქმიანობიდანაც მოვიყვანოთ: „ყარყარაშვილთან შეთანხმებით გეგმავენ მოულოდნელ თავდასხმას რუსთავის მაშველთა კორპუსზე, აქაოდა, რუსთავში რეკეტიორების მოთავეები მაშველთა კორპუსის... მფარველობის ქვეშ იმყოფებიანო. ასეთი პრინციპულობა გასაოცარია იმ დროს, როცა თვით ყარყარაშვილის გვარდია ყაჩაღობს აეროპორტში, ტრასაზე, ქალაქშიც კი. თუ სადმე მოტაცებული მანქანაა, ყველა თბილისის ზღვაზე, გია ყარყარაშვილის მამის ავტოფარეხში დგას, და ეს ცნობილია შევარდნაძისათვის“ (გვ. 331-ის ბოლო აბზაცი).

ასე რომ, ალასანიას გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მომავალ ხელისუფლებაში ჩვენ მივიღებთ პოლიტიკურ ბალასტს „რესპუბლიკელების“, „მემარჯვენეებისა“ და ყარყარაშვილის სახით, რაც ერისა და ქვეყნის მდგომარეობას უკეთეობისაკენ დიდად ვერ შეცვლის.



როგორც ჩანს, რაიმე სასიკეთო გეგმები, არც დასავლეთსა და ამერიკას (არც რუსეთს) გააჩნია საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

ამიტომაც უარი უნდა ვთქვათ მიშას ნაირსახეობა რეზიდენტ-პრეზიდენტებზე და ბოიკოტი გამოვუცხადოთ არჩევნების ფარსს.

# თოქ-შოუ „დიდი ათეულის“ ერთი გადაცემის გამო

შესაძლოა ტელეპროექტ „დიდი ათეულის“ ჩანაფიქრი და იდეა სულაც არ იყოს კამათის საგანი, აქ საკამათო სხვა რამ არის — ვის ან რას ემსახურება სინამდვილეში ეს პროექტი., საინტერესოა ე.წ. „წარმდგენთა“ შერჩევის პრინციპიც. ისევ და ისევ ერთხელ შეჩვეული სახეების, მათ შორის პოლიტიკური სახეების, მუდმივ ტელეგმირებად ქცევა-პოპულარიზაციას ხომ არ ემსახურება იგი? რატომ არიან შერჩეულნი წარდგენისათვის ადამიანები პოლიტიკური სპექტრიდან — ვასილ მაღლაფერიძე, კობა დავითაშვილი, ლევან ბერძენიშვილი, დავით ზურაბიშვილი და არა კომპეტენტური მეცნიერები, ისტორიულ და ფილოლოგიურ სფეროში ღვაწლმოსილნი. მაგალითად, ჯობდა რუსთაველზე ესაუბრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს გრიგერ ფარულავას, რომელიც რუსთველოლოგიის კურსს კითხულობს და სტუდენტი-ახალგაზრდობის დიდი სიყვარულითაც სარგებლობს. ასევე კომპეტენტური მკვლევარი მეცნიერი და პროფესორი რუსუდან ნიშნიანიძე, მრავალი ლიტერატურული თუ სამეცნიერო შრომისა და წერილის ავტორი, დედაუნივერსიტეტში მოღვაწე, არასდროს გვიხილავს ამ პროექტში, არც იუზა ევგენიძე — თსუ პროფესორი, ვაჟა-ფშაველას მკვლევარი... რამდენად უდევს სამეცნიერო-საგანმანათლებლო საფუძველი ამ პროექტს თუ „შოუს“ დონეზე რჩება ეს გადაცემაც?




დრომ თუ მოიტანა მოთხოვნილება ჩვენი სულიერი ზრდისა და იმისა, რომ ახალგაზრდებს სწორად დავანახოთ ჩვენი რაობა, მაშინ ეს სხვაგვარადაც უნდა ხდებოდეს. მწერალ მიხ. ჯავახიშვილს აქვს საოცარი ფრაზა — „უკან კლასიკოსებისაკენ!“ დიახ, დღესაც აუცილებელია ეს დევიზი, მაგრამ ორიენტირებიც სწორად უნდა იქნენ შერჩეულნი, რათა გადაცემას არ ჰქონდეს გონებრივი ხარვეზი, უხერხული ზადი და ხინჯი. ამას სჭირდება გამოცდილება, რამდენად საინტერესოდ იქნება მიწოდებული საჭირო მასალა, მაგალითალ, 13 მარტს, მორიგი გადაცემისას წარდგენილ იქნა რუსთაველი ლ. ბერძენიშვილის მიერ, „სადისკუსიო რეჟიმში“ საუბრისას „გაიპარა“ აღმაშფოთებელი ფრაზა, რომელიც ძალზე დამაჯერებელი სიმტკიცით განაცხადა რატი ამაღლობელმა — „ჩვენ გამოდევნილები ვართ იმ დროიდან და გვიხდება შუა საუკუნეებში დაბრუნება „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით“ და ა.შ. სამწუხარო გაუგებრობაა...

ასეთი უხერხული ფრაზა არ უნდა გვესმოდეს ასეთი სამეცნიერო თუ აკადემიური გადაცემის პრეტენზიის მქონე პროექტში ასეთი „კომპეტენტური“ გაპიარებული პერსონებისაგან.

მართლაც, რით არის პოემა შუასაუკუნეობრივი ან თანამედროვე? „ჩამოვრჩებით“ თუ არა მის დროს ან რამდენად წინ ვუსწრებთ? რამდენად ახლოსაა ან შორს ჩვენგან ეს შედევრი? მინდა ამ „მეგობრებს“ ვუთხრა, რომ ჯერ ერთი, ზნეობა არ ძველდება, სიბრძნე ყოველთვის ზედროულია, მარადჟამული.

რუსთველმა გვაუწყა, რომ პოეზია ღირებულების გამოხატვაა და ამდენად, საღვთო დანიშნულების! ჩემს მიზანს არ წარმოადგენს დაწვრილებით მიმოვიხილო პოემის დიდი მნიშვნელობა და ძირითადი თემები, მხოლოდ გაკვრით შევეხები არსებითს. დავესესხები ზვიად გამსახურდიას — „მებრძოლი სიკეთე, მებრძოლი სიყვარული ქრისტიანობის არსი, ესაა რუსთველისეული კონცეფციაც“.

დიდმა სიბრძნისმეტყველმა გვიჩვენა, რომ ბედნიერება მოქმედებით მიიღწევა, გასაჭირი აუცილებლად დაიძლევა, რომ ტანჯვის გზით ვეზიარებით ამაღლებულს, იდეალს, ხოლო სატკივრის ტარება ტვირთია დიდი ადამიანობისა... სიყვარული კი საღვთო ვალია, ღვთისმსახურებას ჰგავს. მის გმირებს მოვალეობის დონეზე ესმით და ახასიათებთ თვითგაღების აუცილებლობა.

რომელია ჩვენი დროისთვის გაუგებარი ან შეუსაბამო? ის, რომ „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძევს კაცით კაცამდის?“ თუ „ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“, „ფათერაკი ვერას მიზავს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი... ან „იგივეა ჩემი მხსნელი, ვინცა მიწა გამაკაცა“... გავიხსენოთ, რამ გაანაწყენა როსტევანი უცხო მოყმეზე, რა გენიალური ფრაზაა ამასთან დაკავშირებით, როგორ ედგა მისალმების, კაცობის საკითხი — „არ კაცურად გარდამკოცნა“... თუ ის არ არის საინტერესო რომ ადამიანშივე დევს მტრული სპეციფიკა, როგორ შეუშალოს ხელი საკუთარ თავს, აზიანოს საკუთარი არსება — „მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომე კაცი თავსა ივნებს“...

ბევრია გრანდიოზული ადგილი პოემაში,. მათ შორის ის, როცა ცნობამიხდილ, უგონოდ მყოფ ტარიელს ნახავს ავთანდილი, სიბრძნით რომ ვერაფერს გააწყობს, ფსიქოლოგიურ ხერხს მიმართავს — უსულოდ მდებარეს სთხოვს ცხენზე შეჯდომას და ასე გამოიყვანს მდგომარეობიდან „სოფლით გაღმა გაბიჯებულ“ ტარიელს, რადგანაც ძველი სიბრძნეა — უმოძრაობა, უმოქმედობა კარიბჭეა სიკვდილის, ხოლო მოძრაობა ნიშანწყალია სიცოცხლის, მოძრაობაში მოყვანით ავთანდილმა სიცოცხლის იმპულსი გაუღვიძა მეგობარს, ქმედების უნარი დაუბრუნა, ლამაზი ემოცია გააჩინა მასში და კვლავ წადილით აღავსო, სამყარო ისევ მიმზიდველი გახადა უიმედო ჭაბუკისთვის... რომელი ერთი ადგილი გავიხსენოთ მსგავსი სიძლიერის? თუნდაც ოქროზე ნათქვამი, რატომაა საშიში ოქროსმოყვარეობა, მატერიალურისკენ სწრაფვა, რომ ის სულიერ თავისუფლებასა და სილაღეს აკარგვინებს ადამიანს, აშორებს უფალს — „კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა“... „უგულო კაცი ვერ კაცობს“ — თქვა ცხადად დიდმა წინაპარმა... დაგვანახა, რომ ბოროტება ბნელთან არის წილნაყარი, სიკეთე — ნათელთან,. შექმნა სამყაროს, ადამიანობის ხატი, დაგვისურათა სიბნელეც და ბნელის საწინააღმდეგო ძალაც...

ადამიანთა გალერეა დავიყენოთ თვალწინ, მისი პერსონაჟი ქალები გავიხსენოთ, თუ თინათინზე და ნესტანზე ამბობს, რომ „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, ფატმანზე და მისთანებზე პირდაპირ მოგვიწოდებს — „სჯობს სიშორე დიაცისა“... ყველა არ არის დიდი ღირსების მატარებელი. არც სიკეთე ეიოლება ყველას, თუ ავთანდილი, ფრიდონი, თინათინი, ტარიელი უხვად გასცემენ საბოძვარს, რაც ასწილად უბრუნდებათ ამ გმირებს, რადგანაც სამყაროში სიკეთის მიგების პრინციპი მოქმედებს, ნაცვალგების, ვაჭარზე მწერალი მკვახედ ამბობს: „მან ვაჭარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა, არ უძღვანა“. სიძუნწე ზნეკეთილობის საწინააღმდეგო ცნებაა და ვერაგობის ტოლფასია... დასაფიქრებლად ღირს ფრაზა — „პირისპირ მარცხვენს ორნივე მივალთ მას საუკუნესა“, (საიქიოზე თქმული).

რომელი დრო ჰკრავს ხელს ამ სიბრძნეს? როგორ შეიძლება „გამოდევნილები“ ვიყოთ აქედან და დავსაზღვროთ — „ის დრო“ და „ეს დრო“, ასეთი დაყოფა უმართებულოა! განა სულ ახლო წარსულში, ჩვენმა წინაპრებმა ზეპირად არ იცოდნენ ეს წიგნი და მზითევში არ ატანდნენ მას ამ დრომდე? გვიფიქრია რატომ?

მწერალი გრ. ორბელიანი ხშირად იხსენებდა საზოგადო მოღვაწის ეგნატე იოსელიანის სიტყვებს — „თქვენმა მზემ, მთავრობის შიში რომ არ მქონდეს „ვეფხისტყაოსანს“ ეკლესიაში შევიტანდი და ზედ საკურთხეველზე დავასვენებდიო“.

რუსთველმა დაგვანახა, რომ წუთისოფელში ყოფნა მძიმეა, ათასი ჭირსახდელი და განსაცდელია ქვეყნად, მაგრამ ადამიანი ამ სამყაროში მიტოვებული არაა, რომ მისი შემწე და მფარველი უფალია — „ნუ გეშის ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძვირია“.

საამაყოა ის, რომ მფრინავმა-კოსმონავტმა იური გლაზკოვმა კოსმოსში წაიღო მისთვის საყვარელი წიგნის საიუბილეო გამოცემა, კოსმოსიდან დაბრუნებულმა კი ის თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმს აჩუქა და ეს წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ იყო, უსივრცო პოემა, მიწისა და ცის დამაკავშირებელი.

ჩვენი მიზანი არაა ვრცლად და დაწვრილებით მიმოხილვა ამ დიდი წიგნისა. სათქმელად და ამ დროში კვლავ მისი ურყევი ფასეულობის დასტურად, რაც ვთქვი, ესეც კმარა. ყველაფერში ამ დროებას მხოლოდ ერთი რამ აკლია — მხურვალე გული, სუფთა... გულია ზვარაკი, მას „ღვთაებასთან შეხების წერტილს“ უწოდებენ... ამ გადაცემის სწორ მიმართულებასაც ასეთი ღვთივგანბრძობილი გული ესაჭიროება და ზოგიერთ დაპატიჟებულ წარმდგენსა თუ სტუმარსაც,. საშიშია, პირიქით არ მოხდეს, რაიმე ღირებულის გაქარწყლება ან დაჩრდილვა...

მავანთ სადავოდ მიაჩნიათ და არ სიამოვნებთ ზვიად გამსახურდიას ყოფნა საპატიო ადგილზე „დიდ ათეულში“, თუმცა არც იმაშია საკვირველი რამე, თუ ის წმინდანებზე წინაც იქნება, მან ხომ სიმბოლურადაც და ცხადადაც გააგრძელა დიდი ილიას, დიდი ხანძთელის, დიდი ექვთიმეს და სხვათა გზა... მათი სულიერი მემკვიდრე იყო იგი. თუმცა, მის შესახებაც იყო უხერხული, არასწორი შეფასებები, მოხდა მისი დამსახურების მიჩქმალვა, როცა „უცნობმა“ განაცხადა, რომ თურმე ზვიად გამსახურდიას ბრალი ყოფილა სხვადასხვა არეულობა, „სამოქალაქო“ ომი და ა.შ. სინამდვილეში ეს იყო ეროვნული თავისუფლების წინააღმდეგ მიმართული რუსული შემოტევა და მათი ტექნიკის, არსენალის გამოყენებით დაამხეს იგი რუსულად შეჯავშნულმა ქართველებმა.

კვლავ ძველი სიბრძნე მაგონდება — „ენაზე მომდგარ სიტყვასა, განა ყველასა თქმა უნდა“... ბედნიერია ის, ვისაც ძალუძს ავთანდილის სიბრძნით იაროს — „თავი დასდევ საწამებლად“.

და მაინც, ძალზე მაოცებს ამ გადაცემის სტუმართა სიჭრელე... ნეტავ, რა მიზანია? საგანმანათლებლო, კომერციული თუ... რატომ ან ვის სურს რუსთაველთან ერთად ბერძენიშვილიც დაგვამახსოვრონ, ვაჟასთან ერთად ამაღლობელიც, ხანძთელთან ერთად ვასილ მაღლაფერიძეც... ის დიდი ადამიანები ისედაც ყველა დროში მიიკვლევენ გზას და მათთან ერთად კიდევ ვის სურს გააბიჯოს საუკუნეთა სიღრმეებში?! მაინც, ასე მარდად როგორ შეუწყვეს ფეხი ამ გენიოსებს, რა უხერხული შეწყვილებაა წარსადგენ-წარმდგენებისა...

მართლაც, რა უცნაური „შოუა“...

ლალი ბარძიმაშვილი,

*ფილოლოგი*

# მოუთმენლობის იმედგაცრუება, ანუ კვლავ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ

დღეს, საქართველო იმ კაცს დაემსგავსა, უზარმაზარი მგელი შესაჭმელად რომ მოსდევს, ის კი, სოფლის განაპირას, პირველივე სახლამდე მირბენას მოასწრებს და კარებზე ბრახუნს ასტეხს - მიშველეთ! გამიღეთ, თორემ მგელი შემჭამსო. იქიდან კი აუღელვებელი ხმით პასუხობენ: ვინა ხარ? საიდან მოდიხარ. და ასე შემდეგ კარებს არავინ აღებს, მაგრამ გაღების იმედს არ ართმევენ.

აი, ამგვარია საქართველოსა და ნატოს დღევანდელი ურთიერთობა; მგელი კი, ცხადია, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი რუსეთია.

არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ ნატოში შემავალი ქვეყნების ნაწილზე და მათ შორის ამ ალიანსის ყველაზე უფრო გავლენიან წევრებზე: გერმანიაზე, იტალიაზე, საფრანგეთზე და შეიძლება ითქვას ესპანეთზეც, რუსეთს სერიოზული ზეგავლენის მოხდენა ძალუძს. ამიტომ, აღნიშნული ქვეყნები საქართველოსთან კატა-თაგვობანას თამაშით მშვენივრად მანიპულირებენ და საქართველოს ხელისუფლებას უქმნიან ილუზიას, რომ ქვეყანა დღეს თუ ხვალ აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, თუმცა საქმე დეკლარაციების იქით არ მიდის. არც წავა კიდევ კარგა ხანს. დასახელებული ქვეყნების ლიდერების აზრით, ამ ეტაპზე. საქართველოს მიღება ნატოში მათ ინტერესებში არ შედის. აშკარაა, რომ დასავლეთის პოლიტიკოსების ნაწილი რუსეთთან ფარულ გარიგებებშია ჩართული. ვაჭრობა ამ კუთხით მათთვის გაცილებით სარფიანია, ვიდრე საქართველოს ნატოში შესვლით გამოწვეული სერიოზული დაძაბულობა.

რუსი პოლიტიკოსები, როგორც ჩანს თვლიან, რომ საქართველო ნატოში, ეს მხოლოდ ის კი არ არის, რომ იგი რუსული ზეგავლენიდან გამოდის და დასავლეთის ორბიტაში ექცევა, რაც მათთვის კატეგორიულად მიუღებელია, თუნდაც მხოლოდ იმით, რომ რუსეთში ნატოს, როგორც სამხედრო მეტოქეს განიხილავენ, უარესი ის არის, რომ ვულკანივით მოთუხთუხე ნატო - ჩრდილოეთ კავკასიას უმეზობლდება. როგორ მიიღებენ ამ სიგნალს ჩრ. კავკასიის მეომარი ხალხები და რა მიმართულებას აირჩევენ სამოქმედოდ - კრემლის ძირითადი თავსატეხი ეს არის.

ამას ევროპასა და აშშ-შიც ხვდებიან, სადაც ათეულობით კვლევითი ინსტიტუტები, ათასობით მომსახურე პერსონალით შეიძლება ითქვას ერთი „მარტივი" ამოცანით არიან დაკავებულნი - როგორ დაშალონ რუსეთის ფედერაცია - რაც შეიძლება ნაკლები ძალისხმევითა და შესაძლო უკუჩვენებების გარეშე. გარდაუვალობის პრინციპით მოთამაშე დასავლეთის პოლიტიკოსები მოვლენებს არ აჩქარებენ, ისინი მათთვის ხელსაყრელ მომენტის დადგომას ელოდებიან და გადაწყვეტილებასაც მაშინ მიიღებენ, როდესაც რუსეთს, საპასუხო ქმედების არანაირი ძალა და სურვილიც არ ექნება. ასე მოხდა ორი გერმანიის გაერთიანებისას და მთელი აღმოსავლეთ ევროპის რუსული მარწუხებიდან დახსნის დროსაც. აგონიაში ჩავარდნილი რუსეთი დამბლადაცემულივით შეჰყურებდა, თუ როგორ ინგრეოდა, ამდენი სისხლით შექმნილი, იმპერია და როგორ საპნის ბუშტივით გაქრა მისი ოცნება მსოფლიო-დერჟავობაზე.

აგვისტოს მოვლენებამდე ქართველ პოლიტიკოსებს, თუკი რაიმე ილუზიები გააჩნდათ დასავლეთელი კოლეგების მიმართ, საქართველოსადმი რეალური დახმარების გაწევის კუთხით, რუსეთთან ომს, ეს იმედები, ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაექარწყლებინა. გამოჩნდა, რომ ევროპა თავიდანვე აღებულ გეზს არ გადაუხვევს და ის მოვლენების ფორსირებას არ აპირებს. რუსეთს, მთლიანადაც რომ მოეხდინა საქართველოს ოკუპაცია, როგორც 1921 წელს, დასავლეთ ევროპა ამას მიიღებდა, როგორც ლაფში ჩაწოლილი კამეჩი თავზე ჩიტის დაჯდომას, და დაელოდებოდა გარდაუვალს - რუსეთის ფედერაციის დაშლას, როგორც ეს გააკეთა საბჭოთა კავშირთან მიმართებაში.

ამგვარად, აღმოვჩნდით ორი უკიდურესობის ზღვარზე - ერთი შეხედვით არსებული რეალობა სწრაფი მოქმედებისაკენ გვიბიძგებს, მაგრამ რთული პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში, აჩქარებას, ხშირად უკუშედეგები მოაქვს.

საბჭოთა კავშირის გაქრობის შემდეგ, როდესაც ყოფილმა რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და შეიძლება ითქვას, მიიღეს კიდეც. ქართველი პოლიტიკოსები არჩევანის წინაშე დადგნენ - დასავლეთის გზა და ევროპასთან სრული ინტეგრაცია, თუ კვლავ რუსული ზეგავლენის ქვეშ დარჩენა.

ქართველმა პოლიტიკოსებმა დასავლეთის გზა აირჩიეს და ამ არჩევანში გავლენა იქონია ისტორიულმა წარსულმა, კულტურულმა კუთვნილებამ, ხასიათმა და მენტალიტეტმა, გეოგრაფიულმა ადგილმდებარეობამ, რუსულმა შოვინიზმმა, აშკარა თუ ფარულმა ზიზღმა ყოველგვარი ქართულისადმი, როდესაც ისტორიუ-



ლად, კულტურულად მასზე ზეაღმატებული ერის - სასურველი ასიმილირება ვერ მოახერხეს - რუსეთი საქართველოს დაუძინებელ მტრად და მოწინააღმდეგედ ჩამოყალიბდა.

თავი რომ დავანებოთ მეფის რუსეთს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ქართული სახელმწიფოებრიობის მოსასპობად. მათ შემდგომ მოსულმა ბოლშევიკებმაც იგივე გააგრძელეს, რაც მაშინ მეფის ხელისუფლებას გადაურჩა - ბოლო მოუღო საბჭოთა გენსეკების მმართველობამ: 1. გასაჩუქრებული და მიტაცებული ძირძველი ქართული ტერიტორიები; 2. ლამის პირწმინდად განადგურებული ქართული ინტელიგენცია; 3. მეორე მსოფლიო ომში ქართული გენოფონდის თითქმის სრული მოსპობა; 4. ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის გასახლება შუა აზიაში 1951 წელს; 5. სისხლიანი ტერორი 1956 წელს თბილისში; 6. ქართული ენის წინააღმდეგ გამოლაშქრება 1987 წელს; 7. 1989 წლის 9 აპრილი; 8. ნაციონალურ რეგიონებში - ანტიქართული ისტერიის გაღვივება დამანგრეველი შედეგებით; 9. სამოქალაქო ომის ინსპირირება და საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება, დარჩა კიდევ რამე სისაძაგლე ჩვენს წინააღმდეგ ერთმორწმუნე რუსეთს რომ არ ჩაედინოს?

ამ პრეისტორიის მცოდნე ახალი თაობის ქართველი პოლიტიკოსები, ცხადია, მონდომებითა და ძალისხმევით ცდილობენ დასავლურ ორიენტაციაში მოქცევას. სამწუხარო ის არის, რომ დასავლეთზე ჩვენი წარმოდგენები სრულად არ ემთხვევა რეალობას,. ევროპულ ლიდერებს არ უყვართ მკვეთრი მოძრაობები, სწრაფი გადაწყვეტიდებები. ისინი თითქმის ორი საუკუნეა ცხოვრობენ იმ აზრონებით, რომ სახელმწიფოა ვალდებული დაეხმაროს მის თითოეულ მოქალაქეს და არა პირიქით; ჩვენთან კი სახელმწიფოებრიობის სამი ათასი წელი სულ იმისი კივილი და წივილია - არიქა! უჭირს ქვეყანას და მას სჭირდება დახმარება. ჩვენ და ისინი სხვადასხვა საზომით ვუდგებით ყველაფერს". ჩვენი აჩქარება და სულსწრაფვა უკვირთ, ჩვენ კი მათი ზოზინი და ცარიელი ლაპარაკი. ჩვენ გვინდა - მთელი ჩვენი პრობლემებით, გაჭირვებითა და უბედურებით - ბებერ ევროპას ავეკიდოთ, მაგრამ უნდათ კი ეს მათ? უნდათ, მაგრამ აუჩქარებლად. დასავლეთს, როგორც ყოველთვის არსად ეჩქარება, მისთვის მთავარია არ იყოს ომები ევროპაში, სისხლი არ იღვრებოდეს, ათეულათასობით ლტოლვილი აქეთ-იქით არ გადაადგილდებოდეს და ა.შ. მაგრამ ამავე დროს დასავლეთს ძალიან აწყობს დროში გაჭიმული დაძაბულობა ურთიერთბრალდებები, სამშვიდობო მისიები და თავისი მომრიგებლის აუცილებლობაზე ხაზგასმა. ყველაფერი ეს ამომრჩეველზე კარგად მუშაობს და ამ გაუთავებელ ორომტრიალში ფულიც ბლომად იხარჯება, დასავლეთის ლიდერები შეიძლება ითქვას, ორმაგ თამაშს თამაშობენ - ერთის მხრივ მათ არ ეთმობათ რუსეთთან სულ უფრო და უფრო მზარდი ეკონომიკური თანამშრომლობა და აქედან მიღებული სარგებელი; მეორეს მხრივ იმისი და უცნაურობას არ შეიძლება, რომ რუსული დათვი თუ გაიზარდა და ქონიც მოიკიდა მით უფრო აგრესიული გახდება, ამიტომაცაა რომ, მიუხედავთად რუსეთის მოჩვენებითი სახეცვლილებისა, დასავლეთში მას, როგორც პოტენციურად მოწინააღმდეგესა და არათანმიმდევრულ პარტნიორად განიხილავენ. ცდილობენ ეს აზრი მაქსიმალურად შენიღბონ, მაგრამ ცხადია რუსეთს ბოლომდე არ ენდობიან,. თუმცა ჩვენგან განსხვავებით - ევროპელები სულსწრაფები არ არიან და იციან ლოდინის რეჟიმში ცხოვრება, ხელსაყრელი დროის დადგომის იმედით.

სწორედ ასეთი ლოდინის რეჟიმში - მათ ძირი გამოუთხარეს და დაამხეს ერთ-ერთი უძლიერესი იმპერია საბჭოთა კავშირი. მაშინ, როდესაც სამხედრო ძალით სულ მცირე ორჯერ მაინც ქონდათ მისი განადგურების საშუალება, მაგრამ დასავლეთმა ლოდინის რეჟიმში საქმიანობა არჩია, სასურველი შედეგიც ნგრევისა და მსხვერპლის გარეშე მიიღო.

იგივე მომავალს უმზადებენ რუსეთის ფედერაციას, რომელიც ცალკეულ სახელმწიფოთა, თუ ხალხთა ხელოვნურ კონგლომერატს წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახლა უკვე ევროპაში სიამოვნებით მიიღებენ დაშლილ რუსეთის ფედერაციას, მაგრამ დასავლეთისთვის დამახასიათებელი აჩქარების გარეშე. რუსეთი - თვალუწვდენელი ტერიტორიების, უზარმაზარი ბუნებრივი რესურსების გარეშე არის ევროპისათვის ყველაზე მისაღებია. ვინაიდან მხოლოდ ღმერთმა უწყის, თუ როდის და რაში გამოიყენებენ არაპროგნოზირებადი რუსი დერჟავიკები ბუნებრივი რესურსების გაყიდვიდან მიღებულ მილიარდებს. მითუმეტეს, როცა კრემლის პოლიტიკური ელიტის აზროვნება კვლავაც შეუპყრია ოცნებას დიდი რუსული იმპერიის შეკოწიწების შესახებ.

ამიტომ, რონალდ რეიგანის მსგავსად, რომელმაც საბჭოთა კავშირის დასაშლელად გასული საუკუნის 80-იან წლებში ძალზე ეფექტურად გამოიყენა ეკონომიკური ბერკეტები, დასავლეთის თანამედროვე პოლიტიკოსებმაც არანაკლებ ეფექტურს და მომაკვდინებელ ხერხს მიაგნეს რუსეთის ფედერაციის დასაშლელად.

კუნძულ კომოდზე - მსოფლიოში ის ერთადერთი ადგილია, სადაც ცხოვრობს ე.წ. კომოდის უზარმაზარი „დრაკონი", რომელიც ხვლიკისებრთა ოჯახს მიეკუთვნება, სამ მეტრამდე სიგრძისა იზრდება, იგი ძალის ნაკლებობასაც არ უჩივის, მაგრამ მისი ძალა მისი ბაქტერიებით სავსე ნერწყვშია, რომლითაც ის კბენისას ასნეულებს ცხოველებს, მათ შორის კამეჩსაც, შემდეგ კვალში ჩაუდგება მათ და რამდენიმე დღე, კვირაც ელოდება სანამ მისგან დაავადებული ცხოველი არ წაიქცევა. კომოდის „დრაკონი" უცბად არ ესხმის თავის მსხვერპლს, რომელსაც შეუძლია აქეთაც შემოუბრუნდეს, ის იცდის, ვინაიდან იცის, რომ დრო მასზე მუშაობს.

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ დასავლეთის შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსებმა, მეტად მარჯვედ გამოიყენეს კომოდის დრაკონის პრინციპი და რუსეთის ფედერაციას ისეთი ბაცილა შეჰყარეს, რომლისგანაც მორჩენის შანსი მას პრაქტიკულად არ გააჩნია.

კოსოვო - თუკი ვინმე ფიქრობს, რომ დასავლეთში ღამეები არ ეძინათ იმაზე ტვინის ჭყლეტით, როგორ მიენიჭებიათ კოსოვოს, ამ ისტორიულად სერბეთის მიწაზე, არც თუ ისე დიდი ხნის წინ ჩასახლებული ალბანელი ყაჩაღებისა და სეპარატისტებისათვის, დამოუკიდებლობა - მწარედ ცდება; ეს იყო რუსეთისთვის გამიზნული სატყუარა. დასავლეთის პოლიტიკურმა ელიტამ შესანიშნავად გათვალა, რომ შეზღუდლი აზროვნების მქონე რუსი დერჟავიკები - მწარედ წამოეგებოდნენ ამ სატყუარაზე. მას პირად შეურაცხყოფად მიიღებდნენ და მოჭრიდნენ იმ ტოტს,

გაგრძელება მე-6 გვ.

# ნიუ-იორკში დროებით მცხოვრებ ქართველთა გამოხმაურება
# ოპერაცია „ინდაურის“ გამო განაწყენებული ინტელიგენციისადმი

დე-ფაქტო პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გაპუტული ინდაურების სახით გაღებულმა საახალწლო ძღვენმა ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციის ერთი „სანიმუშო“ ნაწილის (თავს კვლავაც ელიტურს რომ უწოდებენ), გულისწყრომა გამოიწვია. აბუზღუნდა შეწუხებული ელიტა, როგორ გვაკადრეს და სუნიანი ინდაურები როგორ მოგვართვესო?! კიდევ კარგი, რომ ძღვენი უხარისხო აღმოჩნდა, თორემ თქვენი ამბავი რომ ვიცით, დედის რძესავით შეირგებდით, სამშობლოს გამყიდველი და მისი დამაქცევარი პრეზიდენტის ნობათს, და ორი ქართველიც ვერაფერს შეიტყობდა თქვენი უკვე მერამდენე სულმოკლეობის ამბავს...

ეს წერილი განკუთვნილია იმ „წითელი ინტელიგენციისათვის“, ვინც საკუთარ თავს კვლავაც „ნაღები“ საზოგადოების წარმომადგენლად თვლის, ვინც პირდაპირ, თუ ირიბად ხელი შეუწყო სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დამკვიდრებას ჩვენს სამშობლოში, ვისთვისაც 90-იანი წლების შემოდგომაზე მთავარი ლოზუნგი გახლდათ „ჯერ დემოკრატია, შემდეგ თავისუფლება!“ ვინც ტელევიზიის კიბეებზე ჩამომსხდარი სიამოვნებისგან ცმუკავდა ეროვნული ხელისუფლების დამხობის მოლოდინში, ვინც გვერდში ედგა სულგაყიდულ ედუარდ შევარდნაძისა და სხვა გარეშე ძალთა მიერ მართულ ვითომ „ოპოზიციას“, ვინც სალაფავის დაკარგვის შიშით შეშფოთებული მოღალატურად გადაუდგა ქართველი ერის მიერ არჩეულ ლეგიტიმურ ხელისუფლებას და თოფი ესროლა მას

თუმცა რას ვამბობთ, თოფი კი არა ზარბაზანი დააქუხეს რუსთაველის გამზირზე.

თქვენ, კომუნისტური რეჟიმის დროს გაზულუქებულით, სამშობლოსა და ქართველი ერის ბედი ნაკლებად გადარდებდათ - დაკარგული პრივილეგიების დაბრუნება იყო თქვენი ერთადერთი საზრუნავი.

ჯერ იყო და მოსკოვიდან თქვენივე თხოვნით ჩამოსულ ედუარდ შევარდნაძეს ჩაუვარდით მუხლებში წყალობის ხალათების მისაღებად. მანაც არ დააყოვნა და ტრაპზე შემდგარმა გულითადი მადლობა გადაგიხადათ იარაღის ხელში აღებისა და „დემოკრატიის დამყარებისთვის!“. გავა წლები და თქვენივე მამა-მარჩენალი, ბატონი ედუარდი თავისსავე აღზრდილს მოგგვრით საქართველოს პრეზიდენტად!

ბოლოდროინდელი ქართული პრესა სავსეა თქვენი წერილებით, სადაც აღშფოთებულნი პროტესტს აცხადებთ მიხეილ სააკაშვილის უხარისხო ძღვენის გამო, თითქოს, ამ ხნის განმავლობაში, უფრო უარესი არაფერი მომხდარიყოს ჩვენი ერის ცხოვრებაში...

გვინდა გკითხოთ, სად იყავით, რატომ ერთხელ მაინც არ ამოიღეთ ხმა 1992 წლის 3-7 იანვარს, ან იმავე წლის 2 თებერვალს, როდესაც კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მრავალათასიან მიტინგებს სისხლში ახშობდა თქვენი ქებული ჯაბა იოსელიანი და ედუარდ შევარდნაძე? თქვენ ხომ იმიტომ არ აიმაღლეთ ხმა, რომ იქ „პროვინციალი“, „სუნიანი“ ზვიადისტები იღუპებოდნენ და აბა ეს რა სათვალავში მოსატანი იქნებოდა თქვენისთანა „ნაღები“ საზოგადოებისათვის? უფრო მეტიც, ის არ იკმარეთ, რომ ბოღმითა და სიძულვილით აღვსილებმა საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო იარაღის ძალით დაამხეთ, კიდევ ერთი უზნეობაც ზედ დაამატეთ: ფილარმონიაში შეკრებილებმა გადაწყვიტეთ საქართველოს ეროვნული გმირი, რჩეული რჩეულთა შორის, უდიდესი ქრისტიანი და მამულისთვის წამებული ბატონი ზვიად გამსახურდია სამშობლოს მოღალატედ გამოგეცხადებინათ. რისი ინიციატორიც რეზო ამაშუკელი იყო.



არც მაშინ ამოგიღიათ ხმა, იოსელიან-შევარდნაძის ბანდებმა სამეგრელო ექვსგზის რომ დალაშქრა და დაარბია!!!

საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტის სამეგრელოში ჩამოსვლის შემდეგ კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შიშით გადარეულნი ახლა უკვე ჯაბა იოსელიანს ეცით - გინდა თუ არა ქვეყნის პრეზიდენტობა შენ იკისრე და დაგვიფარე კანონიერი ხელისუფლების აღდგენისგანო!

და კიდევ ერთხელ გაწირეთ ადამიანი, ვისაც სულმნათ მერაბ კოსტავასთან ერთად საქართველოზე ფიქრით უთენდებოდა და უღამდებოდა...

რა მოიმკეთ?!

დაშლილი, დაქცეულ-დაქუცმაცებული საქართველო და სიღარიბის მორევში ჩამხრჩვალი ქართველი ერი!

დიდად, არც ის გადარდებთ, რომ სამშობლოდან მილიონნახევარი ქართველია გადახვეწილი უცხოეთში და მათ ორ-მესამედს თვრამეტიდან ოცდათხუთმეტ წლამდე ასაკის ახალგაზრდები შეადგენენ!

ასევე თქვენი მოღალატეობრივ ქმედებათა შედეგია, რომ ათასობით ქართველი დედა მოწყვეტილია საკუთარ კერას და წლობით უნახავ, ბავშვობაგამწარებულ შვილების გაზრდა-დავაჟკაცებას კომპიუტერით ადევნებენ თვალყურს!

სამწუხაროდ, აქ შეხვდებით ისეთ უბედურ დედებსაც, რომელთაც სამშობლოდან გადმოხვეწილთ არ ეღირსათ წლობით უნახავი საკუთარი პირმშოს დატირება და უკანასკნელ გზაზე გაცილება...

ზოგიერთმა კი ვერ გაიმეტა შვილის ამ უცხო მიწისთვის მიბარება, მისი ცხედარი სამშობლოს გამოუგზავნა და თვითონ კი სამუდამოდ გულგაგლეჯილმა განაგრძო მონური შრომა ცოცხალი შვილების გადასარჩენად!

თქვენ კი „ვარსკვლავების“ გახსნაზე ევაჭრებით ქვეყნის დამაქცევარსა და გამყიდველ დე-ფაქტო პრეზიდენტს!

აი, რა მოუტანეთ საქართველოსა და ქართველ ერს თქვენი ბოღმითა და სიძულვილით! ლომის წილი მიგიძღვით ყველა იმ საშინელების დამკვიდრებაში, რაც ხდება ბოლო 18 წლის განმავლობაში და გამოწვეულია ლეგიტიმური ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობით!!! სხვათა შორის, მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართველი ხალხი მოთმინებით ელის თქვენგან ბოდიშს მაინც...

რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს რომ მსოფლიო გლობალური პოლიტიკიდან გამომდინარე, საკუთარი დამპყრობლური ამბიციები ამოძრავებდათ, ეს ფაქტია და გასაგებია, მაგრამ თქვენ რისთვის გაიმეტეთ სამშობლო - თქვენი საკუთარი პრივილეგიების დასაბრუნებლად? რა მიიღეთ სანაცვლოდ „ჩარეცხილებად“ შერაცხულნო?

როგორ ფიქრობთ, ბედნიერი მომავალი შეუქმენით თქვენს შვილებს და შვილიშვილებს? ძველი ანდაზისა არ იყოს: „პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჭრა კბილიო“! ჰოდა, ვინ იცის, სად და როდის დახვდება წინ „თქვენი საქმენი“ საგმირონნი“... თქვენს მომავალს.

ნანა ცაცაიაშვილი
მერი ხორბალაძე
გეგა ყაზბეგი
ზერდია ლუდუშაური
გიორგი ცრიხისთავი

*12 თებერვალი, 2009 წელი. ნიუ-იორკი, აშშ*

# მოუთმენლობის იმედგაცრუება, ანუ კვლავ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ

*დასაწყისი გვ. 5*

რომელზედაც სხედან. ზუსტად ისე მოხდა, როგორც გათვლილი იყო - რუსებმა მეტი ვეღარ მოითმინეს - აფხაზეთისა და სამაჩაბლოს აღიარება მოახდინეს. ადვილი წარმოსადგენია მომავალში რა განსაცდელი მოუმზადეს საკუთარ ქვეყანას კრემლში მოკალათებულმა დიდ იმპერიაზე მეოცნებე შოვინისტებმა ამ მყისიერი აქტით.

ხვალ თუ ზეგ - ნაციონალურ რესპუბლიკებში კრემლზე ორიენტირებულ ნომენკლატურას ჩაანაცვლებენ ახალგაზრდა პოლიტიკოსები. მაშინ ჩრ. კავკასიელი ხალხები, ასევე თათარსტანი, ბაშკირსტანი ურალს იქით რუსების მიერ თავის დროზე დაპყრობილი ნაციონალური ერთეულები, სადაც ბოლო წლებში ძალიან წამოიწია ეროვნული თვითშეგნებისა და სახელმწიფოებრიობის შექმნის იდეამ, თავს წამოყოფენ და მთელი სიმწვავით დააყენებენ დამოუკიდებლობის მოთხოვნას. აი, სწორედ ეს ნაღმი იქნა ჩადებული კოსოვოს დამოუკიდებლობაში; კოსოვოს ნაღმი უსათუოდ ამოქმედდება და ის ააფეთქებს კიდეც რუსეთის ფედერაციას, რასაც სიამოვნებით შეხვდება დასავლეთ ევროპა, ვინაიდან დაშლილი და შემცირებული რუსეთი ვეღარავის დაემუქრება; აკვიატებული, საუკუნოვანი აზრიც დიდი დერჟავობის შესახებ საბოლოოდ დასამარდება. ევროპა მიიღებს საშუალო ზომის ერთ ჩვეულებრივ ქვეყანას, რომელიც საერთო თამაშის წესებიდან არასოდეს ამოვარდება და არც ზედმეტ თავსატეხს გაუჩენს ვინმეს. მას არ ექნება საშუალება აკონტროლოს შორეული აღმოსავლეთის განუსაზღვრელი წიაღისეული სიმდიდრეები და მისი მოხმარების განაწილების საკითხსაც დასავლეთში გადაწყვეტენ. ეს არის კოსოვო - იგი რუსეთმა უკვე გადაყლაპა და ახლა მეთევზეს ისღა დარჩენია ღლავის მოქანცვას დაელოდოს და შემდეგ წყლიდან ამოათრიოს.

ჩვენ კი ქართველებს, ბუნებით სულსწრაფობა მოგვდგამს, მოთმინება და ლოდინი სამწუხაროდ არ გვეხერხება;

დასავლეთისკენ აჩქარებული ტემპით მოძრაობა, როდესაც იქ, არც ჩვენს მისაღებად და მით უმეტეს, დასაცავად, ლაპარაკის გარდა არაფრის მოქმედნი არ არიან, შეცდომა იყო. გამოდის რომ დასავლეთზე გაზვიადებულმა წარმოდგენამ, დათვური სამსახური გაგვიწია. გვეგონა, რომ თუ იქიდან თითს დაუქნევდნენ, შეშინებული რუსეთი ყველაფერზე უკან დაიხევდა,. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მართვის გასაღებებს უცბად ჩაგვაბარებდა, თვითონ კი კავკასიის მთებს იქით გადაიკარგებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოვლენები სწორედაც საპირისპიროდ და რუსეთისთვის დამახასიათებელი სცენარით განვითარდა;

ახლა რაც შეეხება გამოსავალს - ეს არის დროში გაწელილი ლოდინი რუსეთის ფედერაციის დაშლისა. რაც უსათუოდ მოხდება, მაგრამ რა დრო დაჭირდება ამას ეს დამოკიდებული იქნება მთელ რიგ სუბიექტურ ფაქტორებზე; კერძოდ, იმ შეცდომებზე, კრემლის კორუმპირებული ოლიგარქები უსათუოდ რომ დაუშვებენ მათი ბუნებიდან გამომდინარე. რასაც დაემატება: რუსეთში კორუფციის წარმოუდგენელი მასშტაბები, რეგიონებს შორის ეკონომიკური განვითარების სერიოზული დისბალანსი, საშინელი დემოგრაფიული მდგომარეობა, მართვის ავტორიტარული სტილი, რომლისგანაც ვერა და ვერ თავისუფლდებიან, და სხვა ფაქტორები. ყველაფერი ეს და დასავლეთის ფარული ინტრიგები რუსეთის ფედერაციის დაშლას შეუქცევადს გახდის, რაც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების წინაპირობა გახდება. სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს, თუკი ვინმე ფიქრობს, რომ დასავლეთი რუსეთზე ისეთ ზეწოლას მოახდენს, რომ მათ უკან დაახევინებს და ჩვენ ორკესტრის თანხლებით დავიბრუნებთ ოკუპირებულ ტერიტორიებს - ფუჭი იმედია. დასავლეთმა თურქეთი ვერ აიძულა - კვიპროსის ოკუპაციისათვის დაესვა წერტილი, ხოლო რუსეთში მათი მოჩვენებითი ფაცი-ფუცი სასაცილოდ არ ჰყოფნით.

აკაკი ვარაზაშვილი
*(დაიბეჭდა მცირედი)*

# ეკლესიის მამები მრევლს 9 აპრილის მიტინგზე წასვლას უკრძალავენ

ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის წლევანდელი დღესასწაული (19(6) აპრილი) დიდმარხვის უკანასკნელ კვირეებს ითვლის.

საერო ცხოვრებაშიც, მოახლოებული 9 აპრილის მიტინგის გამო იმატა დაძაბულობამ.

საპატრიარქო, რომელიც დღემდე ვერ გათავისუფლებულა ხელისუფლების ზეგავლენისაგან, აქტიურად ცდილობს სააკაშვილის ანტიეროვნულ-ანტისახელმწიფოებრივი ხელისუფლების სასარგებლოდ გაანეიტრალოს, ან სულაც აღკვეთოს საპროტესტო გამოსვლები და ამ მიზნით, ტაძრებში მომრავლებულ მრევლს, 9 აპრილს დანიშნულ მიტინგზე წასვლას კატეგორიულად უკრძალავს. აკრძალვის მოტივად დიდმარხვა სახელდება, რაც თავისთავად სათნო და ქველკანონიზებულ მორჩილებას მოითხოვს ყოველი მორწმუნის მხრიდან, თუმცა ეკლესიის წინამძღვრები და მღვდლები, თავად, რატომღაც ივიწყებენ კანონიკურ წესებს და ამბიონებიდან, საღვთო სწავლებებისა თუ ქადაგებების ნაცვლად, უმეტეს წილად, მინი-მიტინგებს უტარებენ მორწმუნე მრევლს. ასე ხდება აღდგომის ამ დიდმარხვის დღეებშიც საპატრიარქოს დავალებით.

29 მარტს, სოლოლაკის ზემო ბეთლემის ერთმა ანგლმა და ჭკუამხიარულმა მღვდელმა, რომელიც წირვა-ლოცვებს სულ მუდამ ანგლობით და სულსწრაფობით ატარებს, საკვირაო „ქადაგებაში“ (იგი მხოლოდ პოლიტიკური შინაარსის „ქადაგებებს“, ატარებს) მოურიდებლად გაამათრახა ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის საქართველოს მთელს ისტორიაში წარმოებული ბრძოლები. გააბიაბურა ქართველთა პატრიოტული და გმირული სულისკვეთებანი. დასცინა ახალი და უახლესი პერიოდის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, გაატრივაზა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და იგი ბარაბად მოიხსენია, დაგმო 9 აპრილის გმირული თავგანწირვა და იქვე ცინიკური კითხვაც დასვა: „დამოუკიდებლობა.... თავისუფლება... რა, დამოუკიდებლები ვაართ?! - ჯერ იყო და შევარდნაძის გადადგომას მოითხოვდნენ - „გადადექი გადადექი! ახლა მიშასი...“

მამა კირიონის (ერისკაცობაში ზურაბ ზეინკლიშვილი) მსგავსი პოლიტიზირებული „ქადაგებები“, პატრიარქის მითითებით ტარდება თითქმის ყველა მოქმედ ეკლესიაში ამავე შინაარსისაა თვით პატრიარქის უკანასკნელი საკვირაო ქადაგებებიც.

მამა კირიონს, ერთი შეხედვითაც ცხადად ეტყობა, რომ მას რეკვიზიტისეულ ქართულ გვართან ატავისტური წინააღმდეგობები აქვს და სასურველია, კარგად გაერკვეს საკუთარ ეთნო-გენეზისში; მიუხედავად იმისა, რომ იგი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელია, არავინ მოუთმენს ჩვენი ისტორიისა და ეროვნული ღირსების შეურაცხყოფას.

იმის გამო, რომ ეკლესიის უმრავლესი სამღვდელო პირი დაბალი სოციალური ფენის და მწირი განათლების მქონეა, ინტელიგენცია თავს არიდებს მათთან ურთიერთობას და მრევლთა შორის ისინი თითზე ჩამოსათვლელნი არიან, რაც სამღვდელოებას შესაძლებლობას უქმნის მოუზღუდველად იქადაგონ მსგავსი მკრეხელობები. მაშინ, როცა მრევლთა უმრავლესობამ ჯეროვნად არ იცის ზიარების წესი, მეტანიისა და ზეთისცხების რაობა და ა. შ. უღირსად ეზიარებიან რითაც მძიმედ სცოდავენ. ჩვენ მორჩილად რამდენჯერმე მთხოვეთ მამებს, რომ ყოველი ზიარების წინ გამოაცხადონ ზიარების წესი, რათა სრულად გამოირიცხოს უნებლიე ზიარების შემთხვევა, მაგრამ არ იქნა გათვალისწინებული. თუმცა, მრავალ ეკლესიაში, მღვდლები, ზიარებას, სწორედ ამგვარი აუცილებელი განმანათლებლური ქადაგებით იწყებენ.



*პატრიარქის სათნო ხუნტის ხელისუფლება*

რაც შეეხება სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, დიახ, სამწუხაროდ, ფაქტობრივად დავკარგეთ იგი, რაშიც ლომის წილი უდევს საპატრიარქოს, კერძოდ - კათოლიკოს-პატრიარქს ილია II, რომელიც საიდუმლო კავშირში იყო რუსეთის აგენტურულ ქართულ პოლიტიკურ ძალებთან და კანონიერ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, შობის მარხვის დღებეში არ მოუწოდა მათ სიმშვიდისაკენ, არამედ მიემხრო ხუნტას და 13 წლის განმავლობაში ლოცვა-კურთხევას არ აკლებდა საქართველოს მაოხრებელ ხუნტისტურ ხელისუფლებას.

სენტიმენტალური ხმები იმის შესახებ, რომ პატრიარქმა, თითქოს მოინანია ერისა და ქვეყნის წინაშე ჩადენილი ზემოხსენებული ცოდვა, მითია, რაზეც მეტყველებს ეკლესიის უმრავლესი მამების, თუნდაც დღევანდელი მძულვარე ქადაგებები ზვიად გამსახურდიას მიმართ, რასაც, პატრიარქის ნების საპირისპიროდ, მღვდელთაგან ვერავინ გაბედავდა.

სანამ ეკლესია არ გაიწმინდება საბჭოთა რუსეთის მიერ ჩანერგილი ანაფორიანი მგლებისაგან, მანამ ღვთის მადლი არ გადმოვა, არც ჩვენზე და არც ჩვენს ბედკრულ სამშობლოზე, თუნდაც სრულიად საქართველოს ეკლესიებმა, ვერ დაიტიოს მორწმუნე და გულითადად მლოცველი მრეველი.

ჩვენ, ამასთანავე, მთელი სისავსით ვაცნობიერებთ საპატირარქოში შექმნილ ჩასაფრებულ ვითარებასაც პატრიარქის სავარძელის შესაძლო გამოთავისუფლებასთან დაკავშირებით, რომ კვლავ რუსეთის სასურველი პატრიარქით მოხდეს ახლის ჩანაცვლება, რისთვისაც სამზადის - თადარიგი რუსეთს, უკვე დიდი ხანია დაწყებული აქვს, რაც ერმა და ბერმაც არ უნდა დავუშვათ.

მღვდელმთავრების შურმა და გაუტანლობამ თვით იესო ქრისტეს განუმზადა გოლგოთის ჯვარი და რა გასაკვირია, დღევანდელი მღვდელმთავრების არჩევანი, ბარაბა შევარდნაძე-სააკაშვილსა და ზვიადს შორის, რომ პირველთა სასარგებლოდ გადაწყვიტეს.

მღვდელი კირიონის მიერ ზვიადის ბარაბად შერაცხვამ სურვილი აღმიძრა გამეკეთებინა რამდენიმე ამონარიდი, რომელიმე სახარებიდან ქრისტეს ჯვარცმასთან დაკავშირებით. მითუმეტეს, როდესაც, ეკლესიებში, სახარების ეს თავები იჩქმალება და არასრულად იკითხება, რისი მიზეზითაც ხალხში გავრცელებულია არასწორი ცოდნა ქრისტეს ჯვარცმის მოსურნეთა რეალური ვინაობის შესახებ.

ზეპირი და მოარული ცოდნის მიხედვით, ჯვარცმისათვის ულმობლობით გამეტებულ ქრისტესა და ბარაბას შორის, არჩევანი, თითქოს, ხალხმა გააკეთა.

მოდით ერთად, გულისყურით წავიკითხოთ მარკოზის სახარების მეთხუთმეტე თავის დასაწყისი:

„1. ინათა თუ არა, ბჭობა გამართეს მღვდელმთავრებმა, უხუცესებსა და მწიგნობრებთან ერთად, და მთელმა სინედრიონმა, და შეკრეს იესო, წაიყვანეს და მისცეს პილატეს“.

„3. და მღვდელმთავრები ბევრ რასმე სდებდნენ ბრალად“.

„9. ხოლო პილატემ მიუგო და უთხრა მათ: თუ გნებავთ გაგითავისუფლებთ თქვენ იუდეველთა მეფეს.

10. მაგრამ მღვდელმთავრებმა წააქეზეს ხალხი, რათა უმალ ბარაბა გაეთავისუფლებინა მათთვის.

12. ხოლო პილატემ მიუგო და კვლავ უთხრა მათ: კი მაგრამ, რა გსურთ რომ ვუყო იმას, ვისაც იუდეველთა მეფეს უწოდებთ!

13. ისინი კვლავ აყვირდნენ: ჯვარს აცვი იგი!“

ოთხივე სახარებაში, მცირედი ტექსტობრივი სხვაობებით, ქრისტეს ჯვარცმის წამქეზებლები და ბარაბას გამომხსნელები მღვდელმთავრები არიან მწიგნორებთან ერთად.

ქრისტესდროინდელ მღვდელმთავრებსა და XX-XXI საუკუნის მღვდელმთავრების მორალში, თითქმის არაფერი შეცვლილა, მაგრამ ამ მწარე რეალობამ კი არ უნდა დაგვაშოროს ეკლესიას, არამედ უფრო მეტად დაგვააახლოვოს მას, რათა უფლის სახლში მართალნი და უფლის ჭეშმარიტი მოყვარენი მრავლობდნენ.

წინასწარ ვიცი, ამ წერილის საჯაროობის გამო, მძიმედ მარხულს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე, უსათუოდ უზიარებლობით დამსჯიან. უფლისა და სამშობლოს სიყვარულით მზადა ვარ მორჩილად და უდტრვინველად მივიღო ულმობელი და უსამართლო სასჯელი.

სანამ ეკლესიაში მაინც არ დამკვიდრდება სიყვარული და სამართალი, მანამ ლოცვის მადლი არ გადმოვა ჩვენზე.

ღვთის სახლის ჩვეულებრივმა მოკვდავმა მღვდლებმა, ზემოთქმულის გამო, იქნებ ეკლესიიდანაც გამაგდონ.

ბოროტი ეკლესიაშიც მძვინვარებს.

ლეილა კომაია

# მოსკოვის პატრიარქად ჩეკისტ „მიხაილოვის“ დანიშვნას დასავლეთში დიდი ხმაური მოჰყვა

ამერიკულმა გაზეთმა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ აღნიშნა, რომ ამერიკაში სექსუალური უმცირესობა, ძირითადში გარყვნილობის მოყვარული. სტარჰიტის გარშემო შეჯგუფულები, ღიად მიესალმნენ ჩეკისტ „მიხაილოვის“ დანიშვნას რუსეთის პატრიარქად. „კონსერვატიული მართლმადიდებლობის“ „პრავაია.რუ“ საიტზე დაყრდნობით, ამერიკულმა გაზეთმა მიუთითა, რომ „მიხაილოვი“ მგზნებარე ეკუმენისტია, კეთილგანწყობილი კათოლიკებისადმი.

კანადის ინგლისურენოვანი გაზეთი „ესტონური ცხოვრება“ იუწყებოდა, რომ კირილეს „ფინო-უნგრული ფესვები მიიქცევენ - ზოგიერთი რუსი ნაციონალისტების ყურადღებას“.

ჩვენი მხრიდან აღვნიშნავთ, რომ ის ისეთივე ფინო-უგრაა (მორდვინა), როგორი მონაცვლეობითაც რიდიგერი იყო, ხან „გერმანელი“, ხან „ესტონელი“. ყოველ შემთხვევაში, „ფინო-უგრას“ (მორდვინის) გარეგნობით, ის მიუღებელია ნამდვილი ფინო-უგრევისთვისაც, რომლებიც დარჩნენ წარმართებად და დღეს შიშობენ შესაძლო ძალადობრივი გაქრისტიანების გამო მგზნებარე ახლადმოვლენილი „მიწაწყლელისგან“.

ინგლისურენოვანი გაზეთი „ბუდაპეშტთაიმსი“ სტატიაში „ღვთის კაცი, აგრეთვე მუშაობდა კგბ-ში“ გვახსენებს, რომ სამი კანდიდატიდან: კგბ-ს აგენტ „ტოპაზა“ (კლიმენტი), კგბ-ს აგენტ „ოსტროვსკი“ (ფილარეტი) და კგბ-ს აგენტ „მიხაილოვიდან“ (კირილე) „პატრიარქად“ არჩეულ იქნა ჩეკისტი „მიხაილოვი“ და ამ პიროვნებათა მუშაობა კგბ-ში დადასტურებულ იქნა საპარლამენტო კომიტეტის მიერ ლიბერალური დემოკრატიის რუსეთის მოკლევადიან ფილტრის დროს 1990-იან წლებში“.



ამერიკულმა გამოცემამ „ტრუმპეტ“ მიუთითა, რომ ზოგიერთი პროტესტანტი უკვე 40 წელია წერს კათოლიკების საიდუმლო გეგმების შესახებ მის წიაღში დააბრუნონ მართლმადიდებლები და პროტესტანტები და რომ კირილეს დანიშვნა - ამ გეგმის ნაწილია ერთიანი მსოფლიო ფსევდოქრისტიანული ეკლესიის შესაქმნელად. გამოკითხვის თანახმად რუსების მხოლოდ 5% არის მართლმადიდებელი, რომელიც იცავს აუცილებელ რიტუალებს, და გვახსენებს, რომ კირილი არის სატელევიზიო შოუმენი, ეკრანზე ხშირად მოელვარე.

კირილი უმდიდრესი გახდა მას შემდეგ, როდესაც მან 1990 წელს რუსეთში შეიტანა 8 მილიარდი სიგარეტი.

კირილმა ეს ფულები ჩადო საავტომობილო წარმოებაში და ეკონომიკის სხვა სფეროებში. ამჟამად ის არის რუსეთში ყველაზე მდიდარი საეკლესიო პირი, ასაბუთებს პროტესტანტი პასტორი მაიკლ ბურდო. ბურდო წერს „თაიმსში“, რომ კირილე ყოვლისშემძლე ადამიანია, რადგან მან შეძლო დაებლოკა რუსული პორტალი კრედო.რუ.

*სკანდალი გრუ-ს პოლკოვნიკმა კვაჩკოვმა გახსნა, რომ რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ახალი მეთაური სოდომისტია.*

*22 თებერვალი, 2009 წელი*

ინტერნეტში განთავსებული ვიდეო ინტერვიუ გრუ-ს პოლკოვნიკ კვაჩკოვთან რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ახალი მეთაურის გუნდიაევის შესახებ, ცნობილია, აგრეთვე კგბ-ს აგენტის ოპერატიული მეტსახელით კგბ-ს აგენტ „მიხაილოვი“.

ჟურნალისტის კითხვაზე გუნდიაევის შესახებ სამხედრო მზვერავმა განაცხადა, რომ გუნდიაევი, ოფიციალური ტიტულით „მიტროპოლიტ კირილლი სმოლენსკისა და კალინინგრადის“ არის ფართოდ ცნობილი სოდომისტი და უწოდა მას „მიტროპოლიტი სოდომ-გომორისა“.

# თევზს ყოველთვის ხახა ღუპავს

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის გამოსვლების გააქტიურების პარალელურად რუსეთში მოღვაწე ზოგიერთ სომეხს გაურთულდა რუსოფობიის ავადმყოფობა. ამ არმენთა სამხედრო-პოლიტიკური ორკესტრის წევრია ყველა ის, ვისაც არ ენაღვლება ქართულ-სომხური ურთიერთობების წახდენა. როგორც სატურნს გააჩნია დამცავი რგოლები, ისე გარუსებულ ქართველთმოძულეებს კვებავს კრემლის იმედი. ადრე ა. მიგრანიანის და კ. ზატულინის ტანდემის აქტიურობის მოწმენი გახლდით. ჩვენში წყლის ამღვრევის მცდელობაში დღეს რუსულ-სომხურ ტანდემში მოდეს კოლეროვსა და დუმის წევრ ს. ბაღდასარიანს უხმეს, რესეთის უკიდეგანობამ სომეხ ქართველთმოძულეებს განუსაზღვრელი სივრცე შესძინა. ეტყობა, უნდა დავემშვიდობოთ დროს, როცა რომელიმე ქართველს - არმენობას, ან რომელიმე ჩვენ ძეგლს არმენულ მხარეს მიაწერდნენ. ახლა ჩვენ გველის უფრო რთული შემოტევების გაუვნებელყოფა. პარტია „სამართლიანი რუსეთის“ დეპუტატი ს. ბაღდასარიანი რუსეთის ხელისუფლებას ურჩევს: მიღწეულზე ნუ შევჩერდებით და საქართველოს დარჩენილი ნაწილის „კონფედერალიზაციისათვის“ ძალისხმევა არ დავიშუროთო. ჩვენ საქართველოს კონფედერაცია უნდა მოვახდინოთ არა იურიდიული, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით (ეს არის ჩვენი პრეროგატივა). საქართველო მინი რესპუბლიკაა, სადაც კომპაქტურად არიან დასახლებული სხვადასხვა ეროვნული უმცირესობებიო. აგრეთვე ქართველი ხალხის სუბეთნოსი, რომელიც ერთმანეთისაგან მეტისმეტად განსხვავდება. ჩვენ პროპაგანდა უნდა გავწიოთ საქართველოს მოსახლეობაში, კონტაქტი დავამყაროთ რეგიონალურ ლიდერებთან და უმცირესობების წარმომადგენლებთან. საქართველო უნდა გახდეს ისეთი ქვეყანა, როგორიც ლიბანია - ფორმალურად უნიტარული, სინამდვილეში კი კონფედერაციული სახელმწიფო, სადაც სტაბილურობა სხვადასხვა სათვისტომოთა შორის მოლაპარაკებებს ემყარება“ ამის დამწერს, შეიძლება ჩვენი ძმა ვუწოდოთ? მაგრამ ამ დღეში ხომ თავად ჩავიგდეთ თავი ჩვენი უნიათობით?

ზეწოლას ვერ გაუძლო ნაპრეზიდენტალმა ლეონ ტერ-პეტროსიანმაც - „რომ არა რუსეთი, ქართველები ოსებს სულ გაწყვეტდნენო“, - წამოსცდა მას. საბედნიეროდ რა გამოლევს ქვეყანაზე პატიოსანთ. მოვუსმინოთ ორგანიზაცია „დემოსის“ მოსკოველ წარმომადგენელს ალექსანდრე მნაცაკანიანს. იგი ორჯერ იყო ცხინვალში - ომამდე და ომის შემდეგ. „კრემლში მუშავდება საქართველოს დისკრედიტაციის პროექტი. რუსეთში მოდურ ტენდენციად იქცა ფაშისტური იდეოლოგია. ლიმონოვის პარტია კრემლს მკვეთრი პოლიტიკისაკენ მოუწოდებს, რომ რუსეთში სუფთა რასა - რუსები დაფუძნდნენ, ხოლო დანარჩენები განიდევნონ“. შემდეგ ავტორი წერს: კრემლი იმპერიალისტური იდეებით არის შეპყრობილი. მას ყველა ქვეყანაზე ზემოქმედების ბერკეტები უნდა და სტრატეგიული ობიექტების დაკავებითაც არის დაინტერესებული... სამხრთ ოსეთს რუსეთი საქართველოზე ზემოქმედებისათვის გამოიყენებს... შეეცდება პირდაპირ აღარ ჩაერიოს ომში“. შემდეგ ვკითხულობთ: „ომის დაწყებამდე ცხინვალში მხოლოდ სამხედროფორმიანი მამაკაცები დამხვდნენ. ქალები და ბავშვები გახიზნულები იყვნენ. კოკოითმა საომარი თადარიგი წინასწარ დაიჭირა“. „9 აგვისტოდან ერთი კვირა ვიყავი ცხინვალში, ცხინვალის საავადმყოფოში 44 ადამიანი აღმოჩნდა, როცა რუსული მედიით 1600 დაღუპულს ასახელებდნენ“. „ქართველების ძალადობაზე და მხეცობაზე მითებს ავრცელებდნენ... 12 აგვისტოს ქართული სოფლების პერიმეტრზე - თამარაშენიდან კეხვამდე, საზარელი სურათი ვიხილეთ. ქართული სოფლები მთლიანად გადამწვარი იყო... იმ დღეებში საკუთარი თვალით ვნახე, როგორ თვითნებობდნენ სეპარატისტები. ყოველ ფეხის ნაბიჯზე მათი მოროდიორობის ფაქტები გვხვდებოდა“. არ შეგრცხვება ლევონ ბატონო, ამ ტექსტს რომ წაიკითხავ? „სინამდვილეში სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის მონაცემებით, 135 ადამიანი დაიღუპა“... „ჩანდა რომ რუსეთის ხელშეწყობით, ოსებმა მართლაც მოუწყვეს ქართველებს გენოციდი: სოფლების გადაწვით. მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებით, განდევნით“ (გაზეთი „ივერია“, 17-18 სექტემბერი, 2008). ტერ-პეტროსიანს შევახსენებთ, რომ ქართველების ეთნოწმენდის ფაქტები ევროსაბჭოს 29 იანვრის 2009 წ. სესიამაც დაადასტურა.

შექმნილ სიტუაციაში ევროპელთათვის გაცხადდა კრემლის ფაქტიური ზრახვები, სეპარატისტების დამოუკიდებლობის აღიარებით რუსეთმა მიიტაცა საქართველოს ტერიტორიები, მაგრამ იქ სამხედრო ბაზების გახსნით მკვეთრი ნაბიჯი გადადგა ნატოს წინააღმდეგ და ამით დამატებითი მოწინააღმდეგეები შეიძინა. ეტყობა ამას რუსებს არავინ შეარჩენს. ჩვენი ხელისუფლება კი საქართველოს სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტიდან კვლავ ჩამოშორებულია და ელოდება მოვლენების სამომავლო განვითარებას.

გოჩა დანელია

# ხეთური ცივილიზაცია



ხეთები უშიშარი და უძლეველი მეომრებიც იყვნენ და საუკეთესო მიწათმოქმედნიც. კოლხეთის მსგავსად ხვავითა და ბარაქით მუდამ აღვსილი ჰქონდათ თავიანთი ქვეყანა. მათი მთაგორიანი მიწები აღჭურვილი იყო სარწყავი სისტემებით.

ხეთი სამი დიდი მხარისაგან შედგებოდა: მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით - პალა, სამხრეთ-დასავლეთით - ლუვია, ცენტრალურ ნაწილში კი - ქაბადოკია (ახლანდელი - კაბადოკია) ამ ტოპონიმს თუ გალების (მარიგალის) საერთო ქართველური ტომის უძველეს ენაზე: ქა - მიწის დედაღვთაებაა, როგორც მისი სინონიმი ქი-ანა, რაც ქვეყანას, სამშობლოს, სამყაროს ნიშნავს, ბა - სამყაროს შემქმნელის - დიდი ბა-ბა ღმერთის სახელია, დო, ანუ და - კავშირია, ხოლო ია - აღნიშნავს შვილს.

თვალსაჩინოებისათვის გალურ-ქართველურ ენაზე გავშიფროთ ხეთების სახელმწიფოს უძველესი დედაქალაქი ჰათუთაში და ახალი დედაქალაქის ანკარა, ანუ ანი-ქარ-რა, სახელწოდებები: ჰა-თუთა-ში: ჰა - მამაზეციერი, თუთა - მთვარეა, ასე იკითხება: დიდი ბაბა და მთვარის ღვთაების ქალაქი, ანი-ქა-რა: ანი - ცის ღმერთი, ქა - მიწის ღვთაება, რა - მზის ღვთაება.

კოლხებთან ერთად, ხეთებმა საკუთარი წვლილი შეიტანეს ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში, მათ გამოადნეს სპილენძი და დარიშხანთან შენაერთით მიიღეს ახალი, უფრო მკვრივი მასალა - ბრინჯაო. მათ გამოიგონეს ბორბალი, და ბრინჯაოსაგან შექმნეს სამცხენშებმული ორთვალა ეტლი, რომელზედაც მეეტლის ორივე მხარეს მშვილდისრით აღჭურვილი მეომარი იდგა და ბრძოლის ველზე სწრაფად და მოხერხებულად მოქმედებდნენ, შიშის ზარს სცემდნენ მოწინააღმდეგე ქვეყნის მეომრებს და თანდათან მათი სახელმწიფოს მიწები სულ უფრო ფართოვდებოდა.

მდინარე ნილოსის შუა წელთან, იქ სადაც ეთიოპიური - ყვითელი კანის ადამიანები სახლობდნენ, მდინარის მიერ დატბორილი მიწები უხვმოსავლიანობით გამოირჩეოდნენ, რითაც დაინტერესდა მეზობელი ქვეყნების ხალხები: კოლხები, ხეთები, ქანაანელები, ფერიზეველები, ქალდეები, რომლებმაც ამ ტერიტორიაზე ახალშენი დასახლებანი შექმნეს და შედარებით მოგვიანებით ძვ.წ. 2700 წელს აქ ჩამოყალიბდა ეგვიპტის სახელმწიფო, რომელიც სამხედრო, ეკონომიური და კულტურული სიძლიერით მუდმივ ქიშპობაში იყო ხეთებთან, თავისი ჰეგემონიის გავრცელების მიზნით. შემდგომ საუკუნეებში, ამ ქიშპობას, რომელიც ისტორიაში ქადეშის ომის სახელითაა ცნობილი, ფართომასშტაბიანი სისხლისღვრა მოჰყვა.

ხეთებისა და ეგვიპტელების სამხედრო სიძლიერე თითქმის თანაბარი იყო, მაგრამ ხეთები სიმამაცით ჯაბნიდნენ მომხვდურებს და მათი ციხე-ქალაქები აუღებელი იყო. ამის გამო ხშირად ზავდებოდნენ.

ათასწლეულების მანძილზე მრავალი საზავო ხელშეკრულებები იქნა აღმოჩენილი და წაკითხული, როგორც ეგვიპტის, ასევე ხეთების თიხის ფირფიტებზე.

ამრიგად, ხეთების კოლხურ წარმომავლობაზე ჯერ კიდევ გრძელდება კვლევები და არქეოლოგიური აღმოჩენები.

ყურადღებას იმსახურებს ძველი აღთქმის X (15) თავში ნახსენები სახელწოდება ხეთი, რომელიც დიდი ქურუმ-განმანათლებლის და პატრიარქის ნოეს შვილისშვილის შვილია.

ეს იყო მსოფლიოში უდიდესი და უძლიერესი თავდაცვითი ნაგებობა 2-3 მეტრიანი სისქის კლდის უზარმაზარი ლოდებისაგან ნაგები გალავნით, მთაში ქვითკირის კლდეებში გამოჭრილი უთვალავი ოთახებით, რომლებიც ლაბირინთებით იყო შეერთებული. შემდგომ იგი ყოველთვის იყო კოლხეთის მეფეების სატახტო ქალაქი, რომელმაც მშვენიერი ჩუქურთმებით გააოცა მნახველი არგონავტები ჩვ.წ. აღრიცხვამდე 1400 წლის წინ და ამიტომაც უწოდეს მას არქეპოლისი ანუ უძველესი ქალაქი. კოლხური წარსულის დაკნინებით ანთებულმა ქართველმა მეცნიერებმა კი მას ციხე გოჯი თუ გონჯი უწოდეს. მართალია მეგრელებმა კოლხური ქალღმერთის ეას ხსოვნა დაკარგეს, მაგრამ სამაგიეროდ, შემოკლებით მას ნოქალაქევი ანუ ნოეს ქალაქი უწოდეს და ეს სახელი სამარადჟამოდ შეუნარჩუნეს ერს. დღესაც მეგრელი ხალხი მას ნოეს ქალაქს ანუ ნოქალაქს უწოდებს და არა ნაქალაქარს!



პრეისტორიულ ხანაში, სამყაროს შემქმნელი შემოქმედის - ღმერთის ნებით, დედამიწაზე ადამიანის გენის არსებობის გასახანგრძლივებლად შეიქმნა 7 რასა, რათა კაცობრიობა დაცული იქნას გენეტიკური მუტაციისგან, ანუ მონათესავე ადამიანების, ერთი და იმავე სისხლის შეჯვარების შედეგად მიღებული ავადმყოფი ადამიანების გაჩენისაგან, რომლებსაც აღარ აქვთ, როგორც გამრავლების, ასევე მათ სისხლს არ გააჩნიათ მიკრობებთან და დაავადებებთან ბრძოლის უნარი.

ხოლო სხვადასხვა რასის ადამიანების სისხლის ნელნელა ერთმანეთში შერევა დედამიწაზე მილიარდობით წლების მანძილზე შეუნარჩუნებს კაცობრიობას არსებობას.

პატრიარქმა და ქურუმ-განმანათლებელმა, რიგით მე-6 ღვთისშვილმა ნოემ და მის ეპოქაში, მის გვერდით მოღვაწე სწავლულმა მამებმაც შენიშნეს, რომ ადამიანებში ძალზედ გავრცელდა თავაშვებული სექსუალური ურთიერთობანი, რამაც დიდი ზიანი მიაყენა უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლეს, იბადებოდნენ თაობები, რომლებსაც გამრავლების უნარი არ გააჩნდათ, ფიზიკურად განუვითარებლები იყვნენ და მათ სხეულს ადამიანებისთვის დამახასიათებელი ლაზათი და მშვენიერება არ გააჩნდათ. პატრიარქი ნოეს თაოსნობით რიონის ზღვის შესართავთან არსებულ ქალაქ ფუთის (ფოთი) ეკლესიაში დაიწერა ე.წ. პირველი სჯულის კანონი, მას ხალხში ე-ფუთი ჰქვია, ანუ დედა ღვთაების ეა-ს და ქალაქ ფუთის სიტყვათა კრებულს წარმოადგენს.

პირველი სჯულის კანონის მიხედვით უსასტიკესად ისჯებოდა ახლო ნათესავი ქალი და კაცი, რომელიც ერთმანეთთან წყვილდებოდა. ეს წესი, სხვა ქვეყნებთან შედარებით, დღესდღეისობით ყველაზე კარგად მხოლოდ კავკასიის ხალხებშია დაცული.

ამრიგად, პატრიარქმა ნოემ და მისმა თანამოაზრე საეკლესიო მსახურებმა შექმნეს I სჯულის კანონი - ეფუთი, რითაც ერთგვარი ცნობიერი წარღვნა მოახდინეს ამ ეპოქაში.

ახლა კი ცალკე შევეხოთ ნოეს გალურ-კოლხურ-ქართველურ წარმომავლობას და წარღვნის თემებს;

- ასეთი ხმამაღალი განცხადებების გაკეთების ნებას მაძლევს თვით კოლხურის ტოპონიმიკა, რომლის შესწავლასაც მთელი სიცოცხლე მოვანდომე და აღმოვაჩინე, რომ თურმე მთელი მსოფლიოს ხალხთა წინამძღოლი მამის - ნოეს დაბადების ადგილი კოლხეთი, კერძოდ კი, სენაკის რაიონის სოფელი ნოღაა. ნო-ღა ასე უნდა დავმარცვლოთ ტოპონიმი, რომლის პირველი ნაწილი თავად ნოეზე მიგვანიშნებს. ღა კი - მეგრულად ნიშნავს შობას, ანუ ამ სიტყვის შინაარსი პირდაპირ გვეუბნება, რომ ნოეს დაბადების ადგილი ვარო. ქართულშიც ასეა, ბა-ვშვი, ბა-ვშობე, ბა-გავაჩინე, ბა-მეყოლა-ო, მეგრულში ბა-ღა-ანა, რაც ასე იშიფრება ბა-ვშობე ანი ღმერთის შემწეობითო. სხვათა შორის, სოფ. ნოღაში ჩამოდის პატარა მდინარე, რომელშიც, როგორც ჩანს, ნოე პატარაობისას ბანაობდა ხოლმე, რადგან ნოეს სახელი დღემდე აქვს შემორჩენილი და ნოეს ღელეს, შემოკლებით კი ნოღელას უწოდებენ იქაურები.

ამას გარდა, მოგეხსენებათ, რომ ნოე ბერძნულ მითოსში დევკალიონად მოიხსენიება. არგონავტიკაში დევკალიონი ღმერთთან დაახლოებული პირია და სწორედ მას ანდობს მამაზეციური წარღვნის დადგომის ჟამს და მას ასწავლის კიდობნის აგების წესს. როდოსელი არგონავტიკაში გარკვევით წერს, რომ წარღვნის შემდეგ დევკალიონმა ააშენა მზის ღვთაების „რა“-ს საპატივსაცემოდ მსოფლიოში პირველი ქალაქის ტიპის დასახლება - ონი (ამჟამად რაჭველების ქალაქი ონი, რომელსაც ჩამოუდის კოლხეთის უდიდესი მდინარე რომელსაც მზის ღვთაების სადიდებლად უწოდებენ რაონს და არა რიონს, ასევე ნოე აშენებს უძველესი კოლხური ქალღმერთის ეას სახელობის მეორე ციხე-ქალაქს ეა-ს, რომელზეც როდოსელი თავის დროზე წერდა: „არგონავტების მფარველმა ჰერამ ნისლით დაფარა მთელი მიდამო, ჯანღით დაბურა ქალაქი ეა, რომ სასახლემდე ფარულად ევლო“.

ბორის გოგია

# ახალი წიგნები

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ეთერ მგალობლიშვილის რედაქტორობით გამოვიდა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ პოლიტიკურ ორგანიზაციათა ცნობარი, რომლის პრეზენტაცია მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-VIII კორპუსის სხდომათა დარბაზში. პრეზენტაციას მრავალი ადამიანი დაესწრო.

ცნობარში წარმოდგენილია მოკლე ისტორია და პროგრამა-წესდებანი ბლოკში „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ შემავალი პოლიტიკური ორგანიზაციებისა, იმ ორგანიზაციებისა,




რომელთაც მყარი ნიადაგი მოამზადეს საქართველოში პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად და ამ არჩევნებში 1990 წლის 28 ოქტომბერს უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს, საქართველოში მშვიდობიანი გზით დაამხეს თავს მოხვეული მრავალწლიანი კომუნისტური დიქტატურა, რითაც სრულიად ახალი, უმნიშვნელოვანესი ეტაპი დაიწყო თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

აქვე მოცემულია ბლოკის „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმა, რომლითაც ეროვნული მოძრაობა არჩევნებამდე წარდგა სრულიად საქართველოს მოსახლეობის წინაშე.

ცნობარში შეტანილია ასევე ბატონ ზვიად გამსახურდიას ცალკეული მიმართვები საქართველოს მოსახლეობისადმი, ღია წერილები ედუარდ შევარდნაძისადმი, ხაზბულატოვისადმი და საქართველოს ჰელსინკის კავშირის თბილისის ორგანიზაციისა და სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების განცხადებები.

ცნობარი, გარკვეულ დახმარებას გაუწევს საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიის მკვლევარებს. ვფიქრობთ, ის ინტერესს მოკლებული არ იქნება ისტორიკოსების, ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტებისა და ასევე მკითხველთა ფართო წრისათვის. წერს ავტორი.

ლიტერატურული გვერდი

# მინიატურული ჩანახატები

## ჭაჭა ქარდავა



### ბედის ირონია

ბავშვობა უდარდელი...

ყრმობა და პირველი სიყვარული... იმედები და...

იმედგაცრუება სრული...

პირველი დანაშაული და... ციხის ცივი და ნესტიანი კედლები...

ამდენი ზიზღისა და ბოღმის ღირსი თუ იყო, არ ეგონა... არც უფიქრია ერწმუნა, უბრალოდ იფიქრა, რომ ცხოვრებამ ზურგი აქცია, ეგ იყო და ეგ.

შემდეგ... შემდეგ ცხოვრება საშინელი, ენით აღუწერელი... დაუნდობლობა და გაუტანლობა სრული... და ფიქრი... მართალია, გონების მღრღნელი, მაგრამ მხსნელად მოვლენილი, ერთადერთი მეგობარი...

წერილები ბავშვობის მეგობრებისაგან - ნათელი წერტილი მის ცხოვრებაში; სიმი, რომელიც მას უდარდელ წარსულთან აკავშირებდა.

მართალია, ზოგმა წერას უკლო, მაგრამ ზოგისგან მაინც მოსდიოდა ამბები:

აი, ვაჟამ მუშაობა დაიწყო...

ნათელა სადღაც მოეწყო...

მანანა გათხოვდა...

უსაქმური, დონდლო ვანოც იწერება: რაღაც უნდა გავაკეთო, თორემ აღარ შემიძლიაო...

მან კი... მან რაღა უნდა აკეთოს ამ ბნელ, ცივ და უსიცოცხლო საკანში?.. მოკვდება გული და ლეში რომც გადარჩეს, უგულოდ გინდ ყოფილა და გინდ არა...

ოხ, ეს ფიქრი მტანჯველი... მაგრამ მხსნელად მოვლენილი, ერთადერთი მეგობარი...

*2001 წ.*

### უნებლიე შემთხვევითობის მსხვერპლი

მათი შეხვედრა ის იყო, რასაც ადამიანები შემთხვევითობას უწოდებენ.

არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა... რამდენიმე ბანალური ფრაზა გაცვალეს, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება ხოლმე პირველი შეხვედრის დროს. თუმცა, კარგად გაუგეს ერთმანეთს, რადგან ორივეს ჰქონდა ხასიათში საერთო: არც ერთს არ აინტერესებდა ის, რასაც საზოგადოება ღირსებას ეძახდა, აბსოლუტურად განსხვავებული თვალით უყურებდნენ ცხოვრებას, ვიდრე სხვები, ჰქონდათ სხვა ფასეულობები. არ იტკივებდნენ თავს მორალით და მსგავსი რამ სრულიად ზედმეტად მიაჩნდათ...

მერე... მერე მოხდა ის, რაც, ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო. მოწონება და, როგორც თვითონ უწოდებდნენ ამ უცნაურ გრძნობას, სიყვარული... რა თქმა უნდა, არც უფიქრიათ, რომ მათი „სიყვარული“, მუდმივად გაგრძელდებოდა, როგორც ჰგონია შეყვარებულთა უმეტესობას.

გარკვეული დროის მერე დაშორდნენ კიდეც ზედმეტი სენტიმენტალიზმის გარეშე...

გაჩნდა ბავშვი...

იგივე თვისებებით დაჯილდოვებული, რასაც საზოგადოება ულირსობას, ამორალიზმს უწოდებს.

თუმცა, დაჰყვა მას ერთი თვისება: მოეძებნა კომპრომისი საზოგადოებასთან... მოეძებნა კიდეც - გამართლება: თავის გაჩენაში ხომ თვითონ არ მიუძღვის ბრალი?!..

მართლაცდა, რა უნდა ჰქნას, ის ხომ უნებლიე შემთხვევითობის მსხვერპლია?!..

*2001 წ.*

### სულის მეტამორფოზა

ის ისეთივე ოჯახში დაიბადა, როგორიც იყო უმრავლესობა პოსტსაბჭოთა სივრცეში: „პატიოსნება“, გამოლლეტილი ჯიბე და რამდენიმე წითელი „მანდატი“... კეთილსინდისიერი ხალხი, რომელთაც „პროლეტარიატის“ ფილოსოფიით უჭედავდნენ ტვინს; რა თქმა უნდა, ცინიზმი სარწმუნოების მიმართ. მასაც ჰქონდა ერთი. მისივე თქმით, ლოგიკური პასუხი: რამდენი ხანია ადამიანი კოსმოსს იპყრობს და, თუ ღმერთი ცაშია, როგორ ვერ ნახეს აქამდეო?..

არადა, რა ცხადად ახსოვს ბავშვობის მოგონება, აწ უკვე ზმანებაში გადასული:

დასაძინებლად წასული სულ იმის ფიქრში იყო, თუ რა არის ადამიანის ცხოვრების აზრი... სად უნდა ვეძიოთ ის და რა იქნება სიცოცხლის მერე... ღმერთი მას არ სწამდა, თუმცა ვერც ულმერთობას ურიგდებოდა - ვერ იტანდა სამყაროს, რომელშიც თვითონ არ იარსებებდა! ეს შეგრძნება იმდენად მკაფიო იყო და ყოვლისმომცველი, რომ სული ეხუთებოდა და გული ეკუმშებოდა.

და უპასუხოდ რჩებოდა კითხვა: ნუთუ რამდენიმე ათეული წლის სიცოცხლე შეადგენს ცხოვრების აზრს და ამის მერე ყველაფერი აღიგვება პირისაგან მიწისა?!..

გავიდა დრო...

შეიცვალა საზოგადოება. ის, რაც გუშინ ქების ღირსი იყო, დღეს იგმობოდა... და რისთვისაც ადრე კაცს ასახლებდნენ, იმას უკვე „პატრიოტიზმს“ უწოდებდნენ.

ყველაფერი კარგი, მაგრამ იმას როგორ იფიქრებდა, რომ ხალხი დაიჯერებდა ღვთის არსებობას?! იმის არსებობას, რაც არავის თვალითაც არ უნახავს... ეგ არაფერი გარკვეული დროის მერე თვითონაც დარწმუნდა სამყაროს შემქმნელი ძალის არსებობაში... ეს, ალბათ, იმის ბრალიც იყო, რომ მისი ჯერ კიდევ ყამირი შემეცნება ითხოვდა რაღაც ახალს და ზუსტად ამ დროს იფეთქა ქართველთა შორის ქრისტეს მისტერიამ ისეთი ძალით, რომ ყმაწვილი კაცის გული ერთიანად შეძრა და მთლიანად დაიპყრო, გააბრუა.

შემდგომ ამისა, არეულობა ქვეყანაში.. არავინ იყო გამკითხავი...

უპატრონო ქვეყნის მოსახლეობა გადაეშვა განუკითხაობის მორევში... ეს განუკითხაობა ვიღაცის კარნახით წარმოებდა თითქოს, მაგრამ მაშინ არ აღმოჩნდა ის ძალა, რომელიც ყველაფერს ფარდას ახდიდა და დაერივნენ ქართველები ერთმანეთს...

მაშინ შეირყა პირველად რწმენა ღვთისადმი, რწმენა ადამიანის კეთილშობილების მიმართ. აუცილებელი იყო ფასეულობების გადარჩევა, მაგრამ არჩევანი აღარსად ჩანდა... ამას მოჰყვა სულის კრიზისი... დაუნდობლობის და განუკითხაობის მორევში უფრო გაძლიერდა პროტესტი ცხოვრების მიმართ... აღმოაჩინა, რომ ადამიანი, რომელიც ესოდენ დიდ პატივისცემას იწვევდა მასში, არ იმსახურებდა ამას. ადამიანის ბოროტებამ ყოველგვარ ცხოველურ სისასტიკეს გადააჭარბა და პირველად აღმოჩნდა ისეთი ბარიერის წინაშე, რომლის გადალახვა შეუძლებლად მიიჩნია მაშინ: ძველი სტერეოტიპები ახალმა ვერ შეცვალა... ეს, ალბათ, უნდობლობის ბრალიც იყო.. მისი ბავშვური მიამიტობა თვალსა და ხელს შუა შეუმჩნევლად გამქრალიყო...

გავიდა დრო...

მის ცხოვრებაში ბევრი ცვლილება მოხდა, თუმცა გარეგნულად არაფერი ეტყობოდ. ისევ ინარჩუნებდა საზოგადოებასთან კომპრომისს, თუმცა პროტესტი არც უფიქრია. დაიჯერა ერთი „სიბრძნე“: ცხოვრებაში არ ხდება კარგი და ცუდი, უბრალოდ ხდება ფაქტი და ზოგი მას აფასებს დადებითად, ზოგი კიდევ უარყოფითად.

რელიგიურმა რიტუალებმა თუ ნივთებმა ისევ დაკარგეს მნიშვნელობა და უბრალო საგნების სიაში მოხვდნენ. თუმცა ეს უფლის უარყოფას არ ნიშნავდა, მისთვის ღმერთმა შეიძინა უფრო გლობალური ფუნდამენტალური მნიშვნელობა, ვიდრე ამას ნებისმიერი რელიგია დოგმატურად ქადაგებს.

უკვე აღარ ეშინოდა გარდაცვალების, ეს ფბია მას საბოლოოდ ჩამოშორდა. ცხოვრებიდან წასვლამ შეიძინა რაღაც გარკვეული ინტერესი, თუმცა ამ ცხოვრებაშიც იყო ისეთი რამ, რის დატოვებაც ენანებოდა, მიხვდა რომ „იქ“ სრულიად სხვა ფასეულობები არსებობდა, ვიდრე „აქ“.

კარგად ახსოვს: ერთხელ გადაწყვიტა ჰყოლოდა საკუთარი მოძღვარი და მოენანიებინა ცოდვები, მაგრამ მიხვდა, რომ იმის მონანიებას, რასაც ხვალ სიამოვნებით გააკეთებდა ისევ, არ ჰქონდა არავითარი აზრი. მით უმეტეს, სრულიად უაზროდ მიაჩნდა, გული გადაეშალა ადამიანისთვის და ისეთი რამ გაემხილა, რაშიც საკუთარ თავსაც ვერ უტყდებოდა ხოლმე.

თითქოს ცხოვრებისგან გულისგატეხვას უნდა მოჰყოლოდა გაბოროტება და დაუნდობლობა ადამიანთა მოდგმის მიმართ, მაგრამ მსგავსი რამ არც მოსვლია აზრად. ჩათვალა, რომ ბოროტება და სიკეთე აბსოლუტურად სუბიექტური ცნებებია და ყველამ უნდა იცხოვროს ისე, როგორც შეუძლია. თვითონ ირწმუნა, რომ სიკეთეა ერთადერთი რამ, რისი გულისთვისაც ღირს სიცოცხლე...

თუმცა, დარჩა ფობია გაურკვეველი მომავლისა.

*2001 წ.*

### ზმანება

ეს მოხდა უეცრად...

მეჩვენა ზმანება რამ - ნათელი, როგორც აღტყინებული სულის არია;

ცხოვრება შემოიჭრა ჩემში და თავადვე განახვნა კარი, საიმედოდ დაგმანული...

გამოიჭრა ნათელი, თვალის მომჭრელი...

„ნუთუ ეს მე ვარ?..“

„ან ესაა ცხოვრება, რასაც ვხედავ?..“

ყველაფერი ჩანდა იმდენად ცხადად, რომ შემეშინდა, უხილავი არაფერი დამრჩენოდა... მოკვდავის დამშეული ცნობიერება ნთქავდა ყველაფერს, რასაც კი თვალს მოჰკრავდა...

მერე?..

მერე ყველაფერი დაიწმინდა, დაიწრიტა. საოცარმა ჩვენებამ დაჰკარგა პირველადი ეფექტი და მიეცა ჩვეულებრივ მდინარებას. გახდა ისეთივე მრეში, როგორადაც გვეჩვენება ის ყოველთვის, მოწყენილობის ჟამს და რომელიც სევდის ბურსში ახვევს ყოფას.

*2001 წ.*

### მოხუცი და ბავშვი

ქუჩაში მიდიოდნენ...

ინვალიდის სავარძლით ბავშვს მოჰყავდა მოხუცი, რომელსაც ჰქონდა საოცრად დაძაბუნებული სახე და გაფანტული მზერა. ის, ეტყობა, გადაჩვეული იყო გარემოში დაკვირვებულ მზერას, აღარ აინტერესებდა გარშემო საზოგადოება...

სრულიად განსხვავებულ სანახაობას წარმოადგენდა ბავშვი. მისი მზრუნველობა მოხუცისადმი - ცდილობდა ფრთხილად ემართა სავარძელი, რაიმე ხიფათი არ შემთხვეოდა; თუმცა, საზოგადოებისაგან დაცინვასაც ერიდებოდა - მისი გარეგნული იერი მეტყველებდა, არ უნდა ჰქონოდა მთლად სახარბიელო ცხოვრება, რაც ნაწილობრივ კომპლექსს იწვევ-

ლიტერატურული გვერდი

# მინიატურული ჩანახატები

და მასში.

გამართულიყო ბრძოლა ორად გაყოფილი სულის ნახევრებს შორის...

„რაც იქნება, იქნება!“ - გაიფიქრა მან.

ასწია თავი და ამაყად მიმოიხედა ირგვლივ...

საოცრად გარდაიქმნა მაშინ ბავშვი... ბარიერის გადალახვას მისთვის სრულიად ჩამოერეცხა მორიდება და მთელი არსება სიამაყეს მოეცვა - მან ხომ ეს-ესაა თავისი ნება გამოხატა და ახლა მზად იყო ნებისმიერისთვის დაუნდობელი ბრძოლა გაემართა და თავისი „მე“ დაეცვა...

სახლში რომ მოვიდნენ, წამოაყენა მოხუცი, ჩააწვინა ლოგინში და მოუტანა საჭმელი.

ბაბუა ემადლიერებოდა...

ყურადღება არ მიუქცევია...

მთლიანად დაცლილიყო ენერგიისგან, გამოფიტულიყო, ენატრებოდა გარინდება, სამარისებური მდუმარება, სადაც მარტო დარჩებოდა საკუთარ თავთან...

... საზოგადოების მიმართ პროტესტი... გამარჯვებით გამოწვეული აღტაცება...

ჩაეძინა...

ხვალ ხომ ისევ გათენდება...

*2001 წ.*

## უსიყვარულოდ

ერთხელ თავგამეტებული შეხვდა თავმოძულებულს...

- ყველაფერი გამაჩნია - სიმდიდრე, ნიჭი, სილამაზე და თვით პატივისცემაც კი, მაგრამ სიყვარული ვერ დამიმსახურებია - არად მიღირს სიცოცხლე...

- მე არაფერი მაბადია, არც სიმდიდრე, არც ნიჭი, არც პატივისცემა, ვერც სიყვარული დამიმსახურებია და თავმოძულებულს საფლავის ეპიტაფია-ღა შერჩა სანუკველ საუნჯედ, მაგრამ ვერ გამიბედია მოვისწრაფო სიცოცხლე... გადავწყვიტე დაგითმო, რადგან მე არას მარგია რა...

აიღო მდიდარმა და უბოძა უბონელს სიმდიდრე აუწყველი...

უქონელმა, თავმოძულებულმა ერთადერთი საუნჯე, საფლავის ეპიტაფია - აზრი მისი ცხოვრების თუ აზრიანი ბოლო უაზრო ყოფის დაუთმო სიცოცხლე მოყირჭებულს და ამით თავგამეტებულს...

იცხოვრა ღატაკმა კადნიერის ცხოვრებით... იგემა სიამენი სოფლისანი - მაღალი საზოგადოება, ზიზილ-პიპილები, ფუფუნება... ვერ ნახა უსაშველოს საშველი, ვერც „პატივცემულ საზოგადოება“-ში, ვერც პატივისმცემლებში... ყველგან ერთნაირად ლიქნიდნენ და მწვავედ იგრძნო სიყალბე ყოფის... ისეთივე უნიათო, როგორც სიკვდილის...

დაჰგმო სიცოცხლე, საბოლოოდ განშორდა მას ვითარ თავგამეტებული...

თავგამეტებულმა და განძარცულმა ყოველი სარჩოსგან, რაც ებადა, იცხოვრა უნიათოდ, სიმწრით და უშედეგოდ... ვერ შეირგო აზრი ცხოვრებისა თუ აზრიანი ბოლო საზარელი ყოფის - ეპიტაფია - ერთადერთი საუნჯე; დაჰგმო სიცოცხლე და საბოლოოდ განშორდა მას ვითარ თავმოძულებული...

*2002 წ.*

## მარადისობის პოეტი

იქნებ კიდევ გამოვტაცო რამე ილუზიას და დავუტოვო შთამომავლობას?!..

იქნებ ჩემმა ნააზრევმა ჰპოვოს აღტყინებული სულის გამოძახილი?!.. - ფიქრობდა პოეტი.

ნუთუ ჩემი შემოქმედება ჩემთან უნდა მოკვდეს, დაიმარხოს?!.. - ღრღნის გულს ეჭვის ჭია...

ერთ, არცთუ ისე მშვენიერ დღეს, მიიცვალა პოეტი...

მაგრამ ის დარჩა...

ხალხმა დავიწყებას არ დაანება...

ახსოვთ...

ახსოვთ - მარადისობის პოეტი!

*2001 წ.*

ნოდარ ჯალაღონია

ლექსები

## [illegible]

ვ. ჰიუგო: – რუსეთიდან ბრძანდებით?.
ი. მეუნარგია: – არა, საქართველოდან.
ვ. ჰიუგო – ლამაზი ქალებით განთქმული ქვეყნიდან?

ქართველი ქალის სილამაზეს მტრების ცხრე ალია,
ბევრი სამტროდ მოსულისთვის იარაღიც აყურია.

მათი ხოტბით, მათი ქებით თავს იკლავდნენ პოეტები
და არ გვაკლდა ქვეყანაზე, არც მოყვრები და არც მტრები.

უყურებდნენ შურით, ბოღმით ჩვენი მიწის ფესვს და საწყისს,
იტაცებდნენ ქართველ ქალებს ისე, როგორც ოქროს საწმისს.

მათ ამაყ სულს ვერ იპყრობდა სულთანი და შაჰინშაჰიც.
გულის კარს რომ ვერ უღებდნენ, აწამებდნენ,
წვავდნენ შანთით.

და ჩვენც გვაბრძოლა-გვადიდგულა მათ ამაყმა უტეხ სულმა,
ქართველ ქალის სილამაზემ, ქართველ ქალის სიყვარულმა.

მათმა ეშხმა, სილამაზემ აამღერა რუსთაველიც
და თინათინს, ასმათს, ნესტანს საქართველო ისევ ელის.

ელის ნატოს და ვერიკოს, დოდოს, ლიას, კატოს, მერის,
ელის წყნეთელს და ნავკისელს, მაყაშვილის ასულს ელის.

ეს იმათი ნებით, რწმენით, ჩვენ გაქრობა აღარ გველის,
გვეყოლება კიდევ ბევრი ალგეთელი, არაგველიც.

ღვთისმშობლის წილ ქვეყანაში სილამაზე არ მოკვდება,
არც ლამაზი ქალები და აღარც ლექსი მოაკლდება.

დღესაც მათი სინატიფე მზეს და მთვარეს ეტოლება,
გვეყოლება თამარი და რუსთაველიც გვეყოლება.

*2008 წ. დეკემბერი*

## [illegible]

უბნელდებოდათ თვალები ჩვენი ცის, მიწის ყურებით
და გვესეოდნენ მუმლივით ათასი მურვან-ყრუები.

უმეცრებსა და უვიცებს წკვარამში გამოკეტილებს
არ ასვენებდათ შურ-ბოღმა ჯალათებს-ჯალალედინებს.

და დღესაც ბევრი უტვინო გაგვითამაშდა იქამდი,
საქართველოს და ქართველებს გადაშენებას გვიქადის.

ჩვენი სიკვდილი ვინც სცადა
თვითონვე იქცა მიწადა,
რადგანაც ღმერთი გვწყალობდა და ღვთიშობელი გვიცავდა.

აღარ გვივლია ამ ქვეყნად,არც მარტო სხვათა იმედით,
დარუბანდ-ნიკოფსიამდე საკუთარი ფეხით მივედით.

მაგრამ თუ ბედმა გვიმუხთლა, ქვეყანა მართლა დაიქცა,
თბილისიც და მთაწმინდაც ისევ ჩვენ უნდა დავიცვათ.

სხვა არავინ შეეწირება ზეკარს, სალხინოს, საჩინოს,
ის გელათიც და ვარძიაც ჩვენ უნდა გადავარჩინოთ.

რადგან ბაზალეთ-ალგეთის აკვნები ისევ ირწევა,
ცხინვალი ბასიანად და გორი დიდგორად იქცევა.

მტრების საფლავად იქცევა ჩვენი მთები და ველები,
არც დღეს აკლია სამშობლოს ცოტნე და არაგველები.

რადგან გავლიეთ გოლგოთა და სისხლიანი ქარ-წვიმა,
ღვთისმშობლის წილხვედრს უფალი,არც მომავალში გაწირავს.

დიდ წინაპართა სახელიც გვაერთიანებს, გვამთელებს,
და საქართველო ისევე იცოცხლებს და იქართველებს.

*2008 წ. დეკემბერი*

მხატვრობა

რეზო ადამია

# შედევრების ერთბუნებრიობა

## ფრანცისკო გოია, „ანტონიი სარატის პორტრეტი“

უძველესი ხელოვნების ნიმუშებს თუ ვპოულობთ არქეოლოგიური გათხრებისას, ვინ იცის, ეგებ ეროვნებათა ისტორიის სულიერ არქეოლოგიაში იმარხებოდეს საიდუმლოება და გოიას წინაპრებს ბასკებთან რაიმენაირი ნათესაური ფესვი ჰქონოდეთ გადგმული. ბასკების და გოიას მშობლიურ ადგილს ხომ გეოგრაფიულად ერთი მთა ჰყოფს. ნუთუ ასე ძნელი იყო მაშინ ამ მთის გადალახვა და ურთიერთდანათესავება?! ამის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით, ეს ბასკებისა და ესპანელების სამეცნიერო პრობლემაა.

ფრანცისკო გოიას გენიალური ტილო, რომელიც ერთ-ერთი შედევრთაგანია ქალაქ სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟის კოლექციისა, უდიდეს აღმაფრენას და სულიერ სიამოვნებას ანიჭებს ყოველ მნახველს: ოქროსფერი, მაგრამ ოდნავ ჩაჟანგული წვრილორნამენტიანი ჩარჩოდან მომაჯადოებლად გიყურებს ახალგაზრდა ესპანელი ქალი - საოცრად კეთილი, ამაყი და ოდნავ სევდიანი თვალებით (შესაძლებელია, ავტორი ისე ღრმად ჩასწვდა მის შინაგან ბუნებას, რომ მისთვის ცნობილი იყო უახლოეს ხანში ამ მშვენიერი მსახიობი ქალის სიკვდილი). აქვე ვკითხულობთ მის უსაზღვროდ ამაღლებულ ქალურ ბუნებას; სადღაც მიამიტი, ცნობისმოყვარე, სიცოცხლისა და მშვენიერების შემგრძნები და ბავშვური - საყვარელი მზერაცაა მის ნუშისებრ თვალებში.

სურათის საერთო კოლორიტი ვერცხლისფერია მუქიდან ამოსული. ია-იას ფერის ცურვით, ფონი საკმაოდ მუქ ტონებშია შესრულებული და თითქმის შავამდეა მიყვანილი, თმა მსუყე შავის, ვერცხლის და შეუმჩნეველი წითლის თანხლებითაა შესრულებული. კაბის ფერი ღრმა შინდისფერის და რბილ შავთან ჰარმონიულადაა შერწყმული. კაბაზე არისტოკრატიულად გადაკრული ბეწვის თხელი საყელო მსუბუქი მუქი ყვითლებითაა დაწერილი და ისევ კეთილშობილი ვერცხლის თამაშია, ირგვლივ საჭირო ადგილებში თბილი შავი ლაქებია განლაგებული, რითაც სურათს თავშეკავებულ რელიეფურობას ანიჭებს. გულმკერდის ფერი, თხელ ფენად საამოდაა შესრულებული მოვარდისფრო და თბილ მოვერცხლისფრო ტონებში. მთლიანობაში პორტრეტი გოიასეული გამჭვირვალე ფერებითაა დაწერილი, სადაც გამოვლენილია ავტორისეული ფუნჯის ვირტუოზული ტექნიკა.

შუაღამის უღრუბლო ცაზე კაშკაშა მთვარესავით ანათებს ანტონიი სარატის პორტრეტის მოთეთრო-მოვარდისფრო სახე, რომელიც სუფთა ვერცხლის და კეთილშობილი მოწითალოების ჩარევითაა შესრულებული. პორტრეტის თვალწარბი, საოცრად თბილი შავი ფერებითაა მოხატული, მწიფე ბროწეულის ნაყოფს მოგაგონებთ მისი ვნებიანი ვარდისფერი ტუჩები, სურათის მუქსა და ნათელ ტონებშიც საოცრებამდეა აყვანილი ფერთა და ტონთა უნატიფესი ფერწერული ურთიერთდამოკიდებულება და შესანიშნავადაა ჩამოსხმული მათი მაღალი მხატვრული მხარე, სურათის მთლიანობის და მრავალპლანიანი ტონალობის უმაღლესი კონტრასტულობაა შექმნილი, რასაც ყველა მონათესავე კლასიკოსთა შედევრებში ვხვდებით. ისეთი წარმოდგენა მაქვს, თითქოს პოსტიმპრესიონისტი დიდი მხატვრის, პოლ სეზანის ფერწერის წინასწარ შეგრძნებამდეა აყვანილი ცივი და თბილი ფერების წერითი ურთიერთჰარმონია.

მხატვრის ფერწერულად ასეთი მიდგომა ღრმად მიმზიდველს ხდის, ფუნჯის მოსმის სიფაქიზეს და მსუბუქ არტისტიზმს განცვიფრებამდე მიჰყავხარ, როცა კარგად იცი ავტორის ფერწერული ტემპერამენტი, ამ ნაწარმოებთან კი ხედავ ფერთა და ტონთა ისეთ ნაზ და თავშეკავებულ მოძრაობებს, აუცილებლად გაფიქრებინებს, თუ როგორ მიაგავს გოიას დაუოკებელი სული ბუნების სტიქიას. იშვიათად შევხვდებით კლასიკური მიმდინარეობის პორტრეტულ სურათებში ამდაგვარ ფერთა და ფორმათა კონკრეტულ დახვეწილობას და მათ საოცარ სრულყოფას. პორტრეტის საერთო განწყობილება, დაწყნარებული ზღვის და მასზე განფენილი ნისლის მრავალფეროვნებათა უსასრულობაა... უსაზღვროდ ზეადამიანური დამოკიდებულებაა ბუნებასთან, ნატურასთან და ფერწერულ ნაწარმოებთან: მხატვრის ფერი, ხაზი, ფორმა, სული, გონება და გული სინქრონულობის ღვთიურ ჰარმონიადაა აკინძული.



კვლავ მინდა აღვნიშნო, რომ სურათში კულმინაციური თამაშია: ვერცხლისფერის, ღრმად მუქი შავის, თეთრის სხვადასხვა ვარიაციების, ვარდისფერის და მოვარდისფროს, მოვერცხლისფრო-ოხრის და ოდნავ ლურჯის, და ზოგან თავშეკავებული მომწვანოები თავისებურ ფერწერულ როლს თამაშობენ... ზემოთ ჩამოთვლილი ტონების მთლიანობაა აქ და მისი მუსიკალური ჰარმონია შენარჩუნებული. სურათის საერთო ფსიქოლოგიური სახე, აზრი და კოლორიტი? ზღაპრულია, რითაც ანტონიი სარატის სულის სარკეა გამოხატული...

დაახლოებით ასეთი წესრიგითაა აგებული ეს უნიკალური შედევრი და მარადიულად მოუშლელი ადამიანური სიცოცხლე წარმოგვიდგება. პორტრეტს ღრმა სულიერების უდიდესი ავტორისეული მაგია აქვს წაცხებული და იბადება აზრი, თუ როგორ გვანან გენიოსთა შედევრები ერთმანეთს.

ღვთიური ქმნილების უსასრულობაა აქ და ღრმად ჩამწვდომ მაყურებელს ნაწარმოების დანახვის წამიდან ეწყება მისდამი უჩვეულო სიყვარული და სურვილი, სურათის წინ ხანგრძლივად დგომის და განუწყვეტელი სიამოვნების მიღების...

უმშვენიერესი ესპანელი მსახიობი ქალი, რომელიც გოიამ, თავისი ჯადოსნური ფუნჯით, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ტილოზე გააცოცხლა, უდიდესი ოსტატობით სურათთან მიტანილმა ვერცხლისფერმა ტონებმა - მოთეთროებმა, ბაცმა ვარდისფერებმა და კეთილშობილმა მოშავოებმა ფერწერულ-მხატვრული ჰარმონია შექმნეს და სურათი მარადიულ მუსიკალურ სიმფონიად მოგვევლინა...

გინახავთ ალბათ განთიადის დიდი ვარსკვლავი, მას ცისკრის ვრასკვლავსაც უწოდებენ. როგორი სილამაზით ანათებს, ციმციმებს და საკვირველი ციური გარემოა მის ირგვლივ შექმნილი, ზოგჯერ კოსმიურ ბურუსშიაო თითქოს გახვეული, და საამოდ ციაგობს სამყაროსეული ხიბლით. გოიას, ამ მსახიობი ქალის პორტრეტში, სრულყოფილად მიუღწევია ბუნების საოცრება ჯადოს ჩადება. კარგად თუ დააკვირდებით პორტრეტს, ცისკრის იმ ვარსკვლავივით ციმციმებს.

რა ბედნიერია ის, ვინც ჩასწვდება გენიის ამ ფერწერულ ბადაგს... ნეტავ რა ხდება იმ დროს ადამიანში, ან რა ბუნებრივი შემოქმედებითი პროცესი მიმდინარეობს, როცა მათგან ეს შედევრები იბადებიან., ალბათ დიდი მეცნიერებიც ვერ ჩასწვდებიან ამდაგვარ უცნაურსა და ღვთიურ მოვლენას და ვერც ვერასოდეს ჩასწვდებიან... შემოქმედის ბუნების საიდუმლოება ისეთივე მიუწვდომელია, როგორც უსასრულო სამყარო; გენიაც ხომ კოსმოსის ერთ-ერთი უდიდესი განუყოფელი ნაწილია...

ცის გუმბათის ღია ფანჯრიდან დანახული ხაზი, ფორმა, ფერი და არსია ფრანცისკო გოიას „ანტონიი სარატის პორტრეტი“,. როგორც საოცრება ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდა“, დიურერის ავტოპორტრეტი, გოლბეინის და დიდი რემბრანდტის პორტრეტები, ელ გრეკოს ბოლო პერიოდის ავტოპორტრეტი, ველასკესის, კრანახის, ტიციანის და მსოფლიო მნიშვნელობის სხვა პორტრეტული ქმნილებები.

დიდი ესპანელი მხატვარი ფერწერის მეშვეობით გამაოგნებლად ქმნის ქვეყნიერების და ადამიანური ფსიქოლოგიის ფართო სპექტრს, ღრმა სევდასა და ცხოვრების უსასრულობის წყურვილს; ამ დროს გოია, თავისი შედევრებით, ყოველივე მიწიერს და წუთიერს უსასრულო სიცოცხლეს და ღვთიურ სულიერებას ანიჭებს...

ანტონიი სარატის ანგელოზური სული დაინათესავა ფრანცისკო გოიამ და საკუთარ სულთან ერთად მარადიულ სურათ-ვარსკვლავად დაგვიტოვა...

# მას ყარყარაშვილმა და მისმა შეიარაღებულმა ხროვამ ესროლა

## ისინი გენოფონდს ანადგურებდნენ

მხატვარ-მუსიკოსი, 29 წლის გიზო ხატიაშვილი, 1992 წლის 3 იანვარს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერ მრავალათასიანი მიტინგის მონაწილე იყო. მეტრო დიდუბესთან შეკრებილ მომიტინგეებს მოულოდნელად და დამიზნებით ავტომატებიდან გაუხსნეს ცეცხლი ყარყარაშვილ-კიტოვან-იოსელიანის ხუნტამ, რომლებმაც მიზანში რჩეული ახალგაზრდა ვაჟკაცები ამოილეს. დაიჭრა ოცამდე მომიტინგე, ადგილზე დაიხვრიტნენ:

ლევან თაქთაქიშვილი, 22 წლის, სტუდენტი,
გივი რეხვიაშვილი, 21 წლის, სტუდენტი,
კახა არსენიძე, 21 წლის, სტუდენტი,
ტრისტან ცერაძე, 50 წლის

ხოლო თვალში სასიკვდილოდ დაიჭრა 29 წლის გიზო ხატიაშვილი და იგი 8 თებერვალს, რკინიგზის საავადმყოფოში გარდაიცვალა. „საცოლე ჰყავდა და გაზაფხულზე დასაქორწინებლად ემზადებოდა, ასე შემიცვალეს ქორწილისთვის შეკერილი ახალი კაბა ძაძებითო“, გვითხრა ქალბატონმა თინამ და ცრემლები ვერ შეიკავა. „ჩემი შვილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სახით საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას იცავდა. იგი მხატვარ-მუსიკოსი იყო. შესანიშნავად უკრავდა ჩელოზე. სულშემძრული იყო ქართველთა შორის შეიარაღებული დაპირისპირებით. იარაღი როგორ ავიღო ხელში, ვის ვესროლო, ისევ ჩემს ქართველსო? გულმოკლული გვეუბნებოდა“, საუბარში ჩაგვერთო გიზოს მამა ბატონი უშანგიც. „იგი მშვიდობიანი, უბრალო მომიტინგე იყო, როგორც სხვა ათასობით ადამიანი, რომლებსაც ხუნტამ სროლა აუტეხა. დედა მე აუცილებლად გადავრჩები, ჩემს პროფესიულ საქმიანობასაც გავაგრძელებ, ცოლსაც მოვიყვან და ერსაც გავამრავლებო!“ - გვაიმედებდა მძიმედ დაჭრილი.



გიზო ხატიაშვილი გრიბოედოვის 13-ში ხუთოთახიან ბინაში ცხოვრობდა, რომელიც საკუთარი ხელით და გემოვნებით მოუწყვია. ეკონომიურად არ უჭირდათ. „ეროვნულ გვარდიას 3 000 მანეთი გადავურიცხეთ“ - გვითხრა დედამისმა „ვაითუ, ჩემი გადარიცხული ფულით შეძენილი იარაღით დამიხვრიტეს ჩემი ერთადერთი ვაჟი ყარყარაშვილ-კიტოვან-იოსელიანმაო“, გულდათუთქულს დღესაც არ ასვენებს მწარე ფიქრი.

კედლებზე ზეთში, გრაფიკასა და აქვარელში შესრულებული გიზოს ნახატებია გამოფენილი, ძირითადად ნატურმორტები და... თვალები. დიახ, გიზოს მრავალ ნახატზე ცალი, ისიც მარცხენა თვალია გამოსახული. სწორედ ის მარცხენა თვალი, რომელშიც ნასროლი ტყვია, მისთვის ასე საბედისწერო აღმოჩნდა.

დღეს, ინვალიდის ეტლში მჯდომი გია ყარყარაშვილი თავის „პატრიოტულ წარსულს“ ახსენებს საზოგადოებას, რითაც ფასეულობების დევალვაციასა და ერის თვალში ნაცრის შეყრას ცდილობს. ფასეულობების ამგვარი უტიფარი აღრევის მცდელობა მანამ გაგრძელდება, სანამ პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება არ მოხდება 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებისა, რომელიც თავის ადგილს მიუჩენს ყველას და სახელმწიფო დამნაშავეები, არამცთუ „სამხედრო ექსპერტებად“ თუ პატრიოტებად მოგვევლინებიან, არამედ, იქნებ შინიდანაც ველარ გამოჰყონ თავი.

ქეთევან ჭანტურია

# რუსები და ბელორუსები არავითარი ძმები არ არიან, არც ბიძაშვილები

ანატოლი ტარასის წიგნი „იმპერიული ურთიერთობების ისტორია: ბელორუსები და რუსები“ მხოლოდ ცოტა ხნის წინ გამოვიდა, თანაც მცირე ტირაჟით (150 ეგზემპლარი), მაგრამ მოასწრო დიდი ხმაურის ატეხა.

მასში მოთხრობილია რუსული შოვინიზმის არსი, მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ ვინ არიან ბელორუსები და როგორ მკვეთრად განირჩევიან ისინი თავიანთი აღმოსავლელი მეზობლებისაგან - ისტორიულად, კულტურულად, გენეტიკურადაც კი.

იმის შესახებ, თუ რატომ მოუწიათ ბელორუსიის ხელისუფალთ მისი ავტორიტეტისთვის ხელის ჩამორთმევა და რა ურთიერთობები აქვს ფინებთან რუსეთის პრეზიდენტს, მოუთხრო გამომცემლობა „სოლიდარნოსტს“ წიგნის შემდგენელმა, მთარგმნელმა და რედაქტორმა ანატოლი ტარასმა.

რის შესახებ არის ეს წიგნი?

- ძირეული იდეა რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია უჩვენოს ფართო პუბლიკას ცხოველი აჟიოტაჟი, თუმც მეცნიერებისათვის ეს უკვე დადასტურებული ფაქტია, ეს ის არის, რომ არ არსებობს არავითარი ძმა-ხალხები. დუსები, ბელორუსები და უკრაინელები - ეს სრულიად განსხვავებული სამი ეთნოსი სხვადასხვაა გენეტიკურად, ფსიქოლოგიურად, ისტორიულად.

რუსები - ეს ის ხალხია, რომლებიც ჩამოყალიბდა უნგრო-ფინურ და თურქული ხალხების ძირებზე და რუსული ენა, რომელზედაც ახლა ჩვენ ერთმანეთთან ვმეტყველებთ - ეს, არსობრივად ხელოვნური ენაა, შექმნილი პროკოპოვიჩის, სუმაროკოვის და ლომონოსოვის მცდელობებით. რომელსაც ბრწყინვალება მიანიჭა პუშკინმა და მისმა წინამორბელმა ბარკოვმა.

ეს ენა, უპირველეს ყოვლისა, აღმოცენდა ფინური (ნათელი მაგალითი: სიტყვა „მოსკოვი“ ფინურიდან ითარგმნება, როგორც „შავი წყალი“) და თურქული (მაგალითად, კარამზინი, სუმარკოვი და კუტუზოვი - ესენი თათრული გვარებია) ლექსიკის საფუძველზე.

ბელორუსები - ესენი ბალტები არიან, რომლებიც შეერივნენ სლავებს, გერმანული ტომების შემოტევების შედეგად მდინარე აბის (ელბის) ნაპირებიდან აქ მოსულები კი - ეგრეთ წოდებული ბალტიელი სლავები.

უკრაინელები შთამომავლები არიან ირანულენოვანი სარმატული ტომებისა, რომლებმაც განიცადეს სამხრეთი სლავების გავლენა.

ჩვენ არავითარი ძმები, ბიძაშვილებიც კი არა ვართ, რუსების პირდაპირი ნათესავები - მარიელები და ესტონელები არიან, რომელთაც რუსები ამასხარავებენ (ცუდია მშობლიური ძმების დაცინვა!). თანამედროვე ფინები - მათი ბიძაშვილები არიან. ბელორუსები კი ახლოსაც არ იყვნენ მათთან.

მეორე გამჭოლი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მოსკოვის სახელმწიფოს მთელი ისტორია - ეს არის ისტორია განუწყვეტელი ექსპანსიისა, 800 წლოვანი მუდმივი აგრესიისა იცვლებოდნენ დინასტიები: რუირკოვიჩები, რომანოვები, იცვლებოდნენ პოლიტიკური რეჟიმები თავიდან დიდი სამთავრო, შემდეგ სამეფო, შემდეგ იმპერია, შემდეგ თითქოსდა მუშათა და გლეხთა რესპუბლიკა - პოლიტიკის არსი კი არა!

მოსკოვეთი (მოგვიანებით რუსეთად თვითწოდებული) ყოველ ჟამს ვითარდებოდა ახალი ტერიტორიების და ხალხების დაპყრობითა და ძარცვით. არა შინაგანი ინტენსიფიკაციის გზით - ნორმალური ეკონომიკით, ნორმალური სამოქალაქო საზოგადოებით - დაუოკებელი ექსპანსიის ხარჯზე, ყველაფერი ეს ჩვენი ბედი - ბელორუსების მაგალითით ვაჩვენეთ.

სმოლენსკი - ოდითგანვე ბელორუსული მიწაა, იქ ბელორუსები ცხოვრობენ, რომელთაც მოსკოვური ხელისუფლება რუსებათ თვლის, თუმცა, არც თუ ისე ბევრი სმოლენსკელი ეთანხმება ამას. ეს ჩვენი მიწაა.

მე არ ვეხები იმას, რომ მოსკოვიც ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს, განა ტყუილად დავიკავეთ 1612 წელს ის? ნუ კარგი, ისარგებლონ მათ.

- არ ფიქრობთ იმის შესახებ, რომ თქვენ ამ წიგნით რუსეთ-ბელორუსიის მძიმე ურთიერთობებში განხეთქილება შეიტანეთ?

- ახლა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სიტუაციის წყალობით რუსეთში დატრიალდა ეროვნულ-პატრიოტული მძლავრი ტალღა, სიმართლე რომ ვთქვათ - შოვინიზმის. სულ ცოტა ხნის წინ მომიწია საუბარი ადამიანთან, რომელიც ზუსტად რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა მოსკოვიდან., ის ძალიან შეძრწუნებული იყო. მას ბელორუსიის ვაგზალზე გადაეკიდა მილიციონერი. სიტყვასიტყვით: „შენ ვინა ხარ, საიდან ხარ? „ა-ა! ბელორუსი! ა, შენ კიდევ ბედავ პირის გაღებას? თქვენ ყოველთვის იყავით ჩვენი მონები და ასედაც დარჩებით!“ და ამას ამბობს ჩვეულებრივი მენტი.

სხვა მაგალითი: ცოტა ხნის წინ ჩემი ნაცნობი გამომცემელი დაბრუნდა მოსკოვის წიგნის ბაზრობიდან. მან მომითხრო, რომ მოსკოვის რომელიღაცა გამომცემლობის წარმომადგენელი ერთ-ერთ სტენდთან ხმამაღლა მიმართავდა გარშემო მყოფთ „აი ამ ესტონელებმა, ლატვებმა და სხვა ლაბუსებმა თავიანთი პირები გააღეს, ბელორუსებმაც მიუმღერეს. ხახოლები საერთოდ გათავხედდნენ, ისინი ჩვენ ყველაფრის გამო, რაც ჩვენ მათ გავუკეთეთ ხელზე უნდა გვკოცნიდნენ. ჩვენ დავსვამთ მათ ადგილზე! მათ ის მოუწევთ, რაც საქართველოს!“

რუსეთში ამგვარებს უკვე კარგა ხანია ხმამაღლა ამბობენ, ასე რომ ეს წიგნი გამოვიდა ზედმიწევნით დროულად.

მოსკოვის პოლიტიკის არსი - იმპერიალიზმია! რაც ყოველთვის იყო წარსულში, და ასეა ახლაც. ვფიქრობ, თუ როგორ დარჩება იმ მომენტამდე, როდესაც რუსეთი დაიმსხვრევა მის შემადგენელ ნაწილებად. მეცნიერები უკვე დიდი ხანია წინასწარმეტყველებენ სოციალურ კატაკლიზმებს, რაოდენობის შემადგენელ სამთავროების დაშლით სადღაც 2018-2020 წლებში.

ამ გეგმაში და სხვა ბევრში, ბელორუსი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია. მის შესახებაც ვწერ მე. მე ასე ვფიქრობ, რომ ხელისუფლებს ამ წიგნის გამოცემისათვის ჩემთვის ხელი უნდა ჩამოერთმიათ.

- ივიწყებთ კიდევ ერთ ლურსმანს კუბოში, რუსეთთან მეგობრობას?

- არავითარი ძმობა არ გვაქვს ჩვენ რუსეთთან. ყველაფერი ეს მოგონილია. უბრალოდ ასე ჩამოყალიბდა ობიექტურად, რომ ჩვენ სრულიად ვიყავით დამოკიდებული ამ ქვეყანაზე - ენერგიის მიწოდების ბაზრით, ჩვენი პროდუქციის გასაღების ბაზრით. ამიტომ ვიყავით მასთან მეგობრობისთვის განწირულნი, რაღაცნაირი განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარებით, მაგრამ საიდუმლო არ არის, რომ განსაკუთრებული ურთიერთობების პერიოდი პრაქტიკულად დამთავრდა. რუსებმა ხმამაღლა განგვიცხადეს: მეგობრობა მეგობრობად დარჩეს, მაგრამ თუთუნი ცალ-ცალკე გავაბოლოთო. ზოგიერთი ჩვენი მეგობრები სამართლიანად ძრწუნდებიან: რატომ, თუ ჩვენ ერთი სახელმწიფო გვაქვს, გაზს რატომ სმოლენსკის ოლქის ფასებით არ გვაძლევენ?

თუ გინდათ რომ მტკიცედ ვიმეგობროთ - მოგვეცით ყველაფერი შეღავათებით.

და საერთოდ ჩვენთან ოფიციადურად გაცხადებულია მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკა. სხვა საქმეა, რომ გამოცხადება ადვილია, ვიდრე გაკეთება: განა ტყუილად ვლოცულობდით ერთ ქვეყანაზე?

მაგრამ პროცესი დაიძრა. ამას ევროპაშიც განსაკუთრებული ყურადღებით ეგებებიან. მე ჩვენს მომავალს თავდაჯერებული ოპტიმიზმით ვუცქერ. რუსეთის მომავალს კი უკიდურესი პესიმიზმით.

რა თემებს ეხებით თქვენ თქვენს წიგნში?

- ჩვენ განვიხილეთ პერიოდი მე-17 საუკუნის დასასრულიდან სსრკ-ს დაშლამდე. პირველ ნაწილში „ბელორუსები ორთავიანი არწივის ჩრდილში“ მოთხრობილია რეჩპოსპოლიტას დაყოფა, მეორე იწოდება „ბელორუსები რევოლუციური ბოლშევიზმის ეპოქაში“, რომლის დასასრულსაც დავარქმევდი მთავარი ბოლშევიკის ი.ბ. სტალინის სიკვდილს. მესამე ნაწილი - „ბელორუსები ლიბერალური სოციალიზმის ეპოქაში“ - აქ „ლიბერალური სოციალიზმი“ ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ, რამდენადაც არავითარი ლიბერალიზმი არ ყოფილა. მაგრამ სტალინიზმის საშინელ ეპოქასთან შედარებით შეინიშნებოდა რაღაც შემსუბუქება, ყოველ შემთხვევისთვის, დასჯა, მასიური „ჩასმები“ და ბარაკებში საყოველთაო ცხოვრება დამთავრდა. თუმცა ჩემის აზრით, რუსული სოციალიზმის ნამდვილი სახე - ცხოველთა სალაფავია.

დასასრულს მე დავასახელებ: „ჰომო სოვეტიკუსს: ბელორუსული ვარიანტი“ მასში მოთხრობილია თუ რა არის „ჰომო სოვეტიკუს“ საერთოლ და „ბელორუსული ჰომო სოვეტიკუსი“ ძირითადად. ეს არის ადამიანი, რომელიც მიუხედავად დაბადების ადგილისა., ეთნიკური კუთვნილებისა და მოქალაქეობისა ცხოვრობს რუსულ-საბჭოური ღირებულებებით. აი ასეთია წარმომავლობის უარმყოფელი ივანე.

მოზრდილი თავია მიძღვნილი ბელორუსიის ეროვნული ინტელექტუალური ინტელიგენციის განადგურებისადმი 30-იან წლებში. ავტორმა პირველმა განალაგა თაროებზე, თუ რატომ ხდებოდა ეს, და რა აზრი იდო ამაში. ადრე ვერავინ ვერ შესძლო რეპრესიების ტალღებად განლაგება. ყოველივე მათგანში თავის საქმის გამოყოფით: მაგალითად, „ბსდგ-ს საქმე“, ბელორუსიის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის საქმე“, „ტროცკისტ-მავნებლების საქმე სატრაქტორო ცენტრში“.

რატომ კეთდებოდა ეს? სტალინს კარგად ესმოდა, რომ თუ არ ჩაახშობდა ყველა რესპუბლიკაში ეროვნულ მოძრაობებს, მაშინ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, როგორც მუყაოს სახლი. ის დაიმსხვრეოდა ჯერ კიდევ 1941 წლის ზაფხულში. მაგრამ არც ერთ ეროვნულ რესპუბლიკაში ინტელიგენციის განადგურების პროცესი არ ყოფილა ისეთი მასშტაბური, როგორც ბელორუსიაში. არცერთ რესპუბლიკაში რუსიფიკაციის პროცესი. სამწუხაროდ, ისე შორს არ წასულა, როგორც ჩვენთან.

- მაგრამ რისთვის იყო საჭირო ავტორისეული ტექსტის რუსულად გადათარგმნა? უფრო ლოგიკური არ იქნებოდა, რომ წიგნი ბელორუსების შესახებ მოცემულიყო თვით ბელორუსულად?

- მე ვთვლი, რომ ბელორუსიის ის მოქალაქეები, რომლებიც შეიძლება მივაკუთვნოთ ეროვნული თვითშეგნებულთა რიცხვს., პრინციპში არ საჭიროებენ ამ წიგნს. მათ დიდ თუ მცირე ხარისხში ეს ყველაფერი იციან. ეს წიგნი კი სხვებისთვისაა.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ წიგნს წაიკითხავენ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ამიტომ არის იმპერიული ურთიერთობები აქტუალური ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყანაშიც. სასურველი იქნებოდა რომ მას რუსეთშიც გაცნობოდნენ.

---

გაზეთ „განმათავისუფლებლის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ აბაშაში მოულოდნელად გარდაიცვალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი

**ბესიკ ჟღენტი**

და სამძიმარს უცხადებს მის ცოლ-შვილს, დებს - მზია და ია ჟღენტებს და დისშვილს კახა მიგინეიშვილს.

---

სრულიად საქართველოს ზვიად განმათავისუფლებლის პარტია სამძიმარს უცხადებს პარტიის წევრს ინეზა ფიფიას დედის

**მერი ღვინჯილია-ფიფიას**

გარდაცვალების გამო და იზიარებს მის ულრმეს მწუხარებას.

# ედუარდ შევარდნაძეს!

შენზე არ ითქმის? სიბილწეში, პატივცემულო!
„ჩრდილოეთის მზით“, გამობარო და ყინვით დამზრალო!

გევახსოვს, რა მიზნით, წმინდანობდი, რასაც შვრებოდი!
თვალში ნაცრის ყრით და მზაკვრობით, როგორ აღდექი!
რუს ბატონს ჩექმებს ულოკავდი, ქვეშ უძვრებოდი!
ქართველ მონებს კი, ჯალათივით, თავზე ადექი!

აი, ეს იყო, შენი ჭკუა და მარიფათი!
გეამებინა რუსებისთვის, ქართველთა ყმობით!
რომ მოგეპოვა, კიდევ ერთი, ჩინის ყისმათი,
ქართველი ერის ანგარიშზე, ქართულის გმობით!

გისმინეს! გიქეს სამსახური და წაგიყვანეს!
გადაიბირე, როგორიც იქნა, ბრეჟნევს, კრემლის ბჭესთან,
თითქოს გიწამეს, მოჩვენება, ცხადს დაგამგვანეს!
მიგაახლოეს „ჩრდილოეთიდან ამოსულ მზესთან“!

მაგრამ, თუ თვალში, მზის ამოსვლის, მხარე მოგექცა?
არც ჭკუამ დაგღალა, იმ უზრდელი ცოდნით, პატივი,
„ჩრდილოეთის მზე“, მრავალ ქართველს, დიდ ყინვად ექცა!
თუმცა საცნაურად მათთვის ეს გზა იყო მარტივი!

და მოხდა ის, რაც ცხადი იყო, რომ მოხდებოდა!
შენ კი უდექი, რუსის უღელს, ბრმა და უკმეხი!
ჩასვენდა! „ჩრდილო მზე“ და შენ უწყი, რაც მოგყვებოდა! -
რუსეთის ყინვამ „მოგითოშა“, ხელი და ფეხი!

გადარჩი სიკვდილს! რუსების შმაგ ანგარიშგებას!
ბერიასნაირ ავბედს, თუმცა წკიპზე იყავი!
ვაი, რა ვუთხრა, სამართალს და ზეცის განგებას!
რომ ჩამალვების ხვედრი მისი არ გაიყავი!

თუმცა რუსეთმა, რაც მას უყო, ის შენ არ გიყო!
მაგრამ არვინ თქვას, რომ საშველად ფრთა დაგათარეს!
ის თუ ჯვარს აცვეს! - ეშინოდათ, - ბატონი იყო~
შენ კი, - ლაქიას, კარის უკან წიხლი გკადრეს!

მხოლოდ მაშინღა გაგახსენდა, რომ გაქვს და გქონდა,-
სამშობლო მხარე, სამხრეთის მზით, სხივდათრთვილული!
მაგრამ ცოდვების ტვირთი გაწვა, იქ კი დაგქროდა, -
თავისუფლება აწყვეტილი, გადარეული!

რა უნდა გექნა? ბედისწერის წამი დგებოდა!
საქართველოც კი კარს გიხშობდა, მაზანდე უხმო!
თვალში ნაცრის ყრა, ქე იცოდი, არ გეშლებოდა!
და ძმათა სისხლის გემიც შენთვის არ იყო უცხო!

კვლავ ასისინდა სული შენი ეშმაკეული!
ხრაზნევა მზაკვრული, თვალთმაქცური ზნე სატიალე!
და გაუთენე საქართველოს ის დღე წყეული!
თბილისში სისხლის ჯოჯოხეთი დაატრიალე!

ქვეწარმავალო! გასასრესო! ცეცხლი მედება!
სამშობლოს ფეხზე წამოდგომა, რომ არ აცალე!
რომ საქართველოს ჭეშმარიტი სულისკვეთება!
შენს გახრწნილ სულს და გაიძვერულ ტყავს ანაცვალე!

ორჯერ გაწირე, აცურავე, თბილისი სისხლში!
ორჯერვე თითქოს, არც იყავი, რამე შუაში,
ცხრა აპრილის „ავლით“ რუსის ურჩხულს ჩაუგდე პირში!
დეკემბერში კი, - ძმები ჩასვი საქმის ყუაში!

ყველას შეეწყვე: ძველს და ახალს, კარს გარეთ თუ შინ,
ყველას შეაძვრე „ქეჩი“ სარგო, - დროს ავარდნილო,
პირწავარდნილო კომუნისტი იყავი გუშინ!
დღეს უცბად გახდი „დემოკრატი“, მოიგავარდნილო!

ო, ვინც არ გიცნობს, რა ვერაგი და ბოროტი ხარ!
არც ერთი ძალა, ერთგვნული ვაჟკაცის გენი!
„ტყავის“ კაცი ხარ! და მაგ ჭინჭყო გზაზე მოდიხარ!
ყველგან შეძვრები, შესაძრომ ხვრელს, თუ მიაგენი!

ეხლა კვლავ დაგხვდეს, პირველ კაცად, ამ ჭირის დღეში,
„მხსნელიო იცნობს“, „ჩაგვიყობსო“! - დასდეს სარჩული,
ვაი შენ, ჩემო საქართველო, იმ ხალხის ხელში!
სულ ჩაწყობაზე, რომ აქვთ თვალი გამოქარული!

ვხედავთ, რა გვიყო მრომიალმა, ხორცის სარგებად!
გაგვიწყვიტა სული, დაგვიწყვიტა ზნე და მეობა!
არ გაგონილა ბილწი კაცის ხმობა თავდებად!
არ გაგონილა კუდიანის მოწამეობა!

არ გაგონილა სულის შეცვლა! - „გახდა“ ან „ჩაცმა“
ვერ გამოისხამს ქაცვის ლერო, - ყურძნის კუდოს!
არ შეიძლება, მგლოროვე და გაქნილმა კაცმა, -
ერისკაცობის უმძიმესი ტვირთი, რომ ზიდოს!

შენ ისევ ის ხარ, რაც იყავი დაბადებიდან! -
მოძმე, რომ გინდა, დაიმონო, სხვას კი ემონო!
ამჯერად შენი „მზე ამოდის, დასავლეთიდან“!
და შენც იმგვარად მეფერადი, ქამელეონო!!

გიორგი ქართველიშვილი
20.5.92



# წარსულზე ფიქრი

მართალია საზღვარგარეთ ვიმყოფები, მაგრამ ჭურში არ ვზივარ და სამშობლოზე ფიქრიც გულს მიკლავს. ამიტომ მინდა გავიხსენო, ის რისი დავიწყებაც არ შეიძლება. ბევრს ახასიათებს, ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე ფუჭი, გულცივი ენის ქავილი. მე ასეთი საუბრები მფიტავს და მაღიზიანებს, გრძნობა მიჩნდება, თითქოს ჩემ საყვარელ ქვეყანას უკურნებელი სენი შეჰყრია და ვაი-გულშემატკივრები მშვიდად საუბრობენ მის ყოფნა-არყოფნაზე.

მე და ჩემი ოჯახი თვითმხილველები ვართ იმ ბოროტებისა, რაც ჩაიდინა რუსეთმა, ზნედაცემული ქართველების წყალობით 1991-1993 წლებში.

სამშობლოდან იძულებით გადახვეწილმა მამაკაცებმა და მეტწილად ქალებმა, 21-ე საუკუნის მიჯნაზე, მონობის მძიმე უღელი დაიდგეს ოჯახების, ნათესავ-მეგობრების და ქვეყნის გადასარჩენად. რამდენადაც მტანჯველი იყო ცხოვრება საზღვარგარეთ მყოფთათვის, არა ნაკლებ მტანჯველი იყო სამშობლოში დარჩენილი ნაწილისათვის, რომლებმაც ვერ მოახერხეს საზღვარგარეთ გაღწევა. არადა ხომ უნდა დარჩენილიყო სამშობლოში ვინმე, რომ გახარებულ მტერს არ დარჩენოდა ბურთი და მოედანი?

საბჭოეთი ინგრეოდა. ეს გარდაუვალი იყო. ყველა იმპერიას მოელო ბოლო და, ვერც საბჭოთა კავშირი იქნებოდა გამონაკლისი, რომელიც ტყუილებზე, დაპირებებზე, ქურდბაცაცობაზე იყო დაფუძნებული. კიდევ კარგა ხანს გაძლო. საბჭოთა კავშირის ნგრევამ აგონიაში ჩააგდო რუსი პოლიტიკოსები და ბანდიტ-კომუნისტები, რომელთაც თათი სულ მუდამ სახელმწიფო ხაზინაში ჰქონდათ ჩაყოფილი. დაიწყო ანარქია და ბრძოლა ტირანული ძალაუფლების აღდგენისათვის. სისხლში ჩახშობა ყველა იმ რესპუბლიკისა, ვინც დამოუკიდებლობას მოითხოვდა. რუსი დამპყრობლების დევიზი იყო მსოფლიოს გაწითლება. რუსებს ეშინოდათ, ერთიანი კავკასიისა. ამას ვერ ხვდებოდნენ თავად კავკასიელები. პროვოცირებით გაჩაღდა სომხეთ-აზერბაიჯანის ომი ყარაბაღის გაყოფის მიზნით. სულ გაყიდული ჩრდილოელი ოსები, კავკასიელებად კარგა ხანია, აღარც ითვლებოდნენ. შავი ზღვის უმშვენიერესი მხარე ხომ რუსების სანუკვარი ნატვრა იყო, არის და იქნება. გაუმაძღარმა რუსეთმა სოჭი არ იკმარა. მადა ხომ ჭამაში მოდის? ჰოდა, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს დაიწყო აფხაზეთის უმშვენიერესი მხარის წმენდა ძირძველი აფხაზებისგან, აფსუების და სხვა ურჯულოების შემოსახლება, ქართველებსა და ვაი-აფხაზებს შორის შუღლის ჩამოგდება „დაყავი და იბატონეს“ მეთოდით. სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთად მონათვლა. მუშაობა გარუსებაზე. მეგრელების ტვინის გადაბრუნების მცდელობა და ა. შ. საქართველო, ფრიად სასურველი, მსუყე ლუკმაა რუსეთისათვის გეოპოლიტიკურად, წიაღისეული სიმდიდრეებით, კურორტებით, შავი ზღვით და ამასთან ერთად კავკასიის მთავარი ღერძია. ქართველები კი რუსებს ყელში ძვალივით ეჩხირებათ. ქართველი ხალხი შეაკავშირა ეროვნული მოძრაობის იმ ვულკანურმა ძალამ, რომელსაც მონობის ბორკილების მსხვრევა ქვია. ამ დროს ეროვნულ მოძრაობას სათავეში ედგა ორი ბრწყინვალე პიროვნება, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. ეს ორი ეროვნული გმირი, სამშობლოს სიყვარულით დაავადებულები, როგორც ზღაპრული რაინდები, თითქმის ბავშვობიდან ებრძოდნენ შემზარავ ურჩხულს, კომუნისტებს და რუსულ შოვინიზმს. ეს მაშინ, როცა მთელი მსოფლიო, კურდღლებივით ჩირგვში იჯდა და სიტყვა კომუნისტის ხსენებაზეც კი აციებდათ. ამ ორმა ბუმბერაზმა ქართველმა ენით აუწერელი ტანჯვა და დევნა განიცადა კომუნისტ-ფაშისტური რეჟიმის დროს.

დაიწყო ერვონული მოძრაობა. ერთ მუშტად შეკრული, თავისუფლებას მოწყურებულები, გულანთებულები, პირველად, ამდენი ხნის შემდეგ, გრძნობდნენ რომ მოახლოებულია დრო, ბორკილების მსხვრევისა. დრო ნამდვილად იყო, მაგრამ, არც ერთმა არ ვიცოდით თუ რა მოყვებოდა ამ ნგრევას, არც ის ვიცოდით თუ, რამდენი მოღალატე გაეხვევოდა ბატკნის ტყავში და რამდენ ღირსეულს ამოსვრიდნენ ტალახში.

სანთლებით ხელში, ცეკვებით, სიმღერებით, პატრიოტული ლექსებით, თავისუფლების მოლოდინით თავბრუდახვეულებს გულუბრყვილოდ გვეგონა, რომ სრულიად საქართველო ჩვენთან იყო. ამ დროს კი შხამიანი გველი სისინით დასრიალებდა აღმა-დაღმა, მომაკვდინებელ შხამს აფრქვევდა და თან თავის წიწილებსაც იშველიებდა. არავის ესმოდა, რომ თავისუფლბა, ასე სანუკვარი და საოცნებო, მხოლოდ ბრძოლით და სისხლით უნდა მოგვეპოვებინა. მითუმეტეს ისეთი უზურპატორისგან, როგორიც რუსეთია.

მოვლენები მოვარდნილი ნიაღვარივით ვითარდებოდა. საქართველოს იმდროინდელი მთავრობა უსუსურად ფართხალებდა. მთავრობის სახლის წინ მიტიგები ჯაჭვური რეაქციის მაგვარად გრძელდებოდა. ამ მიტინგებს დიდის ძალისხმევით, ცივლიზებულად მართავდნენ ეროვნული მოძრაობის გამოცდილი ლიდერები - ზვიადი და მერაბი. მათ იცოდნენ, რომ ალალ პატრიოტებს შორის ბევრი იქნებოდა მტრის ჯაშუში. სულ პატარა პროვოცირებით ადვილი შესაძლებელი იყო, შეიარაღებული ძალებით დაერბიათ მიტინგი და ტრაგედია დატრიალებულიყო. ეს კი ნიშნავდა თავისუფლების დიდი ხნით დასამარებას, შეიძლება სამუდამოდაც. ზვიადმა და მერაბმა ეს შესანიშნავად იცოდანენ. ამიტომ მიტინგები, მზრუნველი ლიდერების ხელმძღვანელობით, სამართლიანი, დემოკრატიული კანონების დაცვით მიმდინარეობდა

მიუხედავად დიდი სიფრთხილისა, რუსის საოკუპაციო ჯარმა, კრემლის ბრძანებით არნახული სისასტიკით დაარბია მშვიდობიანი მიტინგი. ტანკებით ალყა შემოარტყეს უიარაღო ხალხს. წამლით და სასმელით გაბრუებულ, რობოტებად დაპროგრამებულ ბიჭებს, ორლესული ნიჩბებით ააჩეხინეს მშვიდობიანი ხალხი. ასეთი ოპერაციები განხორციელდა ყველგან, სადაც კი მიტინგები ტარდებოდა. ეს არ იკმარეს და მომწამლავი გაზიც გამოიყენეს. ეს ყოვლად ტრაგიკული ფაქტი მსოფლიოს აცნობეს ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა. ვაცნობეთკი, მაგრამ თავი მაინცდამაინც არავის გაუცხელებია. რამოდენიმე დამკვირვებელი წარმოგზავნეს მხოლოდ და ცოტა წითელი ჯვრიდანაც მივიღეთ დახმარების მაგვარი.

და მაინც, საოცრება მოხდა! ხალხი, ტრაგედიამ უშიშარი და შეუვალი გახადა. დაინიშნა არჩევნები. პირველად საქართველოს ისტორიაში ხალხმა ნამდვილად გამოხატა თავისი ნება. ხმის უმრავლესობით საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ იქნა ბატონი ზვიად გამსახურდია. ეს იყო დიდი გამარჯვება ქართველი ხალხისა.

პრეზიდენტის გარეგნობა აბსოლუტურად გამოხატავდა მის სულიერ სიწმინდეს. მის ყველა მიმართვაში იგრძნობოდა უსაზღვრო სიყვარული თავისი ქვეყნისა და ხალხის მიმართ.

ავირჩიეთ ჩვენთვის სასიქადულო პრეზიდენტი, მაგრამ, გამოუცდელობით და უცოდინარობის გამოისობით ბევრი რამ შეგვეშალა. მე და მთელი ჩემი ოჯახი ვმონაწილეობდით ეროვნულ მოძრაობაში და თვითმხილველი მოწმე გახლდით დარბევებისა, სამარცხვინო სისხლიანი შეტაკებებისა, პრეზიდენტზე მუხანათური თავდასხმისა. ტყვიების წვიმაში ვიდექით იქ სადაც, უნდა მდგარიყო ყველიღირსეული ქართველი. ერთხელ, ჩემმა მორწმუნე მეგობარმა თქვა ასეთი რამ და მეც მთელი არსებით ვეთანხმები: „მე ვაპატიებ ყველას, მაგრამ არა სამშობლოს მოღალატეს“. შეგვეშალა ის რომ ბრძოლა დამთავრებული გვეგონა. გვეგონა ისიც, რომ ეროვნულ მოძრაობას მოღალატე არ ეყოლებოდა. იმაშიც შევცდით, რომ პრივლეგირებული მონების, მორალურად გადაგვარებული ხალხის ერთგულება ვირწმუნეთ. ვერ გავიაზრეთ ის, რომ სულგაყიდულ ქართველებს სულაც არ სურდათ თავისუფლება. და გაივსო პარლამენტი კგბ-ს გოშიებით და მგლებით. თავად ბატონი პრეზიდენტი აპირებდა მუშაობას პარლამენტთან დემოკრატიული გზით. მაგრამ ჭანტურიებს, წერეთლებს, სარიშვილებს, სიგუებს და ადამიებს სულ სხვა ბრძანება ჰქონდათ მიღებული კგბ-საგან. პრეზიდენტს „ოპოზიციაში“ ჩაუდგნენ და იწყო შეთითხნილი ბრალდებების წაყენება. არც საქართველოს და არც პრეზიდენტს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს. ახლადაბადებულ დამოუკიდებლობას სასიკვდილო განაჩენს უმზადებდა კგბ სულგაყიდული ქართველებისავე ხელით. აქ არ შემიძლია არ ავღნიშნო ის დიდი „ღვაწლი“ წითელი ინტელიგენციისა, რომელიც თავგამოდებით და შემდგომში იარაღით ხელშიც იბრძოდა სრულიად საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთმა იარაღით მოამარაგა კიტოვან - იოსელიანები და სისხლი აღვრევინა იმ ხალხისა, რომელიც იცავდა კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს, თავის ქვეყნის უფლებებს. ჩვენმა პრეზიდენტმა იცოდა, რომ ამ ამბავს უამრავი მსხვერპლი და სისხლისღვრა მოყვებოდა და როგორც უდიდესმა ჰუმანურმა პიროვნებამ, გაცლა ამჯობინა. ნაძირლები კი ცოფიანი ძაღლებივით დაედევნენ. სამშობლოს მოღალატენი შერისხულები არიან როგორც ღვთისგან, ისე ერისგან. დღეს უმეტესი მათგანი ცოცხალი აღარც არის. მათი მიუტევებელი საქციელის გამო ჩვენი ზიზღი უსასრულოა და მოუშუშებელი. ისტორიაში მათი სახელები შავ სიაში იქნება. მათი შვილები და შვილთა შვილები, თუ ღირსეული მამულიშვილები იქნებიან, სირცხვილსა და სინდისის ქეჯნაში იცხოვრებენ.

ეხლა, იქნებ, ზოგი ნანობს. მაგრამ ხალხის გულში ისინი აღარ ცოცხლობენ, ცოცხლად დასამარდნენ. მათი ხელოვნება, მუსიკა თუ მეცნიერება გაუფასურდა. ისინი, ერის წინაშე, დანაშაულს ვერასოდეს გამოისყიდიან.

საქართველო დაიპყრო შიშმა, სიცივემ, შიმშილმა და უსინათლობამ. გამრავლდა ძარცვა-გლეჯა, უმუშევრობა, მკვლელობა. სისხლში გასვრილმა ინტელიგენციამ და ვითომც ეროვნულმა პოლიტიკოსებმა დრო იხელეთეს და ჩამოაბრძანეს ყოფილი ფაშისტ-კომუნისტი, დემოკრატად მონათლული ედუარდ შევარდნაძე.

მათ ამაზრზენი შოუ გამართეს მოედანზე. აქ იმყოფებოდა ის „საამაყო“ იარაღასხმული ინტელიგენცია და დაშინებით მითრეული ხალხი. ირ. საარიშვილი ფორთხვით მიეახლა ბატ. ედუარდს, ნიანგის ცრემლებით სავსე თვალები მიაპყრო რუსეთის ემისარს და პათეტიკური სიტყვა წარმოსთქვა: თქვენი იმედი გვაქვს, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ გადააარჩინოთ საქართველოო.

გაქნილმა ჩეკისტმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ამ მოედანზე არ იდგა ჭეშმარიტი ქართველები. ამ ერთი მუჭა ხალხით რუსეთის დავალების შესრულება ძნელი იქნებოდა. საღად მოაზროვნე ხალხი მას არ ენდობოდა. მოსალოდნელი მიტინგები, აბობოქრებული ხალხის დაუმორჩილებლობა, მოსვენებას არ აძლევდა. ეს სარიშვილები და ინტელიგენცია კი ეფიცებოდა ერთგულებას და სიყვარულს, მაგრამ გროზნოში მყოფი გამსახურდია სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა. მისთვისაც და რუსეთისთვისაც, მითუმეტეს რომ ის იყო კანონიერი პრეზიდენტი. გამსახურდია კომუნისტებმა ვერაფრით გააჩუმეს, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა მათი უძლეველობა მსოფლიოს აზანზარებდა. ეხლა, საერთოდ წარმოუდგენელი იყო რუსებთან თანამშრომლობა ზვიად გამსახურდიას არსებობის პირობებში. შევარდნაძეს სიმშვიდე სურდა. ხალხს უყვარდა ზვიადი, როგორც ეროვნული გმირი. ამიტომ აუცილებელი იყო მისი მოშორება, გაიძვერა, „მსოფლიო“ პოლიტიკოსმა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გეგმა შეიმუშავა და შინაგანად სიმშვიდე და კმაყოფილება იგრძნო. ეხლა მთავარი იყო ხალხის დაბნევა და გაურკვევლობაში ყოფნა.

მკვლელობა გასაიდუმლოვებულ ვითარებაში უნდა მომხდარიყო. ხალხი ინფორმაციის ვაკუუმში ხანგრძლივად ჰყოლოდა და ჰქონოდათ ზვიადის გამოჩენის მოლოდინი. გარდა ამისა, აღარ არსებობდა სხვა სანდო და ღირსეული ლიდერი. იყო ერთი, რომელსაც ხალხი უდაოდ გაყვებოდა, მერაბ კოსტავა და კიდევ კარგი ადრე მოიშორა იგი, თანაც ისე, რომ ვერავინ დებდა ბრალს.

მოკლედ, რუსეთის ყურმოჭრილი მონა, ყველაფერს ცდილობდა რომ საქართველო კვლავ მის კლანჭებში მოექცია, ამიტომ საჭირო იყო ხალხის მარწუხებში ყოლა, რომ ეყვირათ, „თანახმა ვართ ვიყოთ რუსეთის მონებიო“, მაგრამ ხალხს აღარ სურდა მონობა და ყველაფერს იტანდა, რათა არ დაეკარგათ ტანჯვით მოპოვებული დამოუკიდებლობა.

შიმშილობამ, კორუფციამ, სისასტიკემ, მორალურად და ფიზიკურადაც გააჩანაგა ღირსეული ინტელიგენცია და კეთილსინდისიერი მოსახლეობა. საქართველოს დაპყრობა მრავალმხრივ იყო გამიზნული:

დასასრული მე-16 გვ.

# წარსულზე ფიქრი

დასაწყისი მე-15 გვ.

1. იერიში რელიგიაზე: ქართველი მოსახლეობა შემობრუნდა რელიგიისკენ. მტერს ეს აშინებდა და შეფარულად იბრძოდა. თავად ურწმუნონი, ეკლესიებში დარბოდნენ, პირჯვარს იწერდნენ და მიწას თავს ურახუნებდნენ. აქაო და ჩვენც მურწმუნენი გავხდით და ამას იქით ყველაფერი დაგვეჯერებაო. ბევრს არ ჯეროდა მათი და რატომღაც ეჭვი რელიგიის მიმართ ჩნდებოდა. მიზანიც ეს გახლდათ.

2. თუ გულუბრყვილონი ირწმუნებდნენ მათ მონანიებას ღვთისა და ხალხის წინაშე, ცხვრებივით გაყვებოდნენ, ცხვრის ტყავში გახვეულ მგლებს. აქაც მომგებიანი იყო ჩანაფიქრი.

3. მშიერ, სასოწარკვეთილ ხალხს აღუთქვამდნენ, რომ თუ რელიგიას შეიცვლიდნენ საჭმლით მოამარაგებდნენ. ეს ყველაფერი მეთოდურად ხორციელდებოდა. ურწმუნო შევარდნაძე მორწმუნედ მოინათლა.

შემდგომ, აფხაზეთში ისეთი სოდომ-გომორი დაატრიალა, რომ ქართველი გამოცდილი თუ გამოუცდელი ბიჭების მოკვეთილი თავებით მტერს ფეხბურთი ათამაშებინა. სამაჩაბლოდან, ძირძველი ქართული მიწიდან ქართველები წიოკ-წიოკით გამოაყრევინა რუსის და უმადური ოსის კბილებამდე შეიარაღებულ კანიბალებს. ეს საკმარისი არ აღმოჩნდა დამოუკიდებლობის მომთხოვნი ხალხის დასასჯელად. ცეცხლს, სისხლის ღვრას და ტერიტორიების ჯიჯგნას ახლდა სიცივე, უშუქობა, უწყლობა, შიმშილობა, ფასების აშვება საკვებზე და ყოველდღიურ მოხმარების საგნებზე, კორუფცია. მოღალატე შევარდნაძე თბილად უნდა იჯდეს და მემუარებს წერდეს? უმაღლესი პენსია უნდა ეძლეოდეს? როცა ღირსეულ ადამიანებს პენსია პურის ფულად თუ ჰყოფნის მხოლოდ.

ამჟამინდელი მთავრობა ძალიან „გულკეთილი და მიმტევებელი“ აღმოჩნდა მის მიმართ.

ერთი კითხვა მინდა დავუსვა ყველას, პოზიციონერებს, ოპოზიციონერებს, გამყიდველებს, რომლებიც ვერ ისვენებენ და წყალს ამღვრევენ, თავს ოპოზიციონერებად რომ ასაღებენ და ფაქტიურად ნამდვილ ოპოზიციას მოქმედების საშუალებას არ აძლევენ. თუ გვიფიქრია იმაზე რას გვეტყვის მომავალი ჩვენი? როგორ გგონიათ, გვაპატიებენ ამდენ შეცდომებს, წაყრუებას, უპასუხისმგებლობას, ქვეყნის დანგრევა-გაჩანაგებას? ბოლოს და ბოლოს ხომ მოვა ღირსეული მომავალი ჩვენი ქვეყნისა, ხომ დაიწყება ყველა სიბოროტის მზის შუქზე გამოტანა?

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ რუსი ოკუპანტები ვერ ისვენებენ და ვერასოდეს მოისვენებენ, სანამ მთავრობა არ აღიარებს, რომ საქართველოში მოხდა პუტჩი რუსეთის ჩარევით, რომ განდევნილ იქნა და შემდგომ მოკლულ იქნა საქართველოს პრეზიდენტი, რომ მოხდა საზარელი გენოციდი ქართველებისა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. საქართველოს დაპყრობის სურვილი და მის მიმართ აგრესიას, ღრმა ფესვები აქვს. პასუხი რომ არასოდეს მოეთხოვათ, იმიტომაც გრძელდება გამუდმებული რბევა. უნდა მოეწყოს სასამართლო, უმაღლესი დონის პროფესიონალი იურისტ დამკვირვებლებით. სრული სიმართლით უნდა იქნას განხილული 9 აპრილს ჩადენილი ვანდალიზმი ერისა და მოწინავე პატრიოტი ხალხის წინააღმდეგ. უნდა მოხდეს გამოძიება მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მკვლელობისა, დასასჯელი უნდა დაისაჯოს. სამართალმა უნდა იზეიმოს. სიმართლეს, დღესაც მიწა აქვს წაყრილი. პასუხი უნდა მოვთხოვოთ ყველა დამნაშავეს ერისა და ქვეყნის მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის. სხვა შემთხვევაში აგრესიას საზღვარი არ ექნება. დრო იცვლება. დასაფიქრებელია ეხლანდელი ხელისუფლების მოქმედება. სამაჩაბლო და აფხაზეთი საბოლოოდ ჩამოგვაშორეს. რუსებმა ისევ პროვოცირებით გადაითარეშეს ჩვენს მიწაზე, თანაც თავად ციცქნა საქართველო წარმოუდგინეს მსოფლიოს მტაცებელ ლომად, რაც საზარელი ცინიზმია.

მეგობარ ამერიკას 4 დღე დასჭირდა რომ ხმა ამოეღო. მაპატიეთ, მაგრამ პირადად მე მათი მეგობრობისა არ მჯერა. გასაგებია, ისე არავინ დაგვეხმარება თუ არაფერს ელის ჩვენგან.

ჩვენ რომ დემოკრატიულ ქვეყნის შენებას ვიწყებდით და ბატონმა ზვიად გამსახურდიამ თხოვნით მიმართა მსოფლიოს დემოკრატიით ცნობილ უძლიერეს ქვეყანას - ამერიკას, რომ ყურადღება მოექცია საქართველოსთვის, რადგან აქ სისხლში ახრჩობდნენ ადამიანის უფლებებს, სად იყო მაშინ დემოკრატიის მამამთავარი? იმის მაგივრად, რომ ხმა აემაღლებინა, წაუყრუა. მაშინ ერაყის საკითხი არ იყო დღის წესრიგში. ამიტომაც, არც ჩვენი ამბავი ანაღვლებდათ.

დღეს მაინც, რატომ არ გამოგვექომაგა დროულად „მეგობარი“ ამერიკა? რატომ დააყოვნა? იქნებ, ეხლაც საიდუმლო გარიგებას ჰქონდა ადგილი? ალბათ, საქართველო, ეხლაც შესაწირი ვაცი იყო ევრო-ამერიკისთვის?

ალბათ!...

ლუიზა ანდღულაძე,
*აშშ.*

# პეტრე I-ის ანდერძი

## ფ. გაიარდის წიგნში გამოქვეყნებული პეტრე დიდის ანდერძის ტექსტი

წმინდა და განუყოფელი სამების სახელით, ჩვენ, პეტრე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, ყველა ჩვენს შთამომავალსა და ტახტის მემკვიდრეს და რუსი ნაციის მთავრობაში.

I. ამყოფეთ რუსი ხალხი განუწყვეტელი ომის მდგომარეობაში, რათა ჯარისკაცი იყოს ბრძოლაში გამობრძმედილი და არ იცოდეს დასვენება: ის მოასვენეთ მხოლოდ სახელმწიფო ფინანსების გაუმჯობესებისას, არმიის გარდაქმნისას და ომისათვის, დაელოდოს თავდასხმისათვის მოხერხებულ დროს. ამ სახით, გამოიყენეთ მშვიდობა ომისათვის და ომი მშვიდობისათვის საზღვრების გასაფართოებლად და რუსეთის მზარდი კეთილდღეობისათვის.

II. მეტად განვითარებული ქვეყნებიდან ყოველგვარი საშუალებებით გამოძახებულ იქნეს სამხედრო მეთაურები ომის დროს და მეცნიერები მშვიდობის დროს იმისათვის, რათა რუსმა ხალხმა შესძლოს სხვა ქვეყნების მიღწევების გამოყენება, საკუთარიდან არაფრის დანაკარგით.

III. ნებისმიერ შემთხვევაში ევროპის საქმეებსა და ომებში ჩარევა, განსაკუთრებით გერმანიისას, რომელიც, როგორც მახლობელი, იწვევს უშუალო ინტერესს.

IV. პოლონეთის გაყოფა, მასში მხარი დაეჭიროს მღელვარებებს და გამუდმებულ უთანხმოებებს, ძლიერები გადმობირებულ იქნენ ოქროთი, ზემოქმედება სეიმებზე, მოისყიდოს ისინი იმისათვის, რათა გავლენა იქნეს მეფეთა არჩევნებზე, ამ არჩევნებში ჩვენი მომხრეების მიყვანა, გაეწიოს მათ მფარველობა, იქ შევიყვანოთ რუსული ჯარები და დატოვებულ იქნას იქ დროებით, სანამ არ წარმოსდგება შემთხვევა მათი იქ საბოლოოდ დატოვებისა. თუკი მეზობელი სახელმწიფოები დაიწყებენ სიძნელეების შექმნას, მაშინ დამშვიდებულ იქნენ ისინი ქვეყნის დროებითი დანაწევრებით, სანამ შესაძლებელი არ იქნება უკან წართმევა.

V. შვეციასთან დიდი დაპყრობების შესაძლებლობის შექმნა და მისი მხრიდან თავდასხმის ხელოვნურად გამოწვევა შეიქმნას წინაპირობა მისი დაპყრობისა. ამისათვის ის დანიისაგან იზოლირებული უნდა იქნეს, ხოლო დანია, შვეციისაგან და მზრუნველად დაეჭიროს მხარი მათ შორის წინააღმდეგობას.

VI. დიდი რუსი თავადებისათვის მეუღლეები შეირჩეს გერმანელი პრინცესებიდან იმისათვის, რომ გამრავლდეს ნათესაური კავშირები, დაახლოვდეს ინტერესები, გერმანიაში ჩვენი გავლენის გაძლიერებით ჩავაბათ ის ჩვენს საქმეში.

VII. უპირატესობით მივაღწიოთ ინგლისთან კავშირს ვაჭრობის სახით, რადგან, სახელდობრ, ეს არის ის სახელმწიფო, რომელიც მისი ფლოტისათვის უმეტესწილად ჩვენ გვსაჭიროებს და რომელსაც შეუძლია უმთავრესად ჩვენი ფლოტისათვის სასარგებლო იყოს, გავცვალოთ ჩვენი ტყე და სხვა ნაწარმი მის ოქროზე და დავამყაროთ ჩვენს ვაჭრებსა და მეზღვაურებს შორის მუდმივი ურთიერთობები, რომლებიც ასწავლიან ჩვენებს ვაჭრობას და ზღვაოსნობას.

VIII. დაუღალავად განვავრცოთ ჩვენი საზღვრები ჩრდილოეთით და სამხრეთით, შავი ზღვის გასწვრივ.

IX. რაც შეიძლება ახლოს წავიწიოთ კონსტანტინეპოლისკენ და ინდოეთისკენ, მათი მფლობელი იქნება მსოფლიოს მფლობელი. ამ მიზნით აღიძრას მუდმივი ომები თურქებთან, თუ სპარსებთან. შავ ზღვაზე დაარსდეს გემთსაშენები, ნელნელა დავეუფლოთ, როგორც ამ ზღვას, ასევე ბალტიისას, რამეთუ ერთიცა და მეორეც აუცილებელია გეგმის წარმატებისთვის - მოეწყოს სპარსეთის დაცემა, გავაღწიოთ სპარსეთის ყურემდე, თუ შესაძლებელია ავაღორძინოთ, ლევანტას ძველი ვაჭრობა ციმბირთან და მივწვდეთ ინდოეთს, როგორც მსოფლიო სასაწყობო პუნქტს. მისი დაუფლებით შესაძლებელია ინგლისის ოქროს გარეშედაც იოლად გავალთ.

X. მიველაქუცოთ და მონდომებით დავუჭიროთ მხარი ავსტრიასთან კავშირს, დასანახად წახალისდეს მისი ჩანაფიქრები მისი გერმანიაზე სამომავლო ბატონობაზე, საიდუმლოდ კი გამოვიწვიოთ მის წინააღმდეგ ხელმწიფეთა არაკეთილმოსურნეობა: ვეცადოთ, რათა ამან ან სხვებმა დახმარებისთვის მიმართოს რუსეთს და დავამყაროთ ქვეყანაზე, თითქოსდა მფარველობა მასზედ მომავალი ბატონობის შემზადების მიზნით.

XI. დავაინტერესოთ ავსტრიის სამეფო სახლი ევროპიდან თურქების გაყრით, კონსტანტინეპოლის დაუფლებით კი ნეიტრალიზება გავუკეთოთ მის შურიანობას ან აღვძრათ მის წინააღმდეგ ომი, ან მივცეთ მას დაპყრობილის ნაწილი, მოგვიანებით უკანვე წავართვათ ის.

XII. გადმოვიყვანოთ ჩვენს მხარეზე და გავაერთიანოთ ჩვენს ირგვლივ ყველა აღმოსავლეთბერძენი რენეგატი, ან სქიზმატიკი, გავრცელებულნი უნგრეთში, თურქეთში და სამხრეთ პოლონეთში, აქციეთ ისინი ძალად და საყრდენად და წინასწარ მომზადდეს საყოველთაო ბატონობა მათზედ, თითქოსდა სასულიერო მეთაურთა დაწესების მეშვეობით. იქნება იმდენი მეგობარი, რამდენი მტერიც ეყოლება თითოეულს.

XIII. როდესაც შვეცია დაქუცმაცებული იქნება, სპარსეთი დამარცხებული, პოლონეთი დასაფლავებული, თურქეთი დაპყრობილი, არმიები გაერთიანებული, შავი და ბალტიის ზღვები ჩვენი გემებით დაცული, მაშინ უნდა შესთავაზონ დიდი საიდუმლოების ქვეშ პირველად ვერსალის მოლაპარაკებას, შემდეგ ვენისას, მსოფლიოზე ძალაუფლების გაყოფა. თუ რომელიმე მათგანი, ცდუნებული პატივმოყვარეობითა და თავმოყვარეობით, მიიღებს ამ წინადადებას - რაც გარდაუვალია მოხდეს, მაშინ ის გამოვიყენოთ სხვის დასაღუპად, შემდეგ გავანადგუროთ გადარჩენილიც, მასთან ბრძოლის დაწყებით, რომლის შედეგშიც უკვე დაეჭვებაც არ შეიძლება, რადგან მაშინ რუსეთი დაუფლებული იქნება მთელს აღმოსავლეთსა და ევროპის უდიდეს ნაწილს.

XIV. თუ მოსალოდნელის საწინააღმდეგოდ ის, ან სხვა, რუსეთის წინადადებაზე უარს იტყვიან, მაშინ ჩამოაგდეთ მათ შორის მტრობა და დააუძლურეთ ისინი ურთიერთშორის ბრძოლით. მაშინ რუსეთმა გადამწყვეტი წუთსარგებლობით, უნდა მიმართოს ადრეულად შეკრებილი თავისი ჯარები გერმანიისკენ და ამავდროულად უნდა გაგზავნოს ამათთან ერთად ორი მნიშვნელოვანი ფლოტი, ერთი აზოვის ზღვიდან, მეორე ბალტიის ზღვიდან, ხმელთაშუა ზღვასა და ოკეანეში გასულები შეესევიან ერთმხრივ საფრანგეთსა და მეორეს მხრივ გერმანიას, და მაშინ იქნება ეს ორი ქვეყანა დამარცხებული, მაშინ დანარჩენი ევროპა უკვე ადვილად და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე აღმოჩნდება მის ქვეშ.

ასე შეიძლება და უნდა დავიმორჩილოთ ევროპა“.

*ფრანგულიდან თარგმნა:*
ვ. ზერნოვმა, რუსულიდან - ალ. სანდუხაძემ

# „არ გათეთრდება ყორანი..."

ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებამ, უკანასკნელ წლებში სრული კრახი განიცადა. ამგვარი შედეგი იმთავითვე ცხადი და მოსალოდნელი იყო, ვინაიდან, „ეროვნულ საბჭოდ“ წოდებულ პოლიტიკურ აჯაფსანდალში არავის არაფერი მოეკითხა: არც ზნეობა, არც მორალი, არც დამსახურება, არც პატრიოტიზმი, არც წარსული ღალატი და არც-თუ სახელმწიფო დანაშაული; „ეროვნულ საბჭოში“ ყველა ტიპის ავანტიურისტისთვის აღმოჩნდა ადგილი. შესაბამისად, „ოპოზიციონერად“ წოდებული რომელი ლიდერი, ხელისუფლების რომელ წარმომადგენელთან აწარმოებდა საიდუმლო მოლაპარაკებას (ლევან გაჩეჩილაძე, გოგა ხაინ-



დრავა, დავით გამყრელიძე, დავით უსუფაშვილი), ვერავინ აკონტროლებდა.

სააკაშვილმა ზუსტად უწყოდა რა ოპოზიციის რეალური სახე, მზაკვრობით აჯობა მათ და „გაფარჩაკებული“ წარმოაჩინა.

წარსული მწარე გაკვეთილების გათვალისწინებით, ოპოზიციის ცალკეულ წარმომადგენლებში აშკარაა მცდელობა, აღარ აჰყვნენ დემაგოგიას და ვიწრო პარტიულ გაერთიანებებზე შეჯერდნენ. ამ ტიპის გაერთიანებაზე დეკლარაცია უკვე გააკეთეს: ირაკლი ალასანია - რესპუბლიკელები - ახალი მემარჯვენეების ლიდერებმა, აგრეთვე, კონსტანტინე გამსახურდია - აკაკი ასათიანი - გია მაისაშვილი - გუგული მაღრაძის ოთხთა კავშირმა და სხვა. რამდენადაც საიმედოდ და ბუნებრივად გვეჩვენება კონსტანტინე გამსახურდიასა და გიორგი მაისაშვილის პოლიტიკური კავშირი, იმდენად არასაიმედო და არაბუნებრივია გუგული მაღრაძისა და აკაკი ასათიანის ტანდემი გამსახურდია-მაისაშვილთან.

აკაკი ასათიანზე ვერ ვიტყვით, რომ იგი შეცდომებს უშვებს, აკაკი ასათიანი, ბუნებით ქვაბავაზაკია! შეთქმულების თეორია, მისთვის ორგანულია, რაშიც ჩვენ ამჯერადაც დავრწმუნდით და წარსული შეთქმულების არაერთი მასალაც გამოვაქვეყნეთ ჩვენი გაზეთის მე-17 ნომერში (2008 წ. მაისი).

როგორც ვუწყით, აკაკი ასათიანი ბრძანდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის უზენაესი საბჭოს სპიკერი, რომლის ერთგულებას დღემდე ურცხვად გვეფიცება და დღემდე უტიფრად აცხადებს, რომ „ზვიად გამსახურდიას ჩემთვის ღალატში ბრალი არ დაუდიაო“.

ასათიანის მამხილებელ სტატიაში - „ქვაბავაზაკ პოლიტიკოსთა ტრიუმფი“ - ჩვენ, დოკუმენტებთან ერთად გამოვაქვეყნეთ მისი ფეშენებელური სამსართულიანი სახლის ფოტოც, რომელიც მან ქვეყანაში არსებული უკიდურესი სიდუხჭირის წლებში (1993-95) აიშენა ყოფილი აკოფიანის, ამჟამად სულთნიშნის ქ. №1-ში (ვერცხლის ქუჩის პერპენდიკულარული ქუჩა). იმ იმედით, რომ ასათიანი აღარ გააგრძელებდა ხალხის „დარწმუნებას“ თავის „უცოდველობაში“, ჩვენი გაზეთის ზემოხსენებული ნომერი (№17) საკუთარი სახლის ფოსტის ყუთში ჩავუდევით, რათა წაეკითხა და დადუმებულიყო, მაგრამ ამაოდ.

ჩვენ იძულებული ვართ, კვლავ შევახსენოთ საზოგადოებას აკაკი ასათიანის მოღალატური წარსული და კვლავ გამოვაქვეყნოთ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. გაზეთის ამ ნომერსაც, აღარ ვანდობთ ფოსტას და საკუთარი ხელით ჩავუდებთ ფეშენებელური სახლის ფოსტის ყუთში.

*__დოკუმენტი № 1.__*

### *მიმართვა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისადმი*

1990 წლიდან საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, რომელიც იმთავითვე დაუპირისპირდა მოსკოვის სუკ-ის მიერ შექმნილ ცრუ მონარქისტულ მოძრაობას საქართველოში. ამ კავშირის ლიდერი აკაკი ასათიანი აღიარებდა, რომ მოსკოვმა ეს ცრუ მოძრაობა შექმნა საქართველოში ჭეშმარიტად ეროვნულ ძალებთან დასაპირისპირებლად. ტრადიციონალისტები შევიდნენ „მრგვალ მაგიდაში“ და აცხადებდნენ, რომ მხარს დაუჭერდნენ მხოლოდ ლეგიტიმურ არჩევნებს და ამ გზით არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას. მათი პროგრამა და დეკლარაციები ყოველნაირად გამორიცხავდნენ კოლაბორაციონიზმს იმპერიულ ძალებთან, ისინი ემიჯნებოდნენ მოღალატე ცრუ პარტიებს, მხარს უჭერდნენ კანონიერ პარლამენტსა და პრეზიდენტს. ამან განაპირობა ჩემის მხრივ მხარდაჭერა თქვენი მოძრაობისა, აგრეთვე აკაკი ასათიანის კანდიდატურისა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე, ამასთან 1991 წელს ტრადიციონალისტთა კავშირის ყრილობაზე მე ამირჩიეს ამ კავშირის საპატიო წევრად.

მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა იმპერიის მიერ ინსპირირებული პუტჩის დღეებში. ბ-ნი აკაკი ასათიანი მერყეობდა, ყოველნაირად ცდილობდა თავი აერიდებინა პუტჩისტი დეპუტატების დაგმობისათვის და ბოლოს საერთოდ გაეცალა ბრძოლის ველს ვითომდაც ავადმყოფობის საბაბით. შემდეგ იგი უეცრად გამოჩნდა ზუგდიდში, სადაც ხალხს მოუწოდებდა არ წასულიყვნენ კანონიერი ხელისუფლების დასახმარებლად და არ მიეღოთ მონაწილეობა ბრძოლებში. ასეთივე აგიტაციას ეწეოდა იგი ქუთაისსა და სხვა ქალაქებში. ამჟამად ცნობილია, რომ მას პუტჩისტებთან იდეური ნათესაობა აკავშირებდა. ხოლო უკანასკნელ ხანებში გამოიკვეთა მისი ალიანსი შევარდნაძის ნეოკომუნისტურ მაფიოზურ ხუნტასთან. ა. ასათიანი, ზ. ბოკუჩავა და სხვები დღეს ხუნტის ცრუ არჩევნების პროპაგანდას ეწევიან, თანაც ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად აცხადებენ, რომ ისინი ვითომდაც მხარს უჭერენ კანონიერ პრეზიდენტს.

ა. ასათიანმა, რომელმაც თავისი თავი გადამდგარად გამოაცხადა, ხოლო კანონიერი პარლამენტი დაშლილად, დღეს ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუწყოს მაფიოზურ ხუნტას ცრუ პარლამენტის შეკოწიწებაში არალეგიტიმური არჩევნების გზით, თუმცა კარგად უწყის, რომ ნამდვილი არჩევნების დანიშვნა მხოლოდ კანონიერი პარლამენტის პრეროგატივაა.

ეს ყოველივე არის, აგრეთვე ღალატი ჭეშმარიტი მონარქისტული იდეისა, როგორც საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ გიორგი (ხორხე) ბატონიშვილმა განაცხადა, საქართველოში მონარქია შეიძლება აღდგეს მხოლოდ კანონიერი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ხალხის ნებისა და კონსტიტუციის გადაწყვეტილებით. უზურპატორებს, პუტჩისტებს, ხალხის ნების აბუჩად ამგდებებს კი არა აქვთ უფლება თავისთავს უწოდონ მონარქისტები ან ტრადიციონალისტები. დღეს სავსებით ნათელია, რომ ა. ასათიანის ტრადიციონალისტთა კავშირი გახდა კოლაბორაციონისტული ორგანიზაცია, რომელიც უპირისპირდება კანონიერ ხელისუფლებას. ამის გამო ვაუქმებ ჩემს საპატიო წევრობას თქვენს კავშირში და მოგიწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ეროვნული მოძრაობისა და ჭეშმარიტი კონსტიტუციური მონარქიზმის იდეალები, დასტოვოთ ცრუ ტრადიციონალისტთა რიგები და პროტესტი გამოუცხადოთ ანტიტრადიციონალისტ პუტჩისტებთან და სახელმწიფო დამნაშავეებთან ალიანსში მყოფ თქვენს ლიდერს, როგორც მოღალატეს ეროვნული მოძრაობისას და კანონიერი ხელისუფლებისას.

დაგმეთ შეთქმულება საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისა და ლეგიტიმური სახელმწიფო ტახტის წინააღმდეგ, შემოუერთდით ჩვენს რიგებს!

*საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი*
ზვიად გამსახურდია
*1992 წლის 21 ივნისი*

*__დოკუმენტი № 2.__*

### *პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 1993 წლის 19 იანვრის ვიდეომიმართვა ქართველი ერისადმი, ვიხსნათ საქართველო*

ციტატა: „... მრგვალი მაგიდიდან ჩვენ გავრიცხეთ ისინი, ვინც ჩირქს სცხებდნენ მას. კერძოდ, გავრიცხეთ ე.წ. მერაბ კოსტავას საზოგადოება, რომელიც არცხვენდა ამ უდიდესი პიროვნების სახელს, გავრიცხეთ ცრუ ტრადიციონალისტები ასათიანის მეთაურობით...“ (გაზეთ „აღდგომა“, № 3(31), 30 იანვარი, 1993).

*__დოკუმენტი № 3.__*

### *პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმართვა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი*

ციტატა: „... რკონთან და თბილისის ზღვასთან ალიანსში მყოფი, კანონიერი პარლამენტის შიგნიდან ამფეთქებელი აკ. ასათიანი დეკემბერ-იანვრის სისხლიანი პუტჩის დროს განერიდა დედაქალაქს, ვითომდაც ავადმყოფობის საბაბით, რათა დაერწმუნებინა დასავლეთ საქართველოს აბობოქრებული მოსახლეობა, პრეზიდენტსა და პარლამენტს არაფერი უჭირთ, ნუ წახვალთ მათ დასახმარებლადო“ და ა.შ. (გაზეთი „აღდგომა“, № 7, 28 თებერვალი, 1993).

ზემოთმოყვანილი მიმართვები კრებულების სახით გამოსცა გელა სალუაშვილმა. იხილეთ კრებული „1992-1993“. გვ. 20-21, „ორმოცი მიმართვა სრულიად საქართველოს მოსახლეობისადმი“, გვ. 49-51.

რაც შეეხება ასათიანის „ავადმყოფობას“. ამის შესახებ „ახალგაზრდა ივერიელად“ გარდაქმნილი ყოფილი კომკავშირული გაზეთი ასეთ საგულისხმო ცნობას წერდა: „უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი აკაკი ასათიანი ქობულეთის სამკურნალო-სარეაბილიტაციო სანატორიუმ „საქართველოში“ აგრძელებს მკურნალობას. მკურნალობის კურსი, დაახლოებით სამ კვირას გასტანს“ (იხ. გაზეთი „ახალგაზრდა ივერიელი“,. 14. XII. 1991 წელი. № 135-137 (11768-11770).

დაკვირვებული მკითხველი, იმედია იოლად იპოვის პარალელს ასათიანის „მკურნალობის“ ვადის ხანგრძლივობასა და კანონიერი ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების დაწყება-დამთავრების ვადებს შორის. „პუტჩისთვის“ თვალსაჩინო აქტიურობა დაიწყო 13 დეკემბერს და დასრულდა 6 იანვარს, ანუ სამ კვირაში. „გამოჯანმრთელებული“ ასათიანიც მალევე დაბრუნდა დედაქალაქში და ხუნტის ხელისუფლებასთან (სიგუა-იოსელიანიეკიტოვანი-ყარყარაშვილი) კაპიტულანტური შეკრება გამართა, ჯერ კინოს სახლში, ხოლო შემდგომ ფილარმონიაში, სადაც უკვე კანონიერი ეროვნული ხელისუფლების მომხრე ათიათასობით ადამიანი მიაწყდა. მძლავრმა პროტესტმა ასათიანი აიძულა უარი ეთქვა ხუნტის მიერ შეთავაზებული კაპიტულაციის ტექსტის ხელმოწერაზე. ფილარმონია ალყაშემორტყმული იყო ათიათასობით მომიტინგით, რომლებიც ასათიანის მისამართით სკანდირებდნენ: „არ გაბედო!“, „მოღალატე!“ ხელმოწერის შემთხვევაში იგი ხალხის რისხვას ახლა უკვე ნამდვილად ვერ ასცდებოდა, რეალური იყო საფრთხე აღელვებული ხალხის მიერ მისი ფიზიკური მოშთობისა, მიუხედავად იმისა, რომ მას ხუნტის შეიარაღებული ძალები იცავდნენ. ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ხუნტას, ასათიანის სიცოცხლე, დოკუმენტზე ხელმოწერამდე სჭირდებოდა, ხელმოწერის შემდგომ კი მისი დაცვით დიდად არ შეიწუხებდნენ თავს. ასათიანს, როგორც ჭკვიანს და გაიძვერას, არ გაუჭირდებოდა მოსალოდნელი საფრთხის განჭვრეტა და ექსტრემალური ვითარების შესაბამისადაც მოიქცა - დოკუმენტს ხელი არ მოაწერა!

*დასასრული მე-18 გვ.*

# „არ გათეთრდების ყორანი...“

ასათიანს ღალატი და ორგულობა, რომ სისხლში აქვს გამჯდარი ეს სულ ახლახანაც დადასტურდა; როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, ასათიანმა პოლიტიკური ალიანსი შეკრა კონსტანტინე გამსახურდიასთან, გუგული მაღრაძესა და გია მაისაშვილთან, რაც მას ავალდებულებდა მათთან შეთანხმებულ მოქმედებას. „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“-ო, ეს ხალხური ანდაზა აკაკი ასათიანის მსგავს პიროვნებებზეა ნათქვამი. მისმა ქვაბავაზაკობამ და სადუკეველობის მავნე თვისებებმა ამ ურთიერთობაშიც იჩინა თავი, რასაც კონსტანტინე გამსახურდიასა და გია მაისაშვილის საჯარო განცვიფრება და განაწყენება მოჰყვა. 20 მარტს რატომღაც მხოლოდ „კურიერით“ გადაიცა პარლამენტარ გიორგი თარგამაძისა და აკაკი ასათიანის ერთობლივი „ბრიფინგი“ სახელმწიფო მოწყობის შესახებ, ხოლო საღამოს, იგივე „რუსთავი-2“-ზე ნინო შუბლაძის თოქ-შოუ „პოზიციაში“ კვლავ ვიხილეთ თარგამაძისა და ასათიანის ტანდემი, რომლებმაც კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ისინი ერთობლივად იბრძოლებენ ქვეყნის სახელმწიფო მოწყობაზე და რომ მათთვის ყველაზე მისაღებია ავსტრიული მოდელი: ფიქტიური პრეზიდენტი, პარლამენტი და კანცლერი (არ არის გამორიცხული, რომ ისინი თანამდებობის განაწილებაზეც შეთანხმდნენ - ფიქტიური პრეზიდენტის თანამდებობაზე, ალბათ თარგამაძე, ხოლო კანცლერობაზე - ასათიანი).

თოქ-შოუში პირდაპირ ჩართულმა კონსტანტინე გამსახურდიამ და გია მაისაშვილმა, ვერც გაოცება



და ვერც წყენა დამალეს ასათიანის სრულიად მოულოდნელი საქციელის გამო და განაცხადეს, რომ ისინი მის საქციელზე ალიანსში იმსჯელებენ. სტუდიაში მყოფ ასათიანს ოდნავადაც არ დასტყობია უხერხულობა საკუთარი ქმედების გამო, არამედ შეეცადა თოქ-შოუს წამყვან შუბლაძისათვის გადაებრალებინა მომხდარი, რაც ჟურნალისტმა არგუმენტირებულად უკუაგდო.

ორგულობისა და ვერაგობის კიდევ ერთი ფაქტი-ფაქტად; ჩვენთვის არანაკლებ დამაბნეველია „ტრადიციონალისტ“ აკ. ასათიანის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. თავისი პარტიული კუთვნილების მიხედვით, იგი თითქოს, ტრადიციულ სახელმწიფო მოწყობის ინსტიტუციებს - მონარქიულ და რესპუბლიკურ, საპარლამენტო მმართველობას უნდა ემხრობოდეს. ამის ნაცვლად კი იგი სახელმწიფო მოწყობის სრულიად ახალ მოდელს - შერეულ მმართველობას გვთავაზობს. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ ღალატსა და ცრუ-ტრადიციონალისტობაში მხილებული აკაკი ასათიანი, თავის ადგილს, ალბათ, ცრუ-ფსევდოოპოზიციონერ და მასავით დახვეწილ არამზადა თარგამაძის გვერდით დაიმკვიდრებს და ერთობლივად შეეცდებიან, ყოველგვარი ეროვნული ტრადიციების ამოყირავებას. თარგამაძის მთავარი საარჩევნო პირობა, რომ პარლამენტში შესვლისთანავე იბრძოლებდა მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად დაკანონებაზე. დღემდე, სათანადო გაჟღერებას ელის.

ლეილა ცომაია

# 9 აპრილის გაუხმაურებელი ფაქტები „9 აპრილის“ მუზეუმი გაიყიდა

ჟურნალისტთა კავშირი „სხივი“ არის, საქართველოში პირველი დამოუკიდებელი ჟურნალისტური ორგანიზაცია (1989 წლიდან). კავშირმა „სხივმა“ ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის პირობებში, 9 აპრილის ტრაგედიის წლისთავზე, 1989 წლის აპრილის მოვლენების ამსახველი გამოფენა მოაწყო, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევისას „9 აპრილის“ მუზეუმად იქცეოდა, მომავალში კი საქართველოს ეროვნული მოძრაობის მუზეუმად გადაკეთდებოდა (დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის 200 წლის ისტორიას ასახავდა). მართლაც, 1991 წლის მაისში, თბილისში, ჟურნალისტთა კავშირ „სხივის“ სარგებლობაში არსებულ ფართში, ლესელიძის ქ. ¹8-ში, „სხივმა“ დააარსა „9 აპრილის“ არასახელმწიფო (უფასო) მუზეუმი. ექსპოზიცია 1989 წლის 4-9 აპრილის მოვლენებს და საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კადრებს ასახავდა. მუზეუმის ფონდებში ინახებოდა: საქართველოს ეროვნული მოძრაობის უნიკალური მასალები; XIX საუკუნის საქართველოს პირველ ფოტოხელოვანთა სურათები; სხვადასხვა ნეგატივები, ფოტოსურათები, ფერწერული ნახატები, კინო-ვიდეო და აუდიო მასალები და სხვა. მუზეუმის ერთ ნაწილში წარმოდგენილი იყო ჟურნალისტთა კავშირის ჯილდოები, მათ შორის: საპატრიარქოს მიერ გადმოცემული, აგრეთვე საბერძნეთიდან გამოგზავნილი ხატები, გაეროს და საქართველოში ამერიკის და საფრანგეთის საელჩოების ნაჩუქარი, მათი ქვეყნის სახელმწიფო დროშები და სხვა.

„9 აპრილის“ მუზეუმის ფონდების მასალებით მომზადდა და 1995 წლის 24 ოქტომბერს (გაეროს დღეს) „9 აპრილის“ მუზეუმში გაიხსნა, გაეროს დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. ამ გამოფენის ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოში ევროსაბჭოს, საფრანგეთის, საბერძნეთის, ჩინეთის და სხვა ქვეყნის ელჩები. საზეიმო ნაწილის დასასრულს გაეროს ელჩმა საქართველოში იუჯინ იუქელმა კავშირი „სხივი“ და „9 აპრილის“ მუზეუმი გაეროს საიუბილეო დროშით დააჯილდოვა.

1993 წლის დეკემბრიდან „9 აპრილის“ მუზეუმში ფუნქციონირებდა აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა საკვირაო შემოქმედებითი (უფასო) სკოლა. მუზეუმში ხუთჯერ მოეწყო დევნილი ბავშვების ნახატების გამოფენა. ერთ-ერთ გამოფენას დაესწრო ამერიკის ელჩი საქართველოში უილიამ კორტნი და საქართველოში ამერიკის განვითარების სააგენტოს უფროსი პოლა ფინი (თავისი ბავშვებით).

მუზეუმში პერიოდულად ეწყობოდა უფასო გამოფენები და ღონისძიებები. მაგალითად: ძველი თბილისის გამოფენა; პირველი ქართველი ფოტოხელოვანის ალ. როინაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა; გურამ თიკანაძის, ზურაბ დათუაშვილის და ნაზი შამანაურისადმი მიძღვნილი გამოფენები; ამერიკის, იტალიის, ჰოლანდიის და სხვა ქვეყნების მხატვართა და ფოტოხელოვანთა გამოფენები. მუზეუმს ყოველწლიურად ათასობით თბილისელი და სტუმარი ათვალიერებდა. „9 აპრილის“ მუზეუმის საქმიანობის ეს მცირე ჩამონათვალიც, წარმოდგენას ქმნის, თუ რა საინტერესო საზოგადოებრივ-შემოქმედებითი ვითარება იყო იქ.

„9 აპრილის“ მუზეუმი საქართველოში ერთადერთია, იგი ათი წელი ისტორიულ-კულტურული ფასეულობის ობიექტს წარმოადგენდა.

## მხილება

2000 წლის 13 სექტემბერს „9 აპრილის“ მუზეუმში პრესკონფერენცია ტარდებოდა, როცა დარბაზში შემოიჭრა ახალგაზრდა გოგონა ეკა ქიტიაშვილი მშობლებთან ერთად. ე. ქიტიაშვილმა განაცხადა, რომ შეიძინა „9 აპრილის“ მუზეუმის საქმიანობით დატვირთული ფართი. საზოგადოებას დაანახა პრივატიზების დამადასტურებელი მოწმობა, მოითხოვა ექსპონატების ჩამოხსნა და გარეთ გასვლა. მოულოდნელ სტუმრებს განუმარტეს, რომ ეს ფართი თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს ხელშეკრულებით „სხივის“ სახელზე ირიცხება 2005 წლამდე. ამის შემდეგ, ე. ქიტიაშვილმა და მისმა მშობლებმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ეკას მამა დაემუქრა: „თუ არ გახვალთ, გაგყრით ან ბოქლომს დავადებ და შიგ ჩაგკეტავთო“. ჟურნალისტური გამოძიებით გაირკვა, რომ ორი წლის მანძილზე, ფარულად ფორმდებოდა (ან უკანა რიცხვით გაფორმდა) პრივატიზების დოკუმენტები და ვიღაცის ზეწოლით მოხდა ყალბი პრივატიზება. 2000 წლის 19 სექტემბერს, სასამართლოში შეტანილი იქნა სარჩელი ამ პრივატიზების გაუქმების შესახებ. 2007 წლის 27 სექტემბერს ღამე „სხივის“ და „9 აპრილის“ მუზეუმის კარები გატეხეს და აბრა ჩამოგლიჯეს. მოხდა „9 აპრილის“ მუზეუმის ზემოაღნიშნული უნიკალური ექსპონატების, ფონდების და ავეჯის დარბევა-დატაცება. გათავხედებულმა ბოროტმოქმედებმა კარებს ბოქლომი დაადეს, ჟურნალისტებს და მუზეუმის დამთვალიერებლებს შიგ არ უშვებდნენ. იმავე დღეს ფაქტი ეცნობა კრწანისის რაიონის პოლიციას, რათა მიეღოთ შესაბამისი ზომები. პოლიციის თანამშრომლები თავის უმოქმედობას ასეთ კომენტარს უკეთებდნენ „ჩვენ რა ვქნათ, ნანულასი ყოფილაო“(იგულისხმება ნანული ცაგარეიშვილი-შევარდნაძე; ე. ქიტიაშვილის მამა ე. შევარდნაძის ცოლის მძღოლი იყო). ყოველდღიური მოთხოვნის შედეგად, პოლიციამ მხოლოდ 2000 წლის 4 ოქტომბერს, აქტით დაადასტურა კარების გატეხვის ეს ფაქტი. ამ დღეს „9 აპრილის“ მუზეუმის დარბაზი უკვე ცარიელი იყო, ანუ პირწმინდად გაძარცულიღ

მიუხედავად არაერთი მცდელობისა პოლიციამ და პროკურატურამ მიზეზით, რომ ეს საქმე ფართთან არის დაკავშირებული და სასამართლოში უნდა განხილულიყო, არ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და ბოროტმოქმედნი დღემდე დაუსჯელი არიან. „9 აპრილის“ მუზეუმის გამოფენის ფუნქციონირება შეჩერდა; მისი უნიკალური დოკუმენტები და სხვა იშვიათი მასალები ყოველდღიურად ზიანდება და გადარჩენას ითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში წარდგენილი იქნა უამრავი მტკიცებულება ზეწოლის შედეგად მოსამართლეებმა (პ. ნოზაძემ, ზ. მებონია, ი. მახათაძე, მ. ცისკაძე, ი. ლეგაშვილი, ნ. სხირტლაძე და სხვები) უარი თქვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. სასამართლოში სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს წარმომადგენელი დ. სალაძე შეგნებულად მალავდა „სხივის“ ფართის გადაფორმების და სხვა ფაქტებს, ცდილობდა სასამართლო შეცდომაში შეეყვანა. მხილების შედეგად დ. სალაძე განთავისუფლდა სამსახურიდან. ამას ადასტურებს სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსი. ი. მაისაშვილი ჟურნალ „სარკეში“ (2000 წ., 1-7 ნოემბერი, ¹44. გვ. 23). აი ამონარიდი ამ პუბლიკაციიდან: კორესპონდენტი „ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო პროცესში მტყუანი აღმოჩნდით, როცა მუზეუმს საიჯარო გადასახადის გადაუხდელობაში ადანაშაულებთ“. ი. მაისაშვილი „გეთანხმებით. ამ საქმეს ჩვენი ყოფილი თანამშრომელი, იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი დათო სალაძე შეეწირა, რადგან მან სასამართლოზე არასწორი ინფორმაცია გაიტანა“. ეს იმიტომ გავიხსენეთ, რომ ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მერიისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს „9 აპრილის“ მუზეუმის განადგურების ვერაგული გეგმა. სამმართველოს ხელმძღვანელები ერთს ამბობდნენ, მაგალითად აღიარებდნენ, რომ შევცდით „სხივის“ და მუზეუმის ხელმძღვანელები, ყველაფერში მართალი არიან. სასამართლო პროცესზე კი მათი წარმომადგენელი „სხივის“ და „9 აპრილის“ მუზეუმის გასახლებას მოითხოვდა. უზენაეს სასამართლოში პროცესზე სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს წარმომადგენელმა როგორც იქნა აღიარა, რომ „სხივი“ მართალია და მასთან სადავო არაფერი აქვთ. ეს მოსამართლისათვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ დიდი ხნით გავიდა სასამართლო დარბაზიდან, რათა გადაწყვეტილება გამოეტანა. მოსამართლე მ. ცისკაძე იძულებული გახდა ეს ფაქტი აღენიშნა და გადაწყვეტილებაში მიუთითა მხარეებს მიეცა მორიგების საშუალება (თუმცა ისედაც გაირკვა და თითქოს მორიგებულები იყვნენ). იმდენად დიდი ზეწოლა იყო სასამართლოზე და იმდენად დიდი ინტერესი ჰქონდა მოსამართლეს, რომ იძულებული იყო „სხივის“ უდანაშაულობის ფაქტი გადაწყვეტილების პირველ ნაწილში მოეხსენებინა, მაგრამ დადგენილების ნაწილში რაც

დასასრული მე-19 გვ.

დასაწყისი მე-18 გვ.

ყველაზე მთავარია დატოვა „სხივის“ გამოსახლების პუნქტი, ანუ საქმე არ გადაუგზავნა რაიონულ სასამართლოს თავისი გადაწყვეტილების გასაბათილებლად. მოსამართლემ ტყუილი, ანუ სიყალბე დააკანონა?!. როგორც ირკვევა, ამ უკანონო გადაწყვეტილების საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო ქონების სამმართველოს გზა გაეხსნა იმისათვის, რომ ჟურნალისტთა კავშირი „სხივის“ სარგებლობაში არსებული ფართი, რომელიც „9 აპრილის“ მუზეუმის საქმიანობით იყო დატვირთული გამონთავისუფლებულად ჩაეთვალა და განეხორციელებინა, ანუ ფარულად გაეფორმებინა მისი პრივატიზება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფართი „სხივს“ იჯარით 2005 წლამდე ეკუთვნოდა. ისინი ვალდებული იყვნენ საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისას „სხივი“ გაეფრთხილებინათ ან ალტერნატიული ფართი შეეთავაზებინათ. ეს შეგნებულად არ გააკეთეს, რადგან მაშინ მათი ზრახვები არ გამართლდებოდა.

საჭიროა დადგინდეს როდის ჩატარდა „სხივის“ სარგებლობაში მქონე ფართის საპრივატიზაციო კონკურსი? კონკურსი საერთოდ არ გამართულა, რადგან: პირველი და მეორე გადაიდო. მესამე (2000 წ. 15 აგვისტო) საოცრებაა თუ ორგანიზატორებს ვენდობით ამ განცხადებას წავიკითხავთ: „გადადებულ კონკურსის შედეგების დამტკიცების შესახებ“. ნეტა რომელ კონკურსს გულისხმობენ; ამტკიცებენ, პირველს თუ მეორეს?!.

„სხივის“ და „9 აპრილის“ მუზეუმის კუთვნილი ფართის ფარულ პრივატიზაციაში ჩადენილ მთელ რიგ დანაშაულთა გამო, მოვითხოვთ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე: თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსზე ი. მაისაშვილზე, მის მოადგილეებზე მ. ჩხეიძეზე და რ. სურგულაძეზე, მთ. ბუღალტერზე ნ. ნიკოლაიშვილზე, საპრივატიზაციო კორმისიის წევრებზე ბ. თუხარელზე, მ. ბაქრაძეზე და მ. ლაღიძეზე.

## ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს

საქართველოს პარლამენტში ჟურნალისტთა კავშირ „სხივთან“ და „9 აპრილის“ მუზეუმთან დაკავშირებით სხდომა ჩატარდა, სადაც თბილისის მერი ი. ზოდელავა და თბილისის სახ. ქონების მართვის სამმართველოს უფროსი დაიბარეს. სხდომაზე ორივე არ გამოცხადდა (დაიმალა). მოვიდა ი. მაისაშვილის მოადგილე რ. სურგულაძე, რომელმაც თქვა, რომ მოხდა გაუგებრობა და ძალიან განიცდიან „სხივის“ და „9 აპრილის“ მუზეუმის გამოძევებას. განაცხადა, რომ სანაცვლოდ ყოველმხრივ უკეთეს ფართს სთავაზობენ. მან პარლამენტის წევრები და ჟურნალისტები დაარწმუნა ამ გადაწყვეტილების უპირატესობაში. თუმცა ამის შემდეგ ორი თვე ვცდილობდით რ. ურუშაძის მიერ შემოთავაზებული ფართის დადგენას. მხოლოდ პარლამენტიდან იძულებითი წერილის გაგზავნის, უფრო სწორედ შეკითხვის შემდეგ, მოხერხდა ამ ე. წ. უკეთესი ფართის დადგენა. ეს არის: 1) ოპერის თეატრის უკან თაბუკაშვილის ქუჩაზე რომელიც დატვირთული აღმოჩნდა; 2) ლესელიძის ქუჩა 42, სტომატოლოგიური პოლიკლინიკის უკან არსებული სარდაფი, რომელიც კაფე „რევანშს“ ეკუთვნოდა; 3) ქუჩა 18, პატარა ეზოში სარდაფის ოთახი, რომელშიც გამქირავებელი პუნქტი ფუნქციონირებდა. კურიოზია, სამივე სარდაფი დაკავებული აღმოჩნდა. ფართის დასაკავებლად, ანუ შემოთავაზებულ ფართში შესასვლელად, ვაიძულეთ კრწანისის რაიონის ქონების მართვის სამსახურის უფროსი თ. ჩიტაიშვილი გამოგვყოლოდა. როდესაც ამ მისამართზე მივედით მან თავი შეიკავა ფართში შესვლაზე (დაიმალა), ასე თქვა „მე მხოლოდ შორიდან დაგანახებთო“. ეს სახელმწიფო ქონების სამმართველოს თანამშრომელთა მორიგი ტყუილი იყო. აბა ესენი ყოფილან და რაც ყოფილან თაღლითები. ამაზე იტყვიან „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“. გამახსენდა, როდესაც პირველად თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოში მივედი, უფროსის მისაღებში ერთი ასაკოვანი სიმპათიური კაცი იჯდა. მან საუბარში აღნიშნა: „აქ ქონების მართვის კი არა, ქრთამების მართვის სამმართველოა“; მაშინ არ დავიჯერე, თურმე მართალი ყოფილა.

## „პოტიომკინის სოფელი“, „9 აპრილის“ ბაღი, „საპატიო თბილისელთა“ თუ ვისი ბაღი?..

2003 წლის 6 აპრილს „9 აპრილის“ ბაღში, თბილისის საკრებულოს და მერიის წარმომადგენლები გამოჩნდნენ. მათ სამი დღის განმავლობაში დიდი სამუშაო ჩაატარეს. სატვირთო მანქანებით შემოზიდეს წითელი აგურის ნამტვრევები და ბაღის ტერიტორიაზე მიმოაბნიეს, დარგეს ხეები და ბუჩქები, დადგეს მონუმენტი „სიცოცხლის ხე“, ბაღის შესასვლელში რუსთველის გამზირის მხრიდან, ეკლესიის გვერდით, მოგლიჯეს კედელზე დამაგრებული ბაღის სახელის მანიშნებელი ფირნიში წარწერით „9 აპრილის სახელობის ბაღი“ და დადგეს (დაადუღეს) ყურძნის მტევნების გამოსახულების ამსახველი რკინის თაღი. როგორც ამბობენ, ამ სამუშაოებზე მუნიციპალური ბიუჯეტიდან 60 ათას ლარზე მეტი დაიხარჯაღ ქალაქის ხელმძღვანელებს ზუსტად ერთი წლის შემდეგ, კვლავ გაახსენდათ ეს ბაღი 7-8 აპრილს აქ ისევ გაიხსნა სამუშაო ფრონტი. როგორც ამბობენ, უფრო მეტად გაისარჯნენ და უფრო მეტი თანხაც დახარჯესღ ამ ბაღში, 2004 წლის 9 აპრილს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ანატოლი სობჩაკის ძეგლი. ღონისძიების ორგანიზატორებმა ცერემონიალის ჩასატარებლად, იქ სადაც ძეგლი გახსნეს (ადრე გოგოლის ძეგლი იდგა) მწვანე ნოხი დააგეს, სტუმრები და გაძლიერებული დაცვით მოსული პირველი ლედი სანდრა რულოვსი, უშიშროების სამსახურის მიერ გაკეთებულ „კორიდორში“, ახლადდაყრილ წითელი აგურის ნამტვრევებზე გაატარეს და ერთგვარი წითელ-მწვანე ფერში გადაწყვეტილი კეთილდღეობის „ოაზისი“ შექმნეს. ეს „ოაზისი“ და საერთოდ მთელი ბაღი, იმ დღეს „პოტიომკინის სოფელს“ წარმოადგენდა. ხელისუფლების წარმომადგენლები არ დაინტერესდნენ ენახათ, როგორ გამოიყურებოდა მათ მიერ შარშან დარგული ხეივანი (შეიძლება იცოდნენ და იქით იმიტომაც არ გაიხედეს). ცნობისმოყვარე სანდრა რულოვსი არ დაინტერესდა ამ ბაღის ფუნქციონირების გაცნობით. დამსწრეთაგან ზოგიერთი ამბობდა, რომ ქალბატონი სანდრა ყვავილების თაიგულს მიიტანს ხეივანში, მაგრამ მან არ გაიხედა და არც დაინტერესდა, 9 აპრილის დღეს ენახა და შეფასება მიეცა სობჩაკის ძეგლის გვერდით „9 აპრილს დაღუპულთა“ ხეივანის მდგომარეობისთვის, სადაც მოუვლელობის გამო: რამდენიმე ხე გახმა, ზოგიერთს შემორჩა დამაგრებული მანიშნებელი ყუა, თუ ვის სახელზეა დარგული, მაგრამ ისე იყო დაზიანებული არ იკითხებოდა. მხოლოდ ორი ხის ძირში, სარეველა ბალახში ძლივს მოჩანდა პატარა რუხი ფილა წარწერით: მარინა ჭყონია, ნანა სამარგულიანი. რა უნდა მოვთხოვოთ ჰოლანდიელ სანდრას, როცა დღეს ბევრმა თბილისელმა არ იცის, რომ ეს ბაღი „9 აპრილის“ სახელობისაა. ბევრი ისე შედის და გამოდის, არ იცის და ვერ გაიგებს ბაღის სახელს, რადგან რუსთაველის გამზირის მხრიდან გაკეთებული ბაღის სახელწოდების ფირნიში, რომელიც 2003 წელს მოგლიჯეს არ დაუბრუნებიათ და არც ახლის გაკეთებაზე უზრუნიათ. მაშინ ეს ფირნიში რამდენიმე დღე „აბურთავეს“ და მერე სადღაც გადააგდეს. მეექვსე წელია



*9 აპრილის ჯალათები: შევარდნაძე, გუმბარიძე და რაზუმოვსკი*

ამ ბაღს თავისი დასახელების მანიშნებელი წარწერა აღარა აქვს. მათ, ვინც სობჩაკის ბიუსტზე გაკეთებულ წარწერას წაიკითხავს „ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე“, ილუზია გაუჩნდებათ, რომ ეს „საპატიო თბილისელთა“ ბაღია. ამ ბიუსტის ქვეშ წერია „С благодарностью, Грузинский народ“, „მადლიერი ქართველი ერისაგან“. ეს კი ნამეტანია, ტყუილია, რამდენიმე პოლიტიკოსის და ლუდმილა ნარუსოვას სურვილი, არ არის ქართველი ხალხის, რაც მთავარია „9 აპრილის“ მოვლენების მონაწილეთა ნება. საჭიროა აღინიშნოს, რომ იმ დღეს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა დიდმა ჯგუფმა, პროტესტი გამოთქვა ფარულად მომზადებული სობჩაკის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებით. ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ქალბატონმა ლეილა ცომაიამ, პოლიციელთა კორდონი გაარღვია და ეს პროტესტი პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს განუცხადა, რომელიც იმ დროს დაცვის თანხლებით ამ კორიდორში მოდიოდა. ქალბატონმა ნინომ დაცვის წევრებს თვალით ანიშნა და ერთ-ერთი კუნთმაგარი ახოვანი ახალგაზრდა ეცა ქალბატონ ლეილას, ხელები დაუჭირა და ფეხზე ფეხი დაადგა, რათა ნაბიჯი აღარ გადაედგა. ამ ძალოვანი ილეთით სცადეს ჩაეხშოთ პატრიოტი ხალხის ხმა, რაც მთავარია „9 აპრილის“ მონაწილეთა ნება არ გაეგო პარლამენტარებს და სტურებსღ იმ დღეს, ამ ცერემონიალის დამთავრების შემდეგ, მ. სააკაშვილი ჩახტა უზარმაზარ „ჯიპში“; მისი მანქანა დიდი სისწრაფით გაემართა პარლამენტის შენობის წინ იმ ადგილისკენ, სადაც ყოველწლიურად 9 აპრილის დაღუპულთა პატივსაცემად ყვავილებს აწყობენ. სანამ მ. სააკაშვილი მანქანას მოაბრუნებდა მას და ნინო ბურჯანაძეს, 9 აპრილის მონაწილეთა იგივე ჯგუფი ახლა პარლამენტის შენობის წინ დახვდა. ორივემ მათ წინაშე პირობა დადო, რომ გაერკვევიან და მალე ისევ გაიხსნება „9 აპრილის“ მუზეუმი, სურვილი გამოთქვეს მათთან მისულიყვნენ მიღებაზე. სახელმწიფო კანცელარიაში და პარლამენტში სისტემატიურად დადიოდნენ ამ ჯგუფის წევრები,მაგრამ არც მ. სააკაშვილმა და არც ნ. ბურჯანაძემ ისინი არ მიიღო. 2005 წლის 9 აპრილს, შუა დღეს ქალბატონი სანდრა რულოვსი მცველთა რაზმის თანხლებით მივიდა რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ, რათა უზარმაზარი ჰოლანდიური ყვავილები დაელაგებინა, იქ, სადაც ეს ტრადიციულად ხდება. მის გამოჩენამდე, რამდენიმე წუთით ადრე იქ ჭეშმარიტ მამულიშვილთა მიტინგი დამთავრდა, რომელიც 9 აპრილის მოვლენებს ეძღვნებოდა. მიტინგის მონაწილე ქალბატონების ერთმა ჯგუფმა, როგორც კი სანდრა რულოვსი დაინახა, სანდრა წყევლა-კრულვით შეამკო, ხოლო მამაკაცებმა გინება დაუწყეს. ისეთი უცენზურო სიტყვებით მიმართეს, რომელსაც აქ ვერ მოვიხსენიებთ. მათ ლექსიკონში ყველაზე თავაზიანი გამოთქმა იყო: „საფიჩხიას ბ….. აქ მეორედ მოსული არ გნახოთო!“ სანდრას თავისი დაცვის ბიჭები გადაეფარნენ, და გადაარჩინეს. ამასობაში ამ ქალბატონებმა მისი მოტანილი ყვავილები ფეხქვეშ დაიდეს და გათელეს. ეს დასაგმობი ფაქტია და აღარ უნდა განმეორდეს. ამ დღის შემდეგ, მეოთხე წელია 9 აპრილს აქ მიშა და სანდრა აღარ გამოჩენილა.

## ე. წ. ოპოზიცია და 9 აპრილი

ამჟამინდელი ხელისუფლება უნდა წავიდეს, მაგრამ ვინ უნდა შეცვალოს. ეროვნულ მოძრაობაში გამობრძმედილმა პატრიოტმა მამულიშვილებმა, თუ კვლავ საზღვარგარეთიდან თავსმოხვეულმა, მათი სპეც. კურსებ გავლილმა ახალგაზრდებმა.

ერისკაცის მანტიით მოგვევლინენ ისინი ვინც ახლო წარსულში შევარდნაძის ხელისუფლებაში იყვნენ, გუშინ მ. სააკაშვილის გვერდით იდგნენ.ბ. პატარკაციშვილის დაფინანსებულმა ე. წ. ოპოზიციამ ხელისუფლების ტელეარხებს „იმედი“ დაუპირისპირა (რომელსაც ბოლო დროს ობიექტურობის მცდელობა ჰქონდა) და თავის პროპაგანდისეულ არხად აქცია. მისი საშუალებით გამოიყენა ხალხის გაჭირებული სოციალური მდგომარეობა და ისინი ქუჩაში გამოიყვანა. ამ პოლიტიკურ თამაშში არ მონაწილეობდნენ 1980-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, რომლებმაც საქართველოს დამოუკიდებლობა მოუტანეს. ამბობენ, ნოემბრის აქციების მომზადებაზე რამდენიმე მილიონი ლარი დაიხარჯა. 2007 წლის 2 ნოემბერს პარლამენტის შენობასთან ბევრი ხალხი შეიკრიბა. ხელისუფლება იძახის, რომ იქ 30-40 ათასი კაცი მოვიდა, ოპოზიცია კი აცხადებს მოვიდა 100 ათასი. მიტინგის წამყვანები ამბობდნენ, რომ ისინი არიან ეროვნული საბჭო, ეროვნული გაერთიანება, რომ მათ მიერ ორგანიზებული მიტინგი არის სახალხო კრება და სხვა. ისიც თქვეს, რომ მათ მხარდასაჭერად იმდენი ხალხი მოვიდა, რამდენიც 9 აპრილს არ გამოსულაო. რითაც ცდილობდნენ, საკუთარი თავი ყველაზე დიდ ეროვნულ მოღვაწეებად წარმოეჩინათ. შეგნებულად ამბობდნენ ან არ იცოდნენ, რომ 9 აპრილის და 2 ნოემბრის შედარება არ შეიძლება, თუნდაც იმიტომ, რომ 1989 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად ხალხი თავის ნებით გამოვიდა, ხოლო 2007 წლის 2 ნოემბერს ბევრი გამოსული იყო როგორც დაქირავებული, ანუ გარკვეული თანხის გადახდის საფასურად (ძირითადად რაიონებიდან ჩამოსულები). ბევრი მათგანი, როდესაც 2007 წლის 3-4 ნოემბერს შეპირებული თანხა არ გადასცეს და არც კვების ფული გადაუხადეს („მოუტეხეს“) უკან დაბრუნდა. ხელისუფლებამ ამით ისარგებლა და მიტინგის მონაწილეები ისეთ დროს დაარბია, როდესაც იქ ცოტანი იყვნენ. 2007 წლის 7 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე დარბევაში მოვყევი და ქიმიური გაზით მოვიწამლე, ორი დღე რეანიმაციაში ვმკურნალობდი. 7 ნოემბრის დარბევისას, ე. წ. ოპოზიციის ხელმძღვანელთა უმეტესობამ პარლამენტს შეაფარა თავი, ხოლო შემდეგ დღეებში თანამდებობის განაწილებით ისე იყვნენ გართული, რომ დაჭრილები და დაზარალებულები არ გახსენებიათ. 22 ნოემბერს ამის შესახებ განგაში ავტეხეთ, რის შედეგადაც 23 ნოემბერს ოპოზიციის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ტელეკამერების თანხლებით (ხალხისათვის საჩვენებლად) საავადმყოფოში მოინახულა დაჭრილები. ხელისუფლებასთან გარიგებაში მყოფი ე. წ. ოპოზიცია ხმას არ იღებს იმაზე, რომ არ მიმდინარეობს „9 აპრილის“ მუზეუმში განხორციელებული ტერორისტული აქტის და ფარული პრივატიზების საქმე გამოძიება; არაფერს ამბობენ იმაზე, რომ 9 აპრილს დაღუპულთა ოჯახებს და დაზარალებულებს დახმარება შეუწყვიტეს და სხვა.

ვისაც სურს 9 აპრილს დაღუპულებს პატივი სცეს, ტრადიციისამებრ 8 აპრილს საღამოს მობრძანდნენ პარლამენტის შენობასთან და 9 აპრილის განთიადს სანთლებით ხელში შეხვდნენ. მოვიგონოთ 9 აპრილს დაღუპულები, მათ შორის უცნობი გმირები, რომელთა სახელები ფართო საზოგადოებისათვის უცნობია, მაგალითად ზოია გრიგოლია და თამარ მჭედლიშვილი.

1990-91 წლებში, საქართველოს ყველა ქალაქებსა და რაიონში გაკეთდა 9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალები, ბაღებითა და სკვერებით. შევარდნაძის რეჟიმის მოსვლის დღიდან დაიწყეს ამ მემორიალების განადგურება. მოვითხოვთ მათ აღდგენას რათა მომავალი თაობები აღიზარდონ 9 აპრილის მსხვერპლთა პატრიოტული სულისკვეთებით.

**თამაზ ბიბილური**

*საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი „სხივის“ და „9 აპრილის“ საზოგადოების თავმჯდომარე*

# სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ!

„თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი“. ინ. 1.1.

„ის იყო თავდაპირველად ღმერთთან“ ინ. 1.2.

„სიტყვა იქცა ხორცად და დამკვიდრდა ჩვენს შორის მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე და ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც მამისაგან მხოლოდშობილის დიდება“.

რას გვასწავლის ეს? ინ. 1.14.

ეს გვასწავლის, რომ უპირველესი სიტყვა და შემდეგ სიტყვის შესაბამისი საქმე. (და არამხოლოდ ამას), საქმის გარეშე ყოველი სიტყვა ფუჭია.

როცა სიტყვა გაუგებარი გახდა გოდოლის მშენებელთათვის, საქმეც შეწყდა (1).

სიტყვა მაშინ არის გასაგები, როცა იგი უდავო ჭეშმარიტების, უჭკუო სიბრძნის ღაღადებად იქცევა.

უდავო ჭეშმარიტებაა ის, რაზეც არავინ დაობს და უჭკუო სიბრძნე არის ის, რასაც ჭკუა, დიდი სიბრძნე, დიპლომი. ან მოწმობა არ სჭირდება!

ქვა რომ ქვაა, ეს ყველამ იცის, ველური ტომის მკვიდრმაც და თანამედროვე (ცივილიზებული) ქალაქის მკვიდრმაც.

ჭეშმარიტება რომ უდავო შეიქმნას, იგი უჭკუო სიბრძნე უნდა გახდეს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი მსმენელისათვის გასაგები შეიქმნას იგი.

ქვა რომ ქვაა, ამაზე არავინ არ დაიწყებს დავას, ე. ი. უდავო ჭეშმარიტებაა. და ქვა რომ ქვაა ამის ცოდნას დიდი ჭკვა; ან ცოდნა, ან სპეციალური განათლება არ სჭირდება. ე. ი. უჭკუო სიბრძნეა.

ღვთის ნებით მინდა იმ დაფარულ სიბრძნეზე გესაუბროთ რომლის ცოდნაც ყოველი ქრისტიანისათვისაა აუცილებელი.

მართებულია რომ ეს საუფლო ლოცვით დავიწყოთ;

... იყავნ ნება შენი... აქ ყურადსაღებია ნება და მისი მნიშვნელობა, რაობა და ის თუ როგორ მიიღება იგი.

და განსხვავება ვნებასა და ნებას შორის... ნება და ვნება ერთმანეთისგან განსხვავდებიან მხოლოდ ერთი „ვ“ ასოთი, რომელმაც ნებას განსხვავებული დატვირთვა და შინაარსი მისცა. მართლმადიდებლური სწავლებით ვნება არის ცოდვა, ცოდვის ჩადენას კი სიკვდილი მოაქვს. რომ გავერკვეთ რატომაა ვნება ცოდვა, აუცილებელია ამ სიტყვის ანალიზი.

ვნებაში ასო „ვ“ არის სუფიქსი რაც მიუთითებს სუბიექტის არსებობაზე. ე. ი. ვნება არის სუბიექტური ნება.

ღმერთმა ადამიანი შექმნა თავისუფალი ნებით.

და ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსად.

და რადგან ადამიანი თავის ხატად და მსგავსად შექმნა და არა განსხვავებულად, - ისეთად, როდესაც ადამიანი არავისი მსგავსი არ იქნებოდა - ამიტომ მისცა ადამიანს ისეთივე ნება და თავისუფლება, როგორიც მას აქვს.

აქედან გამომდინარე ადამიანის ნება, ღვთის ნების მსგავსი და თანმხვედრი უნდა იყოს, როგორც მისი ხატება და მსგავსება.

მყოფადისათვის აუცილებელია ნება. ნების გარეშე არ არსებობს თავისუფლება. ე. ი. მყოფადისათვის აუცილებელია როგორც ნება, ასევე თავისუფლება.

და როდესაც ადამიანი ღვთის მიერ ბოძებული თავისუფლებით მასში არსებულ ღვთაებრივ ნებას უარჰყოფს, და საკუთარი, სუბიექტური ნებით ჩაანაცვლებს, მიიღებს სუბიექტურ ნებას, ანუ ვნებას.

როდესაც სუბიექტი ჩნდება ირღვევა ობიექტურობა.

ღვთის ბოძებული ნება ადამიანის სუბიექტურობით იქცევა ვნებად. ამით ადამიანის ნების განყენება ხდება ღვთაებრივი ნებიდან.

ამიტომ არის უფლის სწავლებით ვნება ცოდვა, რომელსაც შეუძლია ღვთის ხატების და მსგავსების დეგრადირება, მოკვდინება, როგორც ფიზკურისა, ასევე სულიერის.

„... იყავ ნება შენი...“ როცა ადამიანი ამ სიტყვებს ამბობს, ამით უარყოფს საკუთარ ნებას და მთლიანად ემორჩილება უფლის ნებას... ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა... ადამიანი ქვეყანასა ზედა ცხოვრობს და ლოცვით უფალს სთხოვს რომ მის ცხოვრებაში ერთადერთი ნება არსებობდეს - ღვთაებრივი!

სასარგებლო და საინტერესოა ვიცოდეთ წმიდა წერილიდან ღვთაებრივი და ადამიანური ნების თანხვედრის მაგალითები!

თვით უფალი ამბობს საკუთარ თავზე:

„ჩემით არაფრის გაკეთება არ შემიძლია. როგორც ვისმენ, ისე განვიკითხავ და ჩემი სამსჯავრო სამართლიანია, რადგან მე ჩემს ნებას არ ვეძებ, არამედ ჩემი მომავლინებლის ნებას!“ ინ. 5.30.

„ცოტა რომ გაიარა, პირქვე დაემხო, ლოცულობდა და ამბობდა: „მამაო ჩემო, თუ შესაძლოა, ამარიდე ეს სასმისი: მაგრამ არა როგორც მე მსურს, არამედ როგორც შენ“. მთ. 26. 29.

მაშინ მე ვთქვი: აჰა, მოვდივარ, როგორც წიგნის დასაწყისში წერია ჩემზე, შენი ნების აღსასრულებლად, ღმერთო“. ებრ. 10.7.

თვით უფალი იესო ქრისტე ემორჩილება მამა ღმერთის ნებას სრულად და ჭეშმარიტებით!

ვინაა თიხისაგან შექმნილი ადამიანი, რომ საკუთარი ნებით ცხოვრობდეს და უფლის ნებას უარყოფდეს?

დავით მეფსალმუნემაც თქვა: „უფალმა ზეცით მოხედა ყოველთა ზედა კაცთა ხილვად, იყოს თუ ვინმე გულისხმისმყოფელ, ანუ გამომეძიებელ ღმრთისა“.




ყველამ თავის თავში განსაჯოს; რა უფრო მოსაწონია, ობიექტური სიმართლე თუ - სუბიექტური?

სუბიექტური სიმართლე - ეს არის მიკერძოებული, ეგოისტური, ვიღაცისთვის მოგონილი „სიმართლე“.

ობიექტური სიმართლე - ეს არის სიმართლე სიმართლისათვის, ჭეშმარიტება ჭეშმარიტებისათვის!

ასევეა ობიექტური და სუბიექტური ნებაც.

დილის ლოცვებში წერია „... არამედ ვითარცა გაქვს ძლიერება უბრძოლველი, ყოველთაგან ვნებათა განმათავისუფლენ ჩვენ, რათა გიგალობდეთ შენ კურთხეულო, გიხაროდენ სძლო უსძლოო“.

აქ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ორ სიტყვაზე: „ყოველთაგან ვნებათა“. ეს ნიშნავს, რომ ვნება არის არა ერთი, არამედ ერთზე მეტი. „ყოველთაგან ვნებათა განმათავისუფლე“ ნიშნავს, რომ არცერთი ვნება არ დაგვიტოვოს, არამედ უკლებლივ ყოველივე ვნებისაგან განგვათავისუფლოს.

„ესენი უფრო კეთილშობილები იყვნენ თესალონიკელებზე; მათ მთელი გულმოდგინებით მიიღეს სიტყვა, ყოველდღე არჩევდნენ წერილებს, ნამდვილად ასე თუ არისო“.

საქ. 17.11

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველმა კეთილმა სწავლებამ დამოწმება წმიდა წერილიდან უნდა მიიღოს, რომ სასარგებლო იყოს მსმენელთათვის.

ზემოთ ხსენებული ანდაზის ანალოგი (დამოწმება წმიდა წერილიდან) არის ეს იგავი:

„იგი წააგავს საფუარს, რომელიც დედაკაცმა აიღო და ჩაფლა სამ საწყაო ფქვილში, ვიდრე მთლიანად გაფუვდებოდა“. ლკ. 13.21.

ამ იგავს უფალი ცათა სასუფეველზე ამბობს, მაგრამ პავლე მოციქული იგივეს ცოდვაზე ამბობს:

„არ შეგფერით კვეხნა, ნუთუ არ იცით, რომ მცირეოდენი საფუარი მთელ ცომს აფუებს“.

საფუარზე იგავი სიტყვასაც ეხება, ოღონდ არა მხოლოდ ერთს.

ანდაზების ჭეშმარიტებაზე კი თვით უფალმა ბრძანა:

„ამგვარად, ჭეშმარიტია ანდაზა: ერთი თესავს და სხვა იმკისო“. ინ. 4.37.

ამით უფალმა ყველა ანდაზაზე დაამოწმა მათი ჭეშმარიტება.

და კიდევ:

უთხრა მათ: „თქვენ, უეჭველია, მეტყვით ასეთ ანდაზას: მკურნალო, განიკურნე შენი თავი. აქაც, შენს მშობლიურ ქალაქშიც, მოახდინე ის, რაც კაპერნაუმში მოგიხდენია, როგორც გავიგეთ“.

უთხრა: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ არც ერთი წინასწარმეტყველი არაა მიღებული თავის სამშობლოში: ლკ. 4. 23-24.

უფალმა კვლავ დაამოწმა, რომ ანდაზები ჭეშმარიტია და თან დასძინა ამ შემთხვევაში ეს ანდაზა რატომ არ შეეფერებოდა იმ შემთხვევას. ჩვენ კი შეგვიძლია გავიხენოთ ანდაზა: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“.

პავლე მოციქულს კი ასე უთხრა უფალმა:

მითხრა: „წადი, შორს მიგავლენ წარმართებთან“. საქ. 22. 21.

უფალმა იცოდა რა, რომ პავლეს არ მიიღებდნენ ისრაელში, საკუთარ სამშობლოში, ამიტომ აგზავნის წარმართებთან.

უფალი კვლავ ამოწმებს:

„თქვენს რჯულშიც წერია, რომ ორი ადამიანის მოწმობა ჭეშმარიტია“. ინ. 8-17.

ამრიგად, ანდაზამ ტალახიანი ღორის შესახებ წმიდა წერილიდან არა ორჯერ, არამედ ორზე მეტად მიიღო დამოწმება. ეს კი იმას ნიშნავს რომ ეს ანდაზა ჭეშმარიტია.

აქედან და ჭეშმარიტებიდან გამომდინარე, ყოველ სიტყვას, რომელთანაც ვნება ჩაიწერება და წარმოითქმის, ეცვლება თავისი შინაარსი და დატვირთვა.

ანუ ვნება ყოველ სიტყვას სახეს უცვლის.

ყოველ სიტყვას თავისი შესაბამისი საქმე გააჩნია.

მაშასადამე, შეცვლილ სიტყვას შეცვლილი შინაარსი და მნივშნელობა აქვს. შეცვლილი სიტყვის შესაბამის საქმეს შესაბამისად, შეცვლილი მნივშენლობა.

ვნება უნდა ვეძიოთ სიტყვაში, რათა გამოშკარავებული და მხილებული იქმნას.

გამოაშკარავება და მხილება მისთვის არის საჭირო და აუცილებელი, რომ ადამიანმა შესძლოს მისი გარჩევა და თავის არიდება, რათა არ დაიღუპოს და იცოცხლოს.

„ერიდეთ ცრუ წინასწარმეტყველებს, რომლებიც ცხვრის სამოსით მოდიან თქვენთან, შინაგანად კი მტაცებელი მგლები არიან“. მთ. 7.15.

მსგავსად ამისა ზოგიერთი სიტყვაც ცხვრის ტყავშია გახვეული. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: სიამოვნება, უსიამოვნება, დიდსულოვნება, გემოვნება, პიროვნება, სრულფასოვნება, თავნება, ამპარტავნება, სახელოვნება, გულოვნება, ხელოვნება, ძალოვნება, დიდბუნოვნება, სურნელოვნება, ფოტოხელოვნება და სხვა.

ამ სიტყვებს და მათ შესაბამის საქმეებს ისევე უნდა გაურბოდეს კაცი, როგორც ცეცხლში დაწვას.

*ჯუმბერ ხუციანიძე*

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: http://ganmatavisuflebeli.webs.com
ელ.ფოსტა: ganmatavisuflebeli@yahoo.com

რედაქტორი ლეილა ცომაია